



საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საავტომობილო გზების
დეპარტამენტი

აღმოსავლეთ-დასავლეთ
მაგისტრალის E-60 აგარა
დასავლეთი -დიდი
სატივე vშემოვლითი
გზის მონაკვეთის (114კმ -
126კმ) მოდერნიზების
სამუშაოების გარემოზე
ზემოქმედების შეფასება
სამუშაო ანგარიში

თებერვალი , 2013

COWI



აკრონიმები

EA	გარემოს შეფასება
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
გმგ	გარემოს მენეჯმენტის გეგმა
EWB	აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალი
FS	პროექტის მიზანშეწონილობის კვლევა (ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთება)
HSE	ჯანდაცვა გარემოს დაცვა უსაფრთხოება
GoG	საქართველოს მთავრობა
HGV	სატვირთო მანქანა
KP	კილომეტრის ნიშნული
MCMP	საქართველოს კულტურის, და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
MESD	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო
NKUK	ნიპონ კოეი (გაერთიანებული სამეფო) Nippon Koei UK
MLHSA	საქართველოს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OP/BP4.01	მსოფლიო ბანკის ოპერირების პოლიტიკა - გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებით
AH	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კომლექსები
AP	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანები
RAP	განსახლების სამოქმედო გეგმა
QC/QA	ხარისხის კონტროლი და ხარისხის უზრუნველყოფა
RD	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
MoE	გარემოს დაცვის სამინისტრო
MRDIG	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
RBG	საქართველოს დაცული სახეობების წითელი წიგნი
RoW	გასხვისების ზოლი
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
TEM	ტრანს-ევროპული საავტომობილო გზა
ToR	ტექნიკური დავალება
WB	მსოფლიო ბანკი
WHO	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

დოკუმენტის
დასახელება:

უმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი -
გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების
ჭეფასება

მომზადებულია:

COWI Lietuva და Gamma Consulting

მომზადების
თარიღი:
ძირითადი
ავტორები:

იანვარი, 2013

Dana Bagdonavičienė, პროექტის მენეჯერი
Kristina Janeliūnienė, ჰაერისა და ხმაურის საკითხები
Jemal Gabechava, გეოლოგი
Nika Tsirghiladze, ჰიდროგეოლოგი
Baadur Ukleba, ჰიდროლოგი
Giorgi Ghambashidze, წიადაგის სპეციალისტი
Nino Tskvitishvili, ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი
(ფლორა)
Giorgi Edisherashvili, ბიომრავალფეროვნების
სპეციალისტი (ფლორა)
Maka Stamateli, გარემოს დაცვის სპეციალისტი

შინაარსი

1	არატექნიკური რეზიუმე	1
2	შესავალი	16
3	საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო	19
3.1	საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის მიმოხილვა	19
3.2	გზის მშენებლობასთან დაკავშირებული საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტები.....	21
3.3	გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა - ეროვნული და მსოფლიო ბანკის რეგულაციები.....	22
3.4	ეროვნული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შედარება	24
3.5	ინსტიტუციონალური ჩარჩო	26
4	პროექტის აღწერა	28
4.1	შესავალი	28
4.2	გზის სტრუქტურა და მშენებლობის ტექნოლოგია	31
4.2.1	გზის საინჟინრო პროექტის სტრუქტურული ელემენტები	Error! Bookmark not defined.
4.2.2	გზის საპროექტო პარამეტრები.....	43
4.2.3	გზის სამოსი	47
4.3	პროექტის ალტერნატივები.....	48
4.4	გადაზიდვების მოცულობა.....	50
4.6	გზის მშენებლობის ფაზა.....	51
4.6.1	მობილიზაცია.....	51
4.6.2	გზის მოწყობის სამუშაოები	57
4.6.3	პროექტის ტერიტორიის გარეთ მიმდინარე სამუშაოები	59
5	ფონური მონაცემები	64
5.1	ფიზიკური პირობები.....	Error! Bookmark not defined.
5.1.1	კლიმატი და მეტეოროლოგია.....	Error! Bookmark not defined.
5.1.2	გეოლოგია.....	Error! Bookmark not defined.
5.1.3	გეომორფოლოგია.....	Error! Bookmark not defined.
5.1.4	ჰიდროლოგია.....	Error! Bookmark not defined.
5.1.5	ჰიდროგეოლოგია.....	Error! Bookmark not defined.
5.1.6	ლანდშაფტისა და მიწის გამოყენება	Error! Bookmark not defined.
5.1.7	ნიადაგები	Error! Bookmark not defined.
5.1.8	ჰაერის ხარისხი	Error! Bookmark not defined.
5.1.9	ხმაური.....	Error! Bookmark not defined.
5.1.10	სეისმური პირობები და სახიფათო პროცესები.....	Error! Bookmark not defined.
5.2	ბიოლოგიური გარემო	Error! Bookmark not defined.
5.2.1	ფლორა	Error! Bookmark not defined.
5.2.2	ფაუნა	Error! Bookmark not defined.
5.2.3	დაცული ტერიტორიები.....	Error! Bookmark not defined.
5.3	სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარემო.....	Error! Bookmark not defined.
5.3.1	სოციალ-ეკონომიკური გარემო.....	Error! Bookmark not defined.
5.3.2	ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები.....	Error! Bookmark not defined.
6	მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე	64
6.1	შესავალი.....	Error! Bookmark not defined.
6.2	ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	Error! Bookmark not defined.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- 6.2.1 წყლის რესურსებზე ზემოქმედების შეფასება: მაგისტრალის მშენებლობა**Error! Bookmark not defined.**
- 6.2.2 წყლის რესურსებზე ზემოქმედების შეფასება: მაგისტრალის ექსპლუატაცია.....**Error! Bookmark not defined.**
- 6.3 ნარჩენების მართვა**Error! Bookmark not defined.**
 - 6.3.1 ნარჩენები: მაგისტრალის მშენებლობა ..**Error! Bookmark not defined.**
 - 6.3.2 ნარჩენები: მაგისტრალის ექსპლუატაცია..... **Error! Bookmark not defined.**
- 6.4 ზემოქმედება ჰაერის ხარისხზე.....**Error! Bookmark not defined.**
 - 6.4.1 ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება: მაგისტრალის მშენებლობის ფაზა.....**Error! Bookmark not defined.**
 - 6.4.2 ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება: მაგისტრალის ექსპლუატაციის ფაზა.....**Error! Bookmark not defined.**
 - 6.4.3 ზემოქმედება კლიმატზე.....**Error! Bookmark not defined.**
- 6.5 ხმაურის ზემოქმედება გარემოზე**Error! Bookmark not defined.**
 - 6.5.1 ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების შეფასება: გზის მშენებლობა**Error! Bookmark not defined.**
 - 6.5.2 ხმაურის დონეების მოდელირება: გზის ექსპლუატაცია**Error! Bookmark not defined.**
 - 6.5.3 რეკომენდირებული ღონისძიებები ხმაურის დონის შესამცირებლად.....**Error! Bookmark not defined.**
- 6.6 ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე**Error! Bookmark not defined.**
 - 6.6.1 ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შეფასება: მაგისტრალის მშენებლობა**Error! Bookmark not defined.**
 - 6.6.2 ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შეფასება: მაგისტრალის ექსპლუატაცია.....**Error! Bookmark not defined.**
- 6.7 ზემოქმედება გეოლოგიაზე.....**Error! Bookmark not defined.**
 - 6.7.1 ზემოქმედება გეოლოგიაზე: გზის მშენებლობა.....**Error! Bookmark not defined.**
 - 6.7.2 ზემოქმედება გეოლოგიაზე: გზის ექსპლუატაცია...**Error! Bookmark not defined.**
- 6.8 ზემოქმედება ნიადაგზე**Error! Bookmark not defined.**
 - 6.8.1 ნიადაგზე ზემოქმედების შეფასება: გზის მშენებლობა.....**Error! Bookmark not defined.**
 - 6.8.2 ნიადაგზე ზემოქმედების შეფასება: გზის ექსპლუატაცია.....**Error! Bookmark not defined.**
- 6.9 ზემოქმედება ლანდშაფტზე.....**Error! Bookmark not defined.**
- 6.10 სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება.....**Error! Bookmark not defined.**
 - 6.10.1 სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება: გზის მშენებლობა**Error! Bookmark not defined.**
 - 6.10.1 სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება: გზის ექსპლუატაცია**Error! Bookmark not defined.**
- 6.11 ზეგავლენა ისტორიულ-კულტურულ საკითხებზე ... **Error! Bookmark not defined.**
- 6.12 დაცული ტერიტორიები.....**Error! Bookmark not defined.**
- 7 შემარბილებელი ღონისძიებები**ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.**
- 8 ალტერნატივების შედარებითი ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უპირატესი ვარიანტის განსაზღვრა**ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.**
- 9 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა (გმგ)..... 167
- 9.1 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ჩარჩო და პოლიტიკა..... 167

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

9.2	ინსტიტუციონალური ჩარჩო და გარემოსდაცვითი ადმინისტრირება	168
9.3	მოსალოდნელი ზემოქმედებების რეზიუმე	170
9.4	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და მონიტორინგი	176
9.5	მონიტორინგი, შესრულება	188
9.6	ანგარიშების წარმოება	189
9.7	კომპენსაცია გმგ-ს დარღვევის შემთხვევაში	189
10	დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები და ინფორმაციის საჯაროობა	191
11	გამოყენებული ლიტერატურა	193
	დანართები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

1 არატექნიკური რეზიუმე

შესავალი

გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველომ მოიპოვა მნიშვნელოვანი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება გახდა ეროვნული პრიორიტეტი. საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკს სთხოვა მხარდაჭერა აღმოსავლეთ-დასავლეთ სატრანსპორტო დერეფნის მოდერნიზაციის პროექტის განვითარებაში. ბანკის დაფინანსებით E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის გაუმჯობესების ორი პროექტი უკვე დასრულებულია, მომზადების პროცესშია აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის მოდერნიზაციის მესამე პროექტი. სამომავლოდ გათვალისწინებული ინვესტიციები მოახდენენ გზატკეცილის მონაკვეთისას გაუმჯობესების სამუშაოების დასრულებას - რუსიდან უკვე რეაბილიტირებული რიკოთის გვირაბამდე. ამ მიზნის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ დახმარების გაწევის მიზნით მიმართა მსოფლიო ბანკს, რათა მოხდეს აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის მოდერნიზაციის მეოთხე პროექტის შემუშავება და განხორციელება, რომელიც დაფარავს აგარის შემოვლითი გზისა და გომს შორის არსებული გზატკეცილის მონაკვეთს. საქართველოს მთავრობამ დახმარების გაწევის მიზნით მიმართა მსოფლიო ბანკს, რათა მოხდეს აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის მოდერნიზაციის მეოთხე პროექტის შემუშავება და განხორციელება, რომელიც დაფარავს აგარა დასავლეთი და გომის შემოვლითი გზის (დიდი სატივე) გზის არსებული გზატკეცილის მონაკვეთს.

სვენეთი-რუსი-რიკოთის გვირაბის მთლიანი დერეფნისთვის შემუშავდა რეგიონალური გარემოზე ზემოქმედების შეფასება (რგზშ). განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) მაგისტრალის აგარა დასავლეთი გომის შემოვლითი გზის მონაკვეთზე, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის (გმგ¹) ჩათვლით.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

აღნიშნული გზშ-ს მიზანი იყო რუისი-გომის მონაკვეთზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შემოთავაზებული სამუშაოების რისკების განსაზღვრა; ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების რეკომენდაციები და მონიტორინგის გეგმის შემუშავება გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინებით E-60 მაგისტრალის მონაკვეთის მშენებლობისა და ოპერირების დროს.

ტექნიკური და გარემოსდაცვითი სტანდარტები და რეგულაციები

ავტომაგისტრალის გაუმჯობესების ტექნიკური პროექტი შეესაბამება ტრანს-ევროპული მაგისტრალის (ტემ) სტანდარტებს. პროექტი განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შემოთავაზებული პროექტი საჭიროებს გზშ-ს განხორციელებას, გარემოსდაცვითი ექსპერტიზის ჩატარებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას. პროექტი ექვემდებარება მსოფლიო ბანკის შემდეგ მოთხოვნებს: OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება; OP/BP 4.11 ფიზიკურ-კულტურულ რესურსები; OP/BP 4.12 არანებაყოფლობით განსახლება; OP/BP 4.04 ბუნებრივი ჰაბიტატები; OP/BP 4.20 გენდერული საკითხები და განვითარება.

გარემოსდაცვითი სკრინინგი

რუისი-გომის მაგისტრალის E-60 მონაკვეთის რეაბილიტაციის შემოთავაზებულ სამუშაოებში შედის აგარა დასავლეთი და დიდი სატივეს შორის არსებული გზის სავალი ნაწილის გაფართოება, კერძოდ, ორზოლიანი საგზაო მოძრაობის, ოთხზოლიანი საგზაო მოძრაობად მოწყობის სამუშაოები, ოთხზოლიანი საგზაო მოძრაობის მონაკვეთის მოწყობა ახალ ტრასაზე გომის შემოვლითი გზის მოწყობით. პროექტში აღწერილი საგზაო სამუშაოების მასშტაბი და მოცულობა კლასიფიცირდება, როგორც A კატეგორია, რომელიც საჭიროებს სრულმასშტაბიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას (გზშ) და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შემუშავებას (გმგ).

საზოგადოების ჩართულობა

ბანკის პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის თანახმად, საჭიროა საზოგადოების ეფექტური ჩართულობა და მონაწილეობა გზშ-ს პროცესსა და გარემოსდაცვითი მართვის დაგეგმარებაში. საჯარო კონსულტაციების ძირითადი პრინციპებია:

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- სულ მცირე ორი საჯარო კონსულტაციის შეხვედრის ჩატარება გარემოსდაცვითი A კატეგორიის პროექტისათვის და წინასწარი გზშ-ს მომზადების საწყის ეტაპზე;
- წინასწარი გზშ-ს ანგარიშის საზოგადოებისთვის წარდგენა, მოსახერხებელი მედია საშუალებით, ეროვნულ ენაზე;
- პროექტი გზშ-ს მომზადების საწყის ეტაპზე და მისი სრულყოფის ეტაპზე;
- დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ჩატარების ადგილისა და დროის გამოცხადება ცენტრალური და საჯარო კომუნიკაციების მეშვეობით;
- მოწვევა - გზშ-ს წინასწარი ანგარიშის წერილობით კომენტარებისა და შეკითხვების განხილვის თაობაზე; და
- საზოგადოების მოსაზრების გზშ-ს ანგარიში შეტანა და საბოლოო დოკუმენტის ხელახალი განხილვა.

თავდაპირველი კონსულტაციები შემოთავაზებული პროექტის გარემოსდაცვით შედეგებზე და მომავალი გზშ-ს სამუშაოების მოცულობა შესრულდა, მისი მომზადების ადრეულ ეტაპზე. საზოგადოებასთან კონსულტაციები ჩატარდა 2012 წლის 25 ექტემბერს. აღნიშნული შეხვედრის დროს განხილული იქნა ტექნიკური დავალება, განხილვის ქვეშ მყოფი ალტერნატივები და გზშ-ს პროცედურა, ასევე ნებართვის გაცემის საკითხები.

არსებული გზშ-ს ანგარიშის პროექტი დაიდო საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საგზაო დეპარტამენტის ვებგვერდზე. დოკუმენტის რამდენიმე ამობეჭდილი ვერსია ხელმისაწვდომია გომისა და ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობის (საკრებულო) ოფისში, რომელებიც მდებარეობენ პროექტის განხორციელების ზონაში. ორი შეხვედრა თემებთან შედგა 2012 წლის 19 სექტემბერს და 2013 წლის 6 იანვარს. ამასთანავე საგზაო დეპარტამენტი გეგმავს მოსახლეობასთან კონსულტაციას 50 დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც ანგარიში წარდგენილი იქნება საქართველოს გარემოს დაცვის სანმინისტროში. მიმდინარე გზშ-ს ანგარიში საბოლოო სახით მომზადდება აღნიშნული კონსულტაციებიდან მიღებული მოსაზრებების ანგარიშში გათვალისწინებით.

გარემოს სენსიტიური რეცეპტორები და პოტენციური ზემოქმედება

აგარა დასავლეთი-დიდი სატივეს მონაკვეთი ძირითადად, გადის მნიშვნელოვნად შეცვლილ ლანდშაფტზე, რომელიც მოშორებულია დაცულ ტერიტორიებს და ბიომრავალფეროვნების ცხელ

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

წერტილებს. ძირითადი გარემოზე ზემოქმედებები მოსალოდნელია სამშენებლო ეტაპზე და გასხვისების ზოლიდან (გზ); ასევე, სამუშაო კემპების მოწყობა/ოპერირება და დროებითი მისასვლელი გზების მოწყობის დროს; აგრეთვე, სამშენებლო ტექნიკის ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურებისას; მიწის სამუშაოები, მდინარის გადაკვეთებზე/მდინარის კალაპოტის ახლოს (სურამულა და მტკვარი) და ნაპირ-გამაგრებითი ნაგებობების მოწყობა მტკვრის სანაპიროზე.

გასხვისების ზოლის გაწმენდა საჭირო იქნება გზის გაფართოების მიზნით, იმ მონაკვეთებზე სადაც, გზატკეცილის ტრასა უცვლელი რჩება და ასევე, ახალი მარშრუტის გასაწმენდად, ხელახლა დაგეგმარებული გზის მონაკვეთებისათვის. ეს გულისხმობს, ზედა საფარის მოჭრას და მის დასაწყობებას და სევე ბუჩქნარის მოშორებას, 1490 მდე ხისა და ბუჩქის მოჭრას. სამშენებლო კემპებისა და მისასვლელი გზის მოწყობა უკავშირდება მყარი ნარჩენების წარმოქმნას, ნიადაგის დატკეპნასა და ხმაურის ზემოქმედების გავრცელებას მიმდებარე დასახლებული პუნქტებზე. პარკირება, ოპერირება და სამშენებლო ტექნიკის ტექ.მომსახურება დაკავშირებულია საწვავისა და ზეთის დაღვრის რისკთან (ნიადაგისა წყლის დაბინძურება), ისევე როგორც, ხმაურის, ვიბრაციის, მტვრისა და ემისიების წარმოქმნის რისკებთან. ხიდებისა და ნაპირ-სამაგრი ნაგებობების სტრუქტურების მოწყობამ შესაძლოა გამოიწვიოს წყლის დაბინძურება თხევადი/მყარი ნარჩენებით. გაიზრდება წყლის სიმღვრივე, შედეგად მოხდება დროებითი ზეგავლენა წყლის მობინადრეებზე. სამშენებლო მასალის შესყიდვა მოხდება ლიცენზირებული მწარმოებლებისაგან და კარიერებიდან, შესაბამისად კარიერებიდან და მწარმოებლებიდან გამომდინარე გარემოზე ზეგავლენის შეფასება არ იქნება არსებული გზმ-ს ანგარისშის ნაწილი. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორმა გადაწყვიტა მან თავად მოიპოვოს სამშენებლო მალასა, ამ შემთხვევაში შესაბამისი ნებართვის მიღება მოუწევს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან კუთვნილი კარიერის გამოყენების მიზნით. საკითხები დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების მოხმარებასა და მათ დაცვასთან დაკავშირებით რეგულირდება საქართველოს კანონით წიაღის შესახებ (1966, შეწორებული, 1999, 2022, 2004, 2005).

სამშენებლო სამუშაოების შედეგად ზემოქმედება მოსალოდნელია შრომის ჰიგიენაზე და მუშების/პერსონალის უსაფრთხოებაზე.

განახლებული მონაკვეთის ზემოქმედება მისი ოპერირების დროს, გაცილებით ნაკლებად მრავალფეროვანია. სამი სახის გარემოსდაცვითი დაბინძურების წყარო იკვეთება გზატკეცილის ოპერირების დროს, ესენია: ავტომობილების გამონაბოლქვით ჰაერის

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დაბინძურება, ხმაური, ნიადაგისა და ზედაპირული წყლების დაბინძურება ნარჩენებით. ლი წყლის დაბინძურება ნაყარი/თხევადი ტვირთებიდან, მდინარის გასწვრივ ან მათი გადაკვეთის დროს მოძრავი ავტომობილების საწყავისა და საპოხი მასალებიდან მათი გაუმართაობის ან ავარიული სიტუაციებიდან გამომდინარე. ნაპირების დაცვის მიზნით შემუშავებული პროექტი გამორიცხავს ჰიდროლოგიაზე რაიმე ზეგავლენას. შესაძლებლობა დატბორვის "დაურეგულირებელი" ნაპირის ნაპირსამაგრი სტრუქტურის მქონე ნაპირის საპირისპიროდ ითვალისწინებს აბსოლუტურ სიმაღლეს ზღვის დონიდან შექმნილია სანაპიროს და მხარის ზედაპირული ამონადენით გამოწვეული ახალი სტრუქტურის დროს მაღალი წყლის სეზონის უკვე გამოძიებული

დასაშვები ხმაურის დონე არ დაირღვევა მოკლედან საშუალო ვადიანი პერსპექტივით და შესაძლებელია გაიზარდოს მოძრაობის ინტენსივობის გაზრდის შემთხვევაში, რომელიც მოსალოდნელია გრძელვადიან პერსპექტივაში. ასე რომ, საგზაო უსაფრთხოება იქნება მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მოიცავს ჯანდაცვას, სოციალურ და გარემოსდაცვით პირობებს.

პროექტის ალტერნატივები

გზატკეცილის სხვადასხვა ტრასა ექცევა სხვადასხვა დონის გარემოსდაცვითი რისკის ქვეშ, რამაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა პროექტის ალტერნატივების გარემოსდაცვითი ანალიზისას.

გზშ-ს მომზადებისას ადგილი არ ქონია რაიმე დაბრკოლებას; ასე რომ შესაძლო ზემოქმედებების მართვა შესაძლებელია შესაბამისი სამშენებლო სტანდარტებისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით. თუმცა არაქმედების ალტერნატივა“ განხილულ იქნა, როგორც ერთ-ერთი საპროექტო ალტერნატივა. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შედეგად, ადგილი არ ექნება გარემოზე და სოციალურ ზემოქმედებას, გზატკეცილის ექსპლოატაცია მიმდინარე არახელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, რომელიც გამოწვეულია: საცობებით, ხმაურით, დაბალი სიჩქარით და გაფრქვევების მაღალი მაჩვენებლებით. მომავალში გაზრდილი მოძრაობის შედეგად, არსებული მდგომარეობა გაუარესდება. არაქმედების ალტერნატივის შემთხვევაში, ადგილობრივი თემები (მაცხოვრებლები) დაკარგავენ შესაძლებლობას ისარგებლონ ყველა იმ დადებითი შედეგებიდან, რომელიც დაკავშირებულია გზატკეცილის რეაბილიტაციასთან, მათ შორის გაზრდილი ტვირთბრუნვის შედეგად მიღებული მოგება და ტურიზმი. ასე რომ, პროექტის

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

პოტენციურმა დადებითმა ზემოქმედებებმა გადააჭარბა შესაძლო უარყოფით ზემოქმედებებს და გამოირიცხა „არაქმედების“ ალტერნატივა.

ხუთი ალტერნატივიდან, რომლებიც განხილული იყვნენ სოციალურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის შემუშავების ეტაპზევე უგულვებელყოფილ იქნა, სამი იდენტიფიცირებული შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მიზეზით, რომელიც მოიცავდა მიწათსარგებლობის სტრუქტურის შეცვლას, ძირითადი განსახლების/კომპენსაციის საჭიროებას. მოწონებული ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს გზის გაფართოებას ერთ მონაკვეთზე არსებული ტრასის ფარგლებში და გზის გადატანას გომის შემოვლით გზაზე ძირეულად იყო განხილული.

პროექტის აღწერა

E-60 გზატკეცილის გომის შემოვლითი გზის მონაკვეთის სიგრძე 12 კმ-ა. ეს წარმოადგენს შედარებით უფრო დიდი თბილისი-ლესელიძის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროგრამის ნაწილს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს არსებული ორზოლიანი გზის გაფართოებას ოთხზოლიან გზად, ასევე, ოთხზოლიანი გზის მონაკვეთის მშენებლობას ახალ ტრასაზე სადაც საჭიროა ხელახალი მარშრუტის გაყვანა. გზის პირველ მონაკვეთში მოხდება გზის გაფართოება არსებული გასხვისების ზოლის ფარგლებში. ახალი მონაკვეთი გვერდს აუვლის გომს და გაგრძელდება სოფელი აგარების მახლობლად (კმ 26.00) ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით სოფელი ქვემო ოსიალურის გვერდის ავლით 31კმ-მდე. ახალი გზა გაივლის მდინარე მტკვარის კალაპოტის სიახლოვეს. კალაპოტიდან გზის მინიმალური დაშორება 51მ-ს შეადგენს, რაც ჯდება მდინარე მტკვარის დამცავი 50მ-ანი ზონის ფარგლებში. პროექტი ითვალისწინებს ახალი ორ-ფენიან ესტაკადის მოწყობას გომის მიმართულებით; ორ გადასასვლელ გვირაბს; სარკინიგზო გადასასვლელს და 35მ სიგრძის ხიდს მდინარე სურამელაზე; შვიდ მსხვილფეხა საქონლის გადასასვლელს, 15 რკინა-ბეტონის კიუვეტს, სადრენაჟო კანალებს წყლის ჭებით დაქვისგან მოწყობილ წყლის ფილტრებს გზის გასწვრივ ატმოსფერული ნალექებისარინების მიზნით, ასევე გათვალისწინებული იქნება 3.8კმ სიგრძის ნაპირსამაგრი ქვაყრილი, მდინარე მტკვარის გასწვრივ. შეიძლება ითქვას რომ არსებული სტრუქტურები ნაკლებად იმტოფებიან წყალთან რაიმე სახის კავშირში და მათ ძირითადი დანიშნულებას ახალი გზის დაცვა წარმოადგენს.

გამყოფი ზოლი გზატკეცილისგანაცალკევებს ორ წყვილ ზოლად.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მოსავალტებული გზის გვერდულები გამოყენებულ იქნება საავარიო და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. სადრენაჟე სისტემა, უსაფრთხოების ბაიერები, განათება და საგზაო ნიშნები მოეწყობა გზატკეცილის მოდერნიზებული მონაკვეთის უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით. TEM სტანდარტის თანახმად, ყოველი ზოლის სიგანე იქნება 3.75 მ; გვერდულების - 3.75 მ; მოკირწყლული ბერმა - 3.00 მ; მოუკირწყლავი ბერმა - 0.75 მ; გამყოფი ზოლი - 5.00 მ (უსაფრთხოების ბარიერების ჩათვლით). გზის საერთო სიგანე შეადგენს 27.50 მ-ს. გზატკეცილის მონაკვეთების მოდერნიზაცია მოხდება ტრასის შეუცვლელად, არსებული გზის სავალი ნაწილი შეკეთდება და გვერდით აშენდება ახალი ორზოლიანი გზის სავალი ნაწილი.

მსგავს გზის პროექტებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მშენებლობაში დაკავებულ იქნება დაახლოებით 200 მუშახელი. აქედან 60% დან 70 % -მდე ადგილობრივი მუშახელი, რომლებიც დაქირავებული იქნება, როგორც საშუალო კვალიფიკაციის მქონე და არაკვალიფიცირებული მუშები, მშენებლობის პერიოდში.

მიწის შესყიდვის საკითხები შესწავლის ეტაპზეა ეპტისას მიერ და ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისი ინფორმაცია გათვალისწინებული იქნება გზმ-ს საბოლოო ანგარიშში.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია

გზატკეცილის, გომის შემოვლითი გზის მონაკვეთის გზმ შედგება:

- (i) სამუშაო მოცულობის განსაზღვრა;
- (ii) დეტალური ფონური მონაცემების შეგროვება;
- (iii) მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასება;
- (iv) შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა; და
- (v) გარემოსდაცვითი მართვისა და მონიტორინგის გეგმების განხორციელება.

გზმ-ს მომზადების პროცესი მოიცავს კამერალურ და საველე სამუშაოებს, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ლიტერატურის მიმოხილვას, სხვადასხვა სააგენტოებიდან მონაცემების შეგროვებას, ვიზუალურ დაკვირვებას (ფლორისა და ფაუნის შესწავლას) და გასხვისების ზოლის გაყოლებით, ხმაურისა და ატმოსფერული ჰაერისი მოდელირებას, ფაქტების დაზუსტებას და შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს. ტოპოგრაფიული აგეგმარებისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების, ტექნიკური ხასიათის ინფორმაცია დაკავშირებული ნაპირის გასამაგრებელ ნაგებობასთან, ხიდის მოწყობისა და სხვა კომპონენტის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები განხილულ იქნა. ასევე, საპროექტო

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედებები, რომელიმე სცილდება გასხვისების ზოლის საზღვრებს, როგორცაა: სამშენებლო კემპების მოწყობა, დროებითი მისასვლელი გზები და სხვა - სრულიად იქნა გათვალისწინებული. გზშ-ს მომზადების საწყის ეტაპზე განისაზღვრა საკვლევი ტერიტორიის სივრცული საზღვრები, მოსალოდნელი ზემოქმედებების იდენტიფიცირებისა და შეფასებისათვის და პროექტის ალტერნატივების შედარებითი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, მოცემულ გარემოებაში.

გარემოსდაცვითი ფონი

წინამდებარე გზშ მოიცავს ინფორმაციას ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს მახასიათებლებზე, საპროექტო ტრასის გასწვრივ. აღნიშნული აღწერითი სამუშაოს მიზანია დადგინდეს გარემოს ფონური მონაცემები, მოხდეს პოტენციური სენსიტიურობის იდენტიფიცირება და განისაზღვროს სათანადო რეაგირების ზომები, იმ ღონისძიებების მეშვეობით რომლებიც უზრუნველყოფს პოტენციური ნეგატიური ზემოქმედებების პრევენციას, შემცირებასა და შერბილებას.

შემოთავაზებული პროექტის თანახმად აღსადგენი გზატკეცილის 12 კმ-იანი გზის მონაკვეთი გაივლის სოფლის დასახლებებს სადაც გარემო დაბინძურება უმნიშვნელოა. ამჟამად, რეგიონში არ არსებობს დაბინძურების ან ხმაურის გამომწვევი ინდუსტრიები (წყაროები). ფიზიკური გარემო გზატკეცილის ობიექტის მონაკვეთის ირგვლივ, საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ არ ხასიათდება მდიდარი ბიომრავალფეროვნებით. ლანდშაფტი მის ირგვლივ ძირითადად შეცვლილია და მიწის ნაკვეთ ან კულტივირებულია ან დეგრადირებული. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ არის დაცული ტერიტორიები. საველე კვლევების დროს არ აღმოჩენილა რაიმე დაცული ნარგავების სახეობა. არც იშვიათი სახეობის თუ გადაშენების პირას მყოფი ძუძუმწოვრების არსებობა დაფიქსირებულა აღნიშნულ ტერიტორიაზე. მდინარეები და მიმდებარე ჭალები წარმოადგენენ ერთადერთ სენსიტიური ჰაბიტატებს, რომელიც ექცევა პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ, მშენებლობის ფაზის დროს.

ფონური კვლევა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- კლიმატი და მეტეოროლოგია;
- გეოლოგია, გეომორფოლოგია;
- ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია;

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- ნიადაგები, ლანდშაფტი და მიწათსარგებლობა;
- ჰაერის ხარისხი;
- ხმაური;
- სეისმური პირობები და საშიში პროცესები
- ფლორა და ფაუნა; და
- ისტორიული, არქეოლოგიური ადგილები;
- სოციალური გარემო

ფონური მონაცემების მიხედვით, შემოთავაზებული პროექტის ყველაზე მაღალი სენსიტიურობით გამოირჩევა ტრასის ის მონაკვეთი, რომელიც მდინარესთან ახლოს გადის. სამშენებლო ფაზაზე დაკავშირებულ რისკები მოიცავს მცენარეულ საფარზე და ნიადაგზე, ასევე წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესებას, ფლორისა და ფაუნის, წყლის ბინადართა შემფოთებას; ოპერირების ფაზაზე შესაძლო რისკებია: წყლის მიერ გზის ნაპირებზე მიყენებული დაზიანება. აღნიშნული რისკები სათანადოდ იქნა შესწავლილი საინჟინრო და გარემოსდაცვით თვალსაზრისით და შეფასდა როგორც - საშუალო. სამშენებლო ფაზის ზემოქმედებები შესაძლებელია შესუსტდეს, მდინარეებში მუშაობის მიღებული პრაქტიკის გამოყენებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი. გზის ნაპირების სტრუქტურული დაზიანება გამორიცხულია უახლოეს მომავალში, სათანადო საპროექტო გადაწვეტილებების მიღების შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია ნიადაგის ფიზიკურ სტრუქტურასა და ობიექტის ლანდშაფტთან, მაშინ როცა წყლის დინების პარამეტრების საზიანო ცვლილება ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან გზის ვაკისი უნდა მოეწყოს მდინარის მხოლოდ ერთი ნაპირის პატარა მონაკვეთზე.

სოციალური ფონის კვლევების შედეგად, გამოამკარავდა ყველაზე სენსიტიური სოციალური ასპექტი აღნიშნული პროექტის განხორციელებაში - მიწის ნაკვეთის აუცილებელი ათვისება. უმეტესობა დაზარალებული ოჯახების საარსებო წყარო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მიწის ნაკვეთებზე და საკუთრების მცირე ბიზნესზე, რომელიც შეიცვლება პროექტის განხორციელების ფარგლებში. აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს სათანადო დაგეგმარებისა და ადექვატური კომპენსირების პირობების მნიშვნელოვნებას და არსებობის წყაროს აღდგენის საკითხს, რომელიც უნდა შესრულდეს პროექტისათვის შემუშავებულ გასახლების პოლიტიკის ჩარჩოებში

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მოსალოდნელი ზემოქმედებები და შემარბილებელი ღონისძიებები

გზმ-ს შედეგებით მჟღავნდება, რომ პროექტის ძირითადი პოტენციური ზემოქმედებები დაკავშირებულია სამშენებლო ფაზასთან და დროებითი ხასიათისაა. გზმ-ს მთავარი მიზანი იყო ადექვატური რეკომენდაციების გაწევა პროექტის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციისა და შესუსტებისათვის. აღნიშნული რეკომენდაციები გამოიყენება გზის დაპროექტების, მშენებლობისა და ოპერირების ფაზებზე. დასახლებული პუნქტებისა და გარემოს რეცეპტორების ადგილმდებარეობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები, რათა შეძლებისდაგვარად შესუსტებულიყო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები:

- ზემოქმედება მცენარეულ საფარზე: გასხვისების ზოლის, განსაკუთრებით, გზატკეცილის ახალი საპროექტო ნაწილის გაწმენდა გულისხმობს მცენარეული საფარის აგებას, ხეების მოჭრის ჩათვლით. მცენარეული საფარის აღება შესაძლო მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ხეების მოჭრის შემთხვევაში, მოხდება კომპენსირება მათი გასხვისების ზოლში გადარგვის გზით 1:3 პროპორციით; რაც შეეხება კერძო მიწის ნაკვეთებიდან მათ მოჭრას, აღნიშნულის კომპენსაცია განხორციელდება გასახლების სამოქმედო გეგმის თანახმად. დარგვის სახეობები შეირჩევა ადგილობრივი ფლორის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. სამშენებლო მოედნის, გასხვისების ზოლის გასწვრივ გამწვანების საკითხი, ისევე როგორც, ხელახლა გაშენებული ადგილების მოვლა ერთი წლის განმავლობაში დაეკისრება მშენებელ- კონტრაქტორს. ნარგავების სამომავლო დაცვის საკითხი შევა საგზაო დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში.
- ადგილობრივი თემების შემფოთება: სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა, დროებითი კემპების მოწყობა და სამშენებლო მასალისა და ნარჩენების დროებითი დასაწყობება დაგეგმარდება ისე, რომ არ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი მოძრაობის შეფერხება. დასახლებული პუნქტების ახლოს, ჰაერის ხარისხის გაუარესება გაკონტროლდება სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური პირობების დაცვით. არ დაიშვება ძრავების უქმე რეჟიმში მოძრაობა. განსაკუთრებით სენსიტიური რეცეპტორების არსებობის შემთხვევაში, სამშენებლო ტექნიკის მუშაობა შეიზღუდება რეგულარული სამუშაო საათებით.
- საცხოვრებელი კემპებისა და მისასვლელი გზების ოპერირება:

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საცხოვრებელი კემპები და მისასვლელი გზები შეძლებისდაგვარად მოეწყობა უკვე ტრანსფორმირებულ ტერიტორიებზე, ლანდშაფტისა და ეკოსისტემის დეგრადაციის მინიმუმაციის მიზნით. კემპების მოწყობისას გათვალისწინებული იქნება მასალებისა და ნარჩენების საცავი ფართი და აღიჭურვება სეპტიკური ჭებით. მანქანა-მექანიზმების გაზგასამართი და ტექ.მომსახურების ადგილები, ისევე როგორც საშიში ნივთიერებების საცავი ადგილები აღიჭურვება მიწისქვეშა და დაღვრების საწინააღმდეგო ბარიერებით.

- ჰაერის დაბინძურება:** ჰაერის დაბინძურებას შესაძლოა ადგილი ქონდეს მიწის სამუშაოებისას, ღორღის დამსხვრევისა და ბეტონის არევის დროს; ასევე ტრანსპორტირებისას, ტექნიკის არასათანადო შეკეთებისა და ოპერირების, წვრილმარცვლოვანი ფრაქციების არაადექვატური დასაწყობებისა და მოუკირწყლავ და მტვრიან საფარზე ავტომობილების მოძრაობის შემთხვევაში. მტვრის გაფრქვევისა და ემისიების შემცირების მიზნით, მოხდება სამშენებლო ტექნიკის გამართულ მუშა მდგომარეობაში უზრუნველყოფა; შერევის აღჭურვილობა იქნება დალუქული. ბეტონის ქარხნის (დანადგარის) დამონტაჟება მოხდება დასახლებული პუნქტებიდან, სულ მცირე 300მ მოშორებით, ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით. სამშენებლო მანქანებისთვის დაწესდება დასაშვები სიჩქარე; ფხვიერი მასალა შეიფუთება ბრეზენტით და ისე მოხდება მისი სამშენებლო მოდენიდან გატანა. ადგილზე უზრუნველყოფილ იქნება საბურავების სარეცხი აპარატურა, რომელიც გამოყენებულ იქნება ყველა სატვირთო მანქანების მიერ სამშენებლო მოედნის დატოვებამდე. მშრალ ამინდებში მოხდება მოუკირწყლავი გზისა და დაუფარავი გრუნტის მნიშვნელოვანი ფართობის მორწყვა.
- სამშენებლო ტექნიკის ოპერირება:** რეგულარულად შემოწმდება სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური გამართულობა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურების შემთხვევა და ნიადაგის/წყლის დაბინძურება საწვავის დაღვრის შედეგად. მოეწყობა სპეციალური პარკირებისა და მომსახურების ადგილები, სადაც მოხდება ოპერატიული და ავარიული დაღვრის რისკების აღმოფხვრა; აღნიშნული ადგილები მოეწყობა წყალსადინარებისა და სხვა სენსიტიური გარემო რეცეპტორებისაგან მოშორებით.
- მიწის სამუშაოები:** ექსკავაციის სამუშაოების დაწყებამდე, მოხდება გრუნტის ზედა ფენის მოშორება და ცალკე დასაწყობება შემდგომი ფართის მოსწორების მიზნით; მოხდება ლანდშაფტის აღდგენა ქანობების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

აღნიშნული მოიცავს ბალახის დათესვასა და ხეების დარგვას.

- ხიდისა და ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა: წყალსადინარებში და მდინარეებში სამუშაოები არ იწარმოებს თევზების ტოფობის პერიოდში (ივნისი-სექტემბერი). სამუშაოები პერიოდში შემოწმდება მდინარეების სანაპიროების სტაბილურობა და საჭიროებისამებრ მოხდება მათი გამაგრება ეროზიის თავიდან აცილების მიზნით. გამოყენებულ იქნება ინერტული მასალების ბარიერები, მდინარის კალაპოტის ტერასული ნაწილებიდან სედიმენტაციის პრევენციის მიზნით. ხიდის საყრდენების ბეტონით ამოვსების დროს მინიმუმამდე შემცირდება სამუშაო დროის ხანგრძლივობა. თუ მდინარის ნაკადის კურსის დროებითი შეცვლა გახდება სავალდებულო მილსადენები, არხები და თევზსავალი ისე მოეწყობა, რომ უზრუნველყოფილი ქნას ალტერნატიული წყლის დინება და თევზების მოძრაობა. ყოველდღიურად შემოწმდება წყალსადინარების ახლოს და მდინარეებში მომუშავე მძიმე ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა, გაჟონვების, ოპერატიული და საპოხი მასალების დაღვრების პრევენციის მიზნით. მდინარეებთან არ მოხდება სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დასაწყობება. პროექტის მიხედვით სადრენაჟო არხები აღიჭურვება ფილრებით გზის ორივე მხარეს, რაც დაიცავს ზედაპირული წყლის დაბინძურებას სავალი გზიდან წარმოშობილი დამაბინძურებლებიდან, ავარიის თუ სხვა შემთხვევებში. ქვის ნამტვრევებით მოწყობილი ნაგებობა მდინარის პირას მოეწყობა, მისი დაცვის მიზნით, მას ექნება წყლის ნაკადთან.
- სამშენებლო ნარჩენების დაგროვება: ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება სამშენებლო ნარჩენების, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენებისა და სახიფათო ნარჩენების სეპარაციით. გამოყენებული ფილტრები, საბურავები და მანქანა დანადგარების საპოხი მასალები შეინახება დახურულ და იზოლირებულ საცავში. ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო მოედნიდან განხორციელდება სათანადო გრაფიკის თანახმად. ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მიიღება ოფიციალური ინსტრუქციები ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილმდებარეობის შესახებ, რომელიმე არსებულ ნაგავსაყრელზე. ისეთ მასალები, როგორცაა: გრუნტი და ღორღი შესაძლებელია გატანილ იქნას მუნიციპალური ნაგავსაყრელის გარეთ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნებართვის თანახმად და ეროვნული კანონმდებლობისა და მიღებული გარემოსდაცვითი პრაქტიკის შესაბამისად. გასატანი ნარჩენების მოცულობა გადამუშავების/მეორადი გამოყენებისა და მასალის უკუჩაყრის

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გზით, შეძლებისდაგვარად დაყვანილ იქნება მინიმუმამდე.

- კარიერებისა და ნიადაგების საბადოს ოპერირება: ინერტული მასალების შესყიდვა ნებადართული იქნება სათანადო ლიცენზიის მქონე იურიდიული თუ ფიზიკური პირისაგან. აღნიშნული მასალების მოპოვება ასევე შესაძლებელი იქნება სათანადო ლიცენზიის არსებობის საფუძველზე. არ მოხდება ახალი კარიერის გახსნა არსებული კარიერის შესაძლო გამოყენების შემთხვევაში. ნიადაგების საბადოსა და კარიერების ოპერირება, ისევე როგორც, ღორღის მოპოვების სამუშაოები მდინარის ტერასებიდან განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო უწყების (საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) მიერ გამოცემული ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანებით.
- ისტორიული, კულტურული და არქეოლოგიური საიტები: ყველა ცნობილი ისტორიული და კულტურული ძეგლი, რომელიც მდებარეობს გასხვისების ზოლის გასწვრივ, დადგინდა და დატანილ იქნა რუქაზე გზმ-ს პროცესში. გზატკეცილის გატარება არ გამოიწვევს ამ ძეგლების ფიზიკურ დაზიანებას. თუმცა, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ადგილი ექნეს შეთხვევით აღმოჩენებს მიწის სამუშაოებისას. თუ მოხდა არტეფაქტის აღმოჩენა სამუშაოების კონტრაქტორის მიერ, შესაბამისი პროცედურა იქნება განხორციელებული.
- შრომის დაცვა და უსაფრთხოება: საცხოვრებელი კემპები ისე მოეწყობა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ჰიგიენა და სანიტარია. მუშები და პროექტში დასაქმებული სხვა პერსონალი აღჭურვილი იქნებიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და აპარატით. ისინი გაივლიან ტრენინგს უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების განხრით. უზრუნველყოფილ იქნება სპეციალური უსაფრთხოების წესები მდინარეებში მუშაობისას.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

როგორც ზემოთ აღნიშნა, წინამდებარე გზშ მოიცავს გმგ-ს, შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების სრულ კომპლექსს, ისევე როგორც მონიტორინგის ინდიკატორებს. იგი ასევე აღწერს საგზაო დეპარტამენტის, როგორც ზედამხედველის ფუნქციას სამშენებლო სამუშაოების რეკომენდებულ შემარბილებელ ღონისძიებებთან შესაბამისობის საკითხში და განსაზღვრავს საგზაო დეპარტამენტის საჭიროებებს ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების სფეროში, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის სრული შესაბამისობა გარემოსდაცვითი კუთხით. ზედამხედველი-კონსულტანტი დაქირავებულ იქნება საგზაო დეპარტამენტის მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური კონტროლი და ხარისხის დაცვა.

გარემოს მონიტორინგი იქნება განუყოფელი ნაწილია კონსულტანტის დავალებისა და ინფორმაცია გმგ-სთან შესაბამისობის შესახებ შევა ხელმძღვანელის საგზაო დეპარტამენტისადმი რეგულარულ ანგარიშგებაში. საგზაო დეპარტამენტს დაკისრებულ ექნება საერთო პასუხისმგებლობა სათანადო გარემოსდაცვითი მზრუნველობის შესახებ. ეს გულისხმობს ზედამხედველ-კონსულტანტის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფას, საიტის ინსპექტირებას, დროულ რეაგირებას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც გამოვლენილ იქნება კონსულტანტის ან საგზაო დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ, ასევე პროექტის განხორციელების ყველა გარემოსდაცვითი ასპექტების აღრიცხვას.

სამუშაოების დაწყებამდე შერჩეულ სამუშაოთა კონტრაქტორს მოეთხოვება, შეიმუშაოს და საგზაო დეპარტამენტთან და მსოფლიო ბანკთან შეათანხმოს ნარჩენების მართვის (რომელიც უნდა მოიცავდეს გამონამუშევარის განთავსებას), სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა, ჯამრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის გეგმა და სხვა რაც ჩამოთვლილია სატენდერო ტექნიკურ სპეციფიკაციებში. სამუშაოთა კონტრაქტორი ასევე შეიმუშავებს და კლიენტთან შეათანხმებს გამწვანებისა და ლანდშაფტის აღდგენის გეგმას ხელშეკრულების განხორციელების შესაბამის ეტაპზე.

გზატკეცილის ექსპლოატაცია (ოპერირება)

E-60 მაგისტრალის რეაბილიტაციის მიზანია, მინიმუმამდე დაიყვანოს ინტერვენციების საჭიროება მისი ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების დროს. უსაფრთხო და სათანადო გარემოსდაცვითი ღონისძიების გატარება, წარმოადგენს უპირველეს პრიორიტეტს ოპერირების ეტაპზე, რომელიც დააკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებსა და საუკეთესო

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საერთაშორისო პრაქტიკას. საგზაო დეპარტამენტი გარე რესურსების დახმარებით, შეძლებს გზის მუდმივ ტექნიკურ მომსახურეობას და უფრო გრძელი ვადით, უზრუნველყოფს გასხვისების ზოლის გასწვრივ გამწვანების სამუშაოების ჩატარებას მშენებელი კონტრაქტორის მიერ, ლანდშაფტის აღდგენის მიზნით, სამშენებლო სამუშაოების დროს მოთხრილი ხეების კომპენსირებისათვის.

გზატკეცილის გასწვრივ, ორგანიზებულ იქნება მყარი ნარჩენების რეგულარული შეგროვება. რეგულარული ზედამხედველობით უზრუნველყოფილ იქნება გზატკეცილის სახელმწიფო ტექნიკური კონტროლი და ინსპექტირება. ნაპირდამცავი ნაგებობა არ შეცვლის ნაკადის ჰიდროლოგიას ან არ გამოიწვევს მიწის ნაკვეთის დატბორვას მდინარის მარჯვენა ნაპირას. რეაბილიტირებული გომის შემოვლითი საგზაო მონაკვეთის ექსპლოატაცია სავარაუდოდ არ გამოიწვევს ხმაურის დონის გაზრდას და არ გადააჭარბებს დადგენილი ხმაურის დონის სტანდარტებს, მოკლე და საშუალო-ვადიანი პერსპექტივით და ქედან გამომდინარე, მოცემულ მომენტში არ არსებობს შემარბილებელი ღონისძიებების გატარების საჭიროება. ხმაურის დონის გადაჭარბების შემთხვევაში, სამომავლოდ, როცა სავარაუდებია საგზაო მოძრაობის ინტენსიურობის გაზრდა გრძელვადიანი პერსპექტივით, საგზაო დეპარტამენტი დაამონტაჟებს ხმაურსაწინააღმდეგო ბარიერებს და გაითვალისწინებს დამატებით, გასხვისების ზოლის გამწვანების სამუშაოებს, გზშ-ს ანგარიშში გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

2 შესავალი

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ქვეყნის ძირითადი გზების მოდერნიზების პროგრამას, რომელიც ტარდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობით. პირველადი კვლევები ფოკუსირებულია E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ საავტომობილო მაგისტრალზე (EWH), რომელიც წარმოადგენს მეზობელი ქვეყნების აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის და ასევე სომხეთსა და თურქეთს შორის ძირითად დამაკავშირებელ გზას.

საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტიდან დაასრულა E60 მაგისტრალის პირველი 15კმ -იანი ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის მოდერნიზაცია. 2006 წელს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დაამტკიცა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პირველი პროექტი - მაგისტრალის შემდეგი მონაკვეთის ალაიანი-იგოეთის (დაახლოებით 13კმ) მონაკვეთის მოდერნიზაციისთვის და დამატებითი დაფინანსება რიკოთის გვირაბის რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტით გაგრძელდა იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის მოდერნიზაცია (დაახლოებით 24კმ მონაკვეთი). სამუშაო დაფინანსდა მსოფლიო ბანკის მიერ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთ-დასავლეთის E60 მაგისტრალის სვენეთი-რუისის მონაკვეთის მოდერნიზაცია (15კმ) მომდევნო მონაკვეთის გაუმჯობესება. მოხდა დამატებითი თანხების გამოყოფა, რათა მოხდეს რუისი და აგარის შემოვლითი გზის შორის არსებული გზის მონაკვეთის განახლება. ეს პროექტი განხორციელების ფაზაშია. მოგვიანებით, საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკს თხოვა დახმარება გაეწია E60 მაგისტრალის განახლების მიზნით. აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ამ ეტაპზე შემუსავების პროცესში იმყოფება. მან უნდა დაფაროს აგარას დასავლეთსა და გომის აღმოსავლეთით განლაგებული გზატკეცილის მომანკვეთი, რომელიც მდებარეობს 114-126კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით ქ. თბილისიდან (ნახაზი 4.1).

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაო, რაც გულისხმობდა აღნიშნული მონაკვეთის ტექნიკურ ეკონომიკური შეფასებას და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული კვლევას.

პროექტის მიზანშეწონილობის კვლევა ჩატარდა Kocks Consult –ის მიერ 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის აგვისტოს პერიოდში, რეგიონალური გარემოსდაცვითი შეფასება განახორციელა Nippon Koei-მა (დიდი ბრიტანეთი) 2009 წლის მარტ-აგვისტოში.

პროექტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის (დამფინანსებელი) პოლიტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც inter alia გულისხმობს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი მსოფლიო ბანკის OP/BP 4.01 მიხედვით, მიეკუთვნება A¹ კატეგორიას.

ეროვნული რეგულაციებისა და დამფინანსებლის მოთხოვნების შესაბამისად პროექტი მიეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ კატეგორიას. ამის გათვალისწინებით, მისთვის ჩატარდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დეტალური შეფასება საქართველოს და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

გზმ-ის შედეგს წარმოადგენს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ჩატარებული ანალიზი.

გზმ-ს მიზანია:

- პროექტის გარემოზე ნეგატიური და პოზიტიური ზემოქმედების შესწავლა, უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების, მინიმიზაციის, შერბილების ან კომპენსაციის და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- პროექტის ალტერნატივების ანალიზი;
- ტექნიკური ინფორმაციის და ალტერნატივებიდან საუკეთესოს შერჩევითვის რეკომენდაციების მოწოდება;

¹ პროექტი კლასიფიცირდება გარემოსდაცვითი შეფასების “A კატეგორიით”, თუ მას გააჩნია გარემოზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების პოტენციალი, რომელიც სენსიტიური, მავნე ან უპრეცედენტოა. წარმოდგენილ შემთხვევაში პროექტი “A კატეგორიით” კლასიფიცირება დაკავშირებულია ძირითადად მისი მდებარეობაზე და არა გარემოზე ფიზიკური ზემოქმედების ტიპისა და მასშტაბურობის გამო;

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების იმ საკითხებში ჩართულობის უზრუნველყოფა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ მათზე;
- გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს შერბილების ღონისძიებების პროგრამას, მონიტორინგის გეგმას და მისი შესრულებისთვის საჭირო ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განსაზღვრას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია მაგისტრალის აგარა დასავლეთი-დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ-126კმ) ბიოფიზიკურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის და გარემოს დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

3 საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო

3.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ეფუძნება შემდეგს:

- ეროვნულ გარემოსდაცვით საკანონმდებლო ბაზას და რეგულაციებს. კანონებს და მარეგულირებელ დოკუმენტებს- წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ჰაერის შესახებ, რომლებიც მოიცავენ ხარისხის სტანდარტებს;
- ეროვნულ დონეზე მოქმედ კანონებს და მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომლებიც განიხილავენ სოციალურ და მიწის მფლობელობის საკითხებს;
- მსოფლიო ბანკის პოლიტიკასა და სამუშაო პროცედურები;
- ეროვნულ დონეზე მოქმედი გზის მშენებლობის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- საავტომობილო მაგისტრალისთვის გარემოსდაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების (EHS) და ზოგადი EHS სახელმძღვანელო დოკუმენტების გათვალისწინებით (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, WB ჯგუფი, აპრილი 30, 2007);
- მსოფლიო ბანკის ტექნიკური ანგარიშის - გზები და გარემოს (No. 376 - Roads and the Environment. A Handbook" (1997)) რეკომენდაციები;

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის რეგულაციები მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება (1999),

OP/BP 4.04 ბუნებრივი ჰაბიტატები (2001, განახლებული 2004-ში);

OP/BP 4.09 მავნებლების მენეჯმენტი (1998, განახლებული 2004),

OP/BP 4.10 ადგილობრივი მოსახლეობა (2005);

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

OP/BP 4.11 ფიზიკური და კულტურული მემკვიდრეობა (2006, განახლებული 2012-ში),

OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება (2001, განახლებული 2012-ში)

OP/BP 4.20 გენდერული საკითხები და განვითარება (2003, 2012-ში განახლებული);

OP/BP 4.36 ტყეები (2002, 2004-ში განახლებული).

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.

საქართველოს გარემოსდაცვითი სამართალი მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველო მიერთებულია საერთაშორისო, მათ შორის გარემოსდაცვით საერთაშორისო კონვენციებს.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული ქვემოთ მოცემულია პროექტთან დაკავშირებული კანონებისა და რეგულაციების ნუსხა.

ცხრილი 3.1 პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი კანონებისა და რეგულაციების ნუსხა

წელი	კანონი/რეგულაცია
1994	კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (შესწორ. 1997, 2002)
1996	კანონი წიაღის შესახებ (შესწორ. 1999, 2002, 2004, 2005)
1996	კანონი გარემოს დაცვის შესახებ (შესწორებული 2004-ში)
1997	კანონი ველური ბუნების შესახებ შესწორ. 2001, 2003, 2004)
1997	კანონი წყლის შესახებ (შესწორ. 2003, 2004, 2005, 2006)
1999	კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (შესწორ. 2000, 2007, 2008)
1999	საქართველოს ტყის კოდექსი (შესწორ. 2000 2001, 2003, 2005, 2006)
1999	საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ (შესწორ. 2002, 2003)
2002	გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონი - დამტკიცებული გარემოს დაცვის მინისტრის № 59 ბრძანების საფუძველზე
2005	კანონი საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ (შესწორ. 2006)
2005	კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ
2007	გარემოზე ზემოქმედების ნებართვის კანონი
2007	კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ
2007	კანონი გარემოსდაცვითი მომსახურების შესახებ
2007	ჯანმრთელობის დაცვის კანონი
2011	კანონი გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის შესახებ

პროექტში გამოყენებადი სოციალური და მიწის მფლობელობის საკითხებთან დაკავშირებული სხვა კანონები და რეგულაციები მოიცავს:

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე
შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე
ზემოქმედების შეფასება

**ცხრილი 3.2 პროექტთან დაკავშირებული სოციალური და
მიწის მფლობელობის საკითხების მარეგულირებელი კანონები და
რეგულაციების ჩამონათვალი**

წელი	კანონი/რეგულაცია
1997	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
1997	საქართველოს კანონს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიწით გამოყენებისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.
1999	საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის შესახებ
2005	საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ
2005	საქართველოს კანონი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ
2007	საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ
2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ
2007	საქართველოს კანონს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ

პროექტთან დაკავშირებული სხვა კანონები

წელი	კანონი/რეგულაცია
1994	საქართველოს კანონი გზების შესახებ
1999	საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ
1999	კანონი სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და სამშენებლო პროცესის დამტკიცების შესახებ
1999	საქართველოს კანონი პროექტების ლიცენზირების-სამშენებლო სამუშაოების შესახებ
2006	საქართველოს კანონი სანაპირო ზოლისა და მდინარეების ნაპირების საინჟინრო დანიშნულების დაცვის რეგულაციების შესახებ

**3.2 გზის მშენებლობასთან დაკავშირებული საქართველოში
მოქმედი ნორმატიული აქტები**

ხიდების, ვიადუკების, ესტაკადების და მილსადენების პროექტირება რეგულირდება 2.05.03-84. სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით, ხოლო სატრანსპორტო გვირაბების პროექტირება კი II-44-78. ნორმებისა და წესების შესაბამისად.

სამშენებლო ნორმები და წესები (SNR 2.05.02-85 მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები) არეგულირებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას, გარემოსდაცვით საკითხებს, განსაზღვრავს ძირითად

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ტექნიკურ და მოძრაობის ნორმებს, გზაჯვარედინების, გადასასვლელების, გზის მოკირწყვლის ასპექტებს და სხვა.

ამ დოკუმენტის შესაბამისად I კატეგორიის გზისთვის² განსაზღვრულია შემდეგი გარემოსდაცვითი ასპექტები:

- მანძილი გზის სავალი ნაწილის პირიდან დასახლებულ უბანამდე არ უნდა იყოს 200 მ-ზე ნაკლები;
- ტექნიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან ერთად აუცილებელია გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება;
- დროებითი ინფრასტრუქტურის და გზის საფუძვლის მოწყობამდე, მიწის ზედა ნაყოფიერი ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს, სამუშაოს დასრულების და დროებითი ინფრასტრუქტურის დაშლის შემდეგ ტერიტორიის რეკულტივაციისთვის მის გამოყენებამდე;
- თუ გზა საცხოვრებელ პუნქტთან ახლოს მდებარეობს (მანძილი 200მ), გასათვალისწინებელია ხმაურის შემამცირებელი ღონისძიების გატარება (ხმაურჩამშობი ბარიერების მოწყობა) გატარება. ამ მიზნით შესაძლებელია მავრანირებელი კედლების, მცენარეული ბარიერების და სხვა მოწყობა;
- მდინარეების, ტბების და წყალსაცავების გასწვრივ გზის მშენებლობისას აუცილებელია ზედაპირული წყლების დაცვის ზონის საზღვრების გათვალისწინება.

3.3 გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა - ეროვნული და მსოფლიო ბანკის რეგულაციები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პროექტის განსახორციელებლად საჭიროა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღება გარემოს დაცვის სამინისტროსგან, განმცხადებლის მიერ წარდგენილი გზშ-ს ანგარიშის გადაწყვეტილების მიმღების მიერ ექსპერტიზის საფუძველზე.

განაცხადის წარდგენის და ნებართვის გაცემის პროცედურა, გზშ-ს კოორდინირება, ინფორმაციის საჯაროობის, საჯარო განხილვისა და დისკუსიისათვის ვადები დადგენილია **საქართველოს კანონით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ** და მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

² გზის კატეგორიები განისაზღვრება ტრანსპორტის ყოველდღიური ნაკადის შესაბამისად: კატეგორია I – 7000მ ანქანა დღეში; კატეგორია II – 3000-7000 მანქანა დღეში; კატეგორია III – 1000-3000 მანქანა დღეში; კატეგორია IV – 100-1000 მანქანა დღეში; კატეგორია V – 100-ზე მეტი მანქანა დღეში.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საფეხური 1. დაგეგმილი პროექტის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ცენტრალურ და რეგიონულ გაზეთებში. განცხადება უნდა მოიცავდეს საქმიანობის დასახელებას, ადგილმდებარეობას, საქმიანობის განხორციელების ვადებს და საჯარო განხილვებისთვის შეხვედრის(ების) დროს და ადგილს. მასში ასევე მოცემული უნდა იყოს, თუ სადაა შესაძლებელი გზშ-ის დოკუმენტის ნახვა და მასთან დაკავშირებული შენიშვნების წარდგენა.

საფეხური 2. ინფორმაციის გაზეთში გამოქვეყნებიდან ერთ კვირაში საქმიანობის განმახორციელებელი გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგენს გზშ-ს ანგარიშს (ნაბეჭდი და ელექტრონული სახით). ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე გამოყოფილია გზშ-ზე საზოგადოების შენიშვნების მისაღებად. ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 დღისა და არა უგვიანეს 60 დღისა უნდა მოეწყოს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეთა (სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა) შენიშვნების მიღების მიზნით. შეხვედრებიდან 5 დღის ვადაში გარემოს დაცვის სამინისტროს გადაეცემა შეხვედრების ოქმი (შენიშვნებისა და დისკუსიების რეზიუმე).

საფეხური 3. შეხვედრების დროს დაინტერესებულ მხარეთა ყველა სიტყვიერი ან წერილობით წარმოდგენილი შენიშვნა განიხილება და მიიღება მხედველობაში გზშ-ის ანგარიშის საბოლოო ვერსიის მომზადებისას. გზშ-ს საბოლოო ანგარიშს, დანართის სახით, დაერთვება ყველა წერილობით შემოსული კომენტარის ასლი, შეხვედრის ოქმები, კომენტარებზე/შენიშვნებზე გაცემული პასუხების ჩათვლით. გზშ ანგარიშის საბოლოო ვარიანტი პროექტის სიტუაციური რუქასთან, რეზიუმესთან, მოსალოდნელი ემისიების დასაშვები ნორმების ანგარიშებთან ერთად განსახილველად წარედგინება გარემოს დაცვის სამინისტროს და ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის. ნებართვის გაცემის ან გაუცემლობის საკითხი წყდება დოკუმენტაციის წარდგენიდან 20 დღეში.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (კანონი სამშენებლო ნებართვის შესახებ; კანონი ლიცენზიების და ნებართვების შესახებ, 2005) ავტომაგისტრალის მშენებლობა-მოდერნიზაცია სამშენებლო ნებართვას მოითხოვს. (ნებართვის გაცემის პროცედურა აღწერილია საქართველოს კანონში სამშენებლო ნებართვის შესახებ)

კანონმდებლობის მიხედვით ნებართვის გამცემი - ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო) უზრუნველყოფს გარემოს დაცვის სამინისტროს და სხვა უწყებების ჩართვას ნებართვის გაცემის პროცესში. მშენებლობის ნებართვა თავის თავში მოიცავს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გარემოზე ზემოქმედების ნაბართვა საჭიროა ასფალტის /ბეტონის ქარხნების ფუნქციონირებისთვის (მათი გამოყენების შემთხვევაში). საკუთარი საბადოს გამოყენების სურვილის შემთხვევაში აუცილებელია ბუნებრივი რესურსის გამოყენების ლიცენზიის მიღება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან. ყველა სხვა საკითხი დაკავშირებული სამშენებლო ნარჩენების, გამოუყენებელი ასფალტის განთავსებასთან უნდა შეტანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.

მსოფლიო ბანკის რეგულაციების შესაბამისად გზის განსახილველი მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტი A კატეგორიას მიეკუთვნება. რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს გარემოზე ზემოქმედების დეტალური შეფასების ჩატარება.

3.4 ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შედარება

ქვემოთ წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის მოთხოვნებსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის ძირითად განსხვავებები:

- სკრინინგი და კლასიფიკაცია: მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დოკუმენტებში დეტალურად არის აღწერილი სკრინინგის, სკოუპინგისა და გზშ-ს მომზადების პროცედურები და მოცემულია ეტაპების სრული ნუსხა, რომლებიც არა არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით.
- ეკოლოგიური რისკის, კულტურული მემკვიდრეობის, განსახლების საჭიროების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მსოფლიო ბანკი პროექტებს ყოფს A, B და C კატეგორიებად. როგორც აღვნიშნეთ საქართველოს კანონმდებლობით გზშ მომზადება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დეველოპერი ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პროცედურებისა და ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების ნუსხაში მოცემულ პროექტებს. აღნიშნული ნუსხა შეესაბამება მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით დადგენილ პროექტების A კატეგორიას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გზშ არ მოეთხოვება სხვა კატეგორიის პროექტებს, მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკის რეგულაციების შესაბამისად ბანკს შეუძლია მოითხოვოს მოკლე გარემოსდაცვითი შეფასება ან გარემოსდაცვითი მიმოხილვა B კატეგორიის საქმიანობისთვის.
- გარემოსდაცვითი მართვის გეგმა: საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ფორმატს და მათი შემუშავების ეტაპს პროექტის გზშ-ს მომზადების განმავლობაში, ასევე იმ პროექტებს, რომლებსაც არ მოეთხოვებათ გზშ, ასევე არ მოეთხოვებათ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის მომზადება. მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით A და B კატეგორიის პროექტებს აუცილებელია გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის შემუშავება,

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ბანკის რეგულაციებში მოცემულია ინსტრუქცია ამ გეგმის შინაარსთან დაკავშირებით.

- იძულებითი განსახლება: ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იძულებითი განსახლების საკითხს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის არც ერთ ეტაპზე. საქართველოს კანონმდებლობა სოციალურ ფაქტორს განიხილავს მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით (მაგ. თუ პროექტი შეიცავს მეწყრის ან საშიში ნივთიერებების ემისიის რისკებს ან სხვა ანტროპოგენურ ზემოქმედებას). ამგვარად, ეროვნული კანონმდებლობა ნებართვის გაცემის პროცესში არ განიხილავს განსახლების საკითხს, განსხვავებით მსოფლიო ბანკის ამ საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომისა.
- გზმ განხორციელების პასუხისმგებლობები: მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკი განსაზღვრავს მსესხებლის პასუხისმგებლობას გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გზმ-ს მომზადებაზე და კონსულტაციების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პროექტის განმხორციელებელია. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გარემოს დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების, მის სტანდარტებთან შესაბამისობასა და გზმ-ში მოცემული ვალდებულების შესრულების მონიტორინგზე. სამინისტროს როლი გარემოს დაცვითი მენეჯმენტის გეგმასთან დაკავშირებით ნაკლებად არის განსაზღვრული. გზმ-ს დაქვემდებარებული პროექტის განმხორციელებელი პასუხისმგებელია „თვით-მონიტორინგის“ პროგრამის განხორციელებაზე. მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დოკუმენტები ყურადღებას ამახვილებს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის როლზე, რომელიც მნიშვნელოვანია ყველა კატეგორიის პროექტისთვის. პროექტის განმხორციელებელს მოეთხოვება გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმაში მონიტორინგის სქემების და გეგმების გათვალისწინება. პროექტის განხორციელების მენეჯმენტის გეგმასთან შესაბამისობის მონიტორინგი მსოფლიო ბანკის მოთხოვნების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.
- კონსულტაციები: მსოფლიო ბანკი ითვალისწინებს კონსულტაციებს A და B კატეგორიის პროექტებისთვის (მინიმუმ 2 კონსულტაცია A კატეგორიისთვის) და ითხოვს მსესხებლის მიერ კონსულტაციების განრიგის შემუშავებას. ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული საკითხის შესახებ დღემდე მხოლოდ მოკლე შენიშვნაა მოცემული, განხორციელების რეალური ბერკეტის მითითების გარეშე. ნებართვის გაცემის პროცედურის და გზმ-ს პირობების შესახებ მთავრობის ბრძანებულებაში შეტანილი შესწორებები განსაზღვრავს გზმ-ს პროცესში საზოგადოებასთან კონსულტაციების მოთხოვნებს. მის თანახმად, პროექტის განმხორციელებელი ვალდებულია (i) უზრუნველყოს კონსულტაციები საზოგადოებასთან, (ii)

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ინფორმაცია გახადოს ხელმისაწვდომი, (iii) მიიღოს კომენტარები 45 დღის ვადაში, (iv) ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 60 დღისა მიიწვიოს დაინტერესებული მხარეები საჯარო განხილვაზე და განსაზღვრის კონსულტაციების ჩატარების ადგილი.

წინამდებარე გზშ შესრულდა ორივე - საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო ბამკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3.5 ინსტიტუციონალური ჩარჩო

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პროექტის მიმდინარეობის ზედამხედველობას, მონიტორინგს, პროექტის მართვას, შესყიდვებს და ფინანსურ მხარდაჭერას.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის (RD) ვალდებულებები მოიცავს, როგორც მინიმუმ, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და გზის საბოლოო პროექტის შეფასებას, გზის რეაბილიტირებული მონაკვეთების მიღება-ჩაბარებას. RD-ის ვალდებულებები აგრეთვე ითვალისწინებს გზის ტექნიკურ მომსახურებას, თუმცა მისი განხორციელება შესაძლებელია კერძო საწარმოს მიერ. ტექნომსახურება მოიცავს მომსახურებას ზამთრის განმავლობაში, გზის საფარის რეგულარულ შემოწმებასა და შეკეთებას, მათ შორის წყალსარინების, უსაფრთხოების ბარიერების, გზის მარკირების და ნიშნების მოწესრიგებას და ა.შ. მომსახურებას. გზის გასწვრივ ნაგვის შეგროვება RD-ს კონტრაქტორის მიერ ხორციელდება.

გარემოს დაცვის სამინისტრო (MoE) პასუხისმგებელია პროექტის გზშ-ის განხილვისა და შემდგომი სახელმწიფო ექსპერტიზის საფუძველზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე. MoE-ს როგორც კომპეტენტური ორგანოს უფლებებს წარმოადგენს:

- იმ საქმიანობის შეჩერება, შეზღუდვა და შეწყვეტა, რომელიც იწვევს ან შესაძლებელია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება გარემოზე, ასევე ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში;
- სხვადასხვა ლიცენზიების (ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის) და ნებართვების (გარემოს ზემოქმედებისთვის) გაცემა;
- პროექტის განმახორციელებლის მიერ შესრულებული შემარბილებელი ღონისძიებების კონტროლი, ბუნებრივ რესურსებზე, მონიტორინგის სისტემებზე, ნარჩენების მართვის შესახებ ინფორმაციის და სათანადო უწყებებიდან პროექტის შესახებ განმარტებების მიღების მიზნით.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

იმ სამინისტროების/უწყებების ნუსხაში, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ პროექტის შეთანხმების პროცესში შედიან:

- ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცული დაგეგმარების და მშენებლობის პოლიტიკის დეპარტამენტი;
- ენერჯეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი;
- გარემოს დაცვის სამინისტროს (MoE) დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვის სააგენტო;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტი (კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო);
- შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები ასრულებენ ძირითად ადმინისტრაციულ საქმიანობას, რომელიც მოიცავს მიწათსარგებლობისა და მიწის განაწილების საკითხებს.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

4 პროექტის აღწერა

4.1 პროექტის მიზნები და სტრუქტურა

EWHP-4 პროექტის მიზნებია განავიტაროს შემდეგი:

- ა). წვილი შეიტანოს საგზაო მოძრაობის ღირებულების ეტაპობრივად შეამცირებისა და გზების უსაფრთხოების გაუმჯობესებაში პროექტის ფარგლებში განახლებული გზის მონაკვეთის გასწვრივ;
- ბ). საგზაო დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა და შესაბამისი სამთავრობო ერთეულების, რათა შემდგომში უკეთესად შეძლონ საგზაო ქსელებისა და მოძრაობის უსაფრთხოების დაგეგმვა და მართვა;

პროექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

კომპონენტი 1: აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილის გაუმჯობესება და აქტივების მართვა

მოხდება შემდეგის განხორციელება:

- ა). არსებული 2 ხაზიანი E60 აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილის გადაკეთება 4 სავალინი ზოლის გზატკეცილად აგარის შემოვლითი გზიდან სოფელ გომამდე, რომელიც მოიცავს იმავე სოფლის შემოვლით გზას, რომელიც სრულდება დიდ სატივესთან.
- ბ). 4 სავალიანი ხაზის მქონე E60 გზატკეცილის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება, რუისსა და ნატახტარს შორის.
- გ). სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, რათა მოხდეს მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდა ნატახტარსა და ხაშურს შორის არსებული გზის მონაკვეთის მისასვლელი გზებისა და გომსა და ხაშურს შორის არსებული მონაკვეთისა, რომელიც E60 გზატკეცილის გასწვრივ მდებარეობს.
- დ). E60 გზატკეცილის გასწვრივ დასრულებულ მონაკვეთზე, ნატახტარსა და რუისს შორის გარემოდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მისაღები ზომების რეალიზება.
- ე). მშენებლობის ზედამხედველობა და ხარისხის უზრუნველყოფა.

კომპონენტი 2. ინსტიტუციონალური გაძლიერება

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ეს კომპონენტი ითვალისწინებს მსოფლიო ბანკის მიერ წარმოებული პროექტების ფარგლებში ინსტიტუციონალური გაძლიერების თვალსაზრისით გაწეული დახმარების გაღრმავებას, რაც შემდეგში გამოიხატება:

კომპონენტი 2A. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინსტიტუციონალური გაძლიერება

ა). საგზაო სექტორის სტარტეგიის გადახედვა და მისი გაუმჯობესება

ბ). რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დახმარება, საქართველოში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მართვის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება ადგილობრივი სამშენებლო საქმიანობით დაკავებული მწარმოებლებისათვის.

გ). რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განვითარება და სამუშაო ძალების უკეთესად გადანაწილების კუთხით შესაბამისი ზომების მიღება.

კომპონენტი 2B. საგზაო დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება

ა). ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლება, სამუშაოთა სწორი გადანაწილება და განვითარების მიზნით ზომების მიღება;

ბ). სტრატეგიული გზამკლევის შექმნა, E60 გზატკეცილის ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის უზრუნველყოფის მიზნით, თბილისიდან თურქეთის საზღვრამდე.

კომპონენტი 3. E60 გზატკეცილის განვითარების მიზნით სამომავლო პროექტების შემუშავება (წინასწარი გათვლებით 11.9 მილიონი აშშ დოლარი)

ეს კომპონენტი ითვალისწინებს კომპონენტ A-ში გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსებას და მოსამზადებელი სამუშაოების მომავალში E60 გზატკეცილის გაუმჯობესებას დასავლეთის მიმართულებით. დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს შემდეგს:

ა). ნატახრასა და რუისს შორის არსებული E60 გზატკეცილის გზის განახლებული მონაკვეთის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით შესწავლის წარმოებას.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ბ). საგზაო უსაფრთხოების გაუჯობესების მიზნით შესწავლის წარმოებას და პროექტირებას.

გ). სოციალური-ეკონომიკური დასაბუთების განახლება, წინასწარი საინჟინრო საპროექტო სამუშაოების ჩატარება განახლებული E60 გზატკეცილზე რიკოთის გვირაბის ახალი საპროექტო გადაწყვეტა, ჩუმალათელეთსა და არგვეთს შორის მონაკვეთზე.

კომპონენტი 4. პროექტის მართვა (განსაზღვრული ბიუჯეტი დაახლოებით 1,5 მილიონი აშშ დოლარი)

ა). საგზაო დეპარტამენტის დახმარება. ეს კომპონენტი აფინანსებს პროექტის მართვის მიზნით გასაწევ ხარჯებს, რომელიც უნდა გაიღოს გზის დეპარტამენტმა (1) ძირითადი სამოქალაქო სამშენებლო დანიშნულების საქმიანობა და (2) პროექტის ფარგლებში გასაწევი საკონსულტაციო მომსახურება.

ბ). ფინანსური აუდიტი, პროექტის მონიტორინგი და შეფასების მომსახურება.

რუისი-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთი რუისი-რიკოთის E-60 49კმ-იანი მაგისტრალის ნაწილს წარმოადგენს. წინამდებარე გზა მოიცავს E-60 მაგისტრალის 19 კმ სიგრძის გზის მონაკვეთს რუისიდან აგარის დასავლეთამდე (ნახაზი 4.1).

არსებული გზის მონაკვეთი რუისიდან რიკოთამდე ორზოლიანია, საგარის სიგანით დაახლოებით 9მ. გვერდულის სიგანე იცვლება 2.5-დან 3 მ-მდე.

რუისი-აგარას შემოვლით გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია გულისხმობს ორზოლიანი გზის გადაკეთებას ოთხზოლიან, ცენტრალური გამყოფი ზოლით განცალკევებულ ორი ორმაგი სავალი ნაწილის მქონე გზად, მოკირწყლული გვერდებით, წყალსარინებით, უსაფრთხოების ბარიერებით, განათებით, მარკირებით, და ა.შ.


პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ტექნიკური დავალების თანახმად პროექტი უნდა განხორციელდეს TEM სტანდარტის შესაბამისად (ტრანსევროპული ჩრდილოეთ - სამხრეთია ავტომაგისტრალი). ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თითოეული ზოლის სიგანე იქნება 3.75 მ და თითოეულ სავალ ნაწილს ექნება 3.75 მ-ს გვერდული, 3.00 მ მოკირწყლული და 0.75 მოუკირწყლავი ბერმები; ცენტრალური გამყოფი ზოლი, უსაფრთხოების ბარიერების ჩათვლით იქნება 5.00 მ სიგანის, შესაბამისად გზის სრული სიგანე იქნება 27.50მ. იქ

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

სადაც მოხდება არსებული გზოს გაფართოება, სავალი ნაწილები შეკეთდება და მის გასწვრივ აშენდება ახალი ორზოლიანი სავალი ნაწილი.

საპროექტო გზის მონაკვეთი იწყება 94.5 კმ-ზე და მიუყვება სოფ. რუისის და ურბნისის სასოფლო სამეურნეო სავარგულებს და მიდის 102 კმ-ზე მდებარე არადეთამდე. რუსიდან აგარამდე მონაკვეთი ძირითადად არსებულ გზას მიუყვება. სალოლაშენის სამხრეთით გზა ოდნავ სცილდება არსებულ და ინაცვლებს სამხრეთით. არადეთის შემდეგ, კმ 104.4-დან გზა გადის დაუსახლებელ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე აგარამდე.

აგარა მდებარეობს გზის კმ 108.3 – კმ 111.1 მონაკვეთის გასწვრივ. აქედან კმ 114-მდე გზის მონაკვეთი დაუსახლებელ სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტს კვეთს.



ნახაზი 4.1 E-60 მაგისტრალის რუისი-აგარას შემოვლითი გზის მონაკვეთი. ტექნიკურ და გარემოსდაცვით/სოციალურ შეფასებას დაქვემდებარებული მარშრუტის ალტერნატივები

4.2 ფონური სიტუაცია

საქართველოს მთავრობამ წამოიწყო ქვეყნის ძირითადი გზების განახლების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის მეზობელ ქვეყნებში. პროგრამის ორგანიზებას ახორციელებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტი. პროექტის ფარგლებში ხორციელდება E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთი მაგისტრალის განახლება, რომელიც იწყება რუსეთი და აზერბაიჯანიდან, უერთდება თურქეთს და აგარა დასავლეთს-დიდი სატივეს მონაკვეთს E-60 სომხეთის მაგისტრალს. გეგმის მიხედვით E-60 დაიყო რამდენიმე მონაკვეთად. წინამდებარე პროექტი, რომელიც განხილვის პროცესშია ეხება რუისი-რიკოთის 49კმ სიგრძის გზატკეცილის მონაკვეთს,

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

არსებული მონაკვეთი ტექნიკური დავალების მიხედვით შედის გზატკეცილის ქვე-მონაკვეთებში:

- რუსი-აგარა (95კმ-106კმ);
- აღმოსავლეთი აგარა-დიდი სატივე (106კმ-121კმ);
- დიდი სატივე-რიკოთის გვირაბი (121კმ-143კმ).

არსებული გზა რუსიდან რიკოთამდე 2 ხაზიანია, მისი გზის საფარის სიგანე დაახლოებით 9.00მ-ა და გვერდულის სიგანე მერყეობს 2,50მ სა და 3.00მ-ს შორის.

გაუმჯობესებას განხილული სამშენებლო მონაკვეთის გასწვრივ იგეგმება შემდეგი სტრუქტურული ელემენტების მოწყობა:

- ხუთი გზაჯვარედინი;
- ოთხი ხიდი (მდ. ფრონეზე, ფცაზე, სარკინიგზო ხაზზე და სოფლის გზაზე);
- ორი გვირაბი და საქონლის სამი გადასასვლელი;
- 30 კიუვეტი.

გზაჯვარედინები

ხუთი ორდონიანი გზაჯვარედინი გაკეთდება ქვემოთ წარმოდგენილი სქემის მიხედვით:

- ურბნისი-რუსი (გადასახვევი, ტიპი - „რომბისებრი“)– km 94 + 531 (ნახაზი 4.2);
- ბებნისი-რუსი (გადასახვევი, ტიპი - „რომბისებრი“) km 97 + 800 (ნახაზი 4.3);
- ქარელი-ზემო ბრეთი P50 (გადასახვევი, ტიპი - „არასრული ფოთოლი“)– km 101 + 300 (ნახაზი 4.4);
- არადეტი-აგარა, ქვენადკოცას გადასახვევი (გადასახვევი, ტიპი - „არასრული ფოთოლი“) – km 105 + 200 (ნახაზი 4.5);
- აგარა -ქვენადკოცა (გადასახვევი, ტიპი - 'საყვირის') km 112 + 200 (ნახაზი 4.6) .

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხიდები

გზის საკვლევი მონაკვეთის ფარგლებში დაგეგმილია ოთხი ხიდის მშენებლობა მდ. ფრონეზე, მდ.ფცაზე, რკინიგზაზე და სოფლის გზაზე.

მდინარე ფრონეზე არსებული ხიდი შენარჩუნებული იქნება როგორც არსებული ძველი გზის შემადგენელი ნაწილი. პროექტის შესაბამისად აშენდება ორი ახალი ხიდი მდინარე ფრონეზე და მდინარე ფცაზე (კმ 9+000 და კმ 12+000). ეს იქნება 120 მ სიგრძის კონსტრუქცია, ორზოლიანი სავალი ნაწილით, თითოეული 13.25 მ სიგანით. ფეხით მოსიარულეთათვის გათვალისწინებულია 1მ სიგანის ტროტუარი. საპროექტო გზის კმ 13+750 და კმ 15 + 500 მონაკვეთებზე აშენდება რკინიგზის ხაზზე და სამანქანო გზაზე გადასასვლელი ახალი ხიდი.

ხიდები იქნება არმირებული ცემენტობეტონის (RCC), გაბიონებით, აგურის და ქვის მოსახვით. ხიდების უმეტესობა ორ პლატფორმიანი იქნება. თითოეული პლატფორმის სიგანე 14.5მ-ია, ის მოიცავს ორ სავალ ნაწილს (3.75 m), 2მ სიგანის ცენტრალურ უსაფრთხოების, 1.5მ სიგანის ტროტუარს (ერთერთ მხარეს), ბეტონის ბარიერით და მოაჯირით. გზის და რკინიგზის გადამკვეთი ხიდების მანძილი ორ საყრდენს შორის 40მ.

ხიდები იქნება არმირებული ცემენტობეტონის (RCC), გაბიონებით, აგურის და ქვის მოსახვით. ხიდების უმეტესობა ორ პლატფორმიანი: ორი პლატფორმით, თითოეული 14.5მ სიგანის, მოიცავს ორ სავალ ნაწილს (3.75მ), 2მ სიგანის ცენტრალურ უსაფრთხოების, 1.5მ სიგანის ტროტუარს (ერთერთ მხარეს), ბეტონის ბარიერით და მოაჯირით. გზის და რკინიგზის გადამკვეთი ხიდების მანძილი ორ საყრდენს შორის 40მ.

No.	ხიდი/გადასასვლელი	სიგრძე მ	სიგანე, მ
1	გადასასვლელი, რუისი-ურბნისის გზა	61,9	11.5
2	გადასასვლელი, რუისი-ბებნისის გზა	61.9	11.5
3	გადასასვლელი, ქარელის გზა	61.9	11.5
4	ხიდი მდ.ფრონეზე	183.5	29.05
5	გადასასვლელი, აგარის აღმოსავლეთის გზა	67.75	11.5
6	ხისი მდ.ფცაზე	143.66	29.3
7	გადასასვლელი ხიდი	91.3	29.3
8	გადასასვლელიმ აგარის დასავლეთის გზა	67.75	29.3

ხიდი გზაგამტარები

საპროექტო ტრასაზე ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფისათვის და რაიონულ და რაიონულთშორისი სატრანსპორტო მოძრაობის საჭიროებისათვის ეწყობა ხიდი-გზაგამტარები. ხიდი-გზაგამტარის დაპროექტებისას გამოყენებულია ნორმები სსტ გზები: 2009 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალით გათვალისწინებული СНиП 2.05.03-84 “Мосты и трубы. Нормы

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

проектирования”, აგრეთვე ტოპოგეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური საველე კვლევადიების მასალები. ხიდი-გზაგამტარების მდებარეობა შეთანხმებულია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან.

ხიდი-გზაგამტარების კონსტრუქციები ძირითადად ერთმანეთის ანალოგიურია. განსხვავებაა გზაგამტარის ღერძისა და საპროექტო გზის გადაკვეთის კუთხეებში, რის გამოც იცვლება გზაგამტარის მალის ნაშენებისა და სანაპირო ბურჯების შეუღლების პირობები.

გზაგამტარის მალის ნაშენები ასაწყობ-მონოლითური კონსტრუქციისაა, შედგენილი 27.0 მეტრიანი წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის სტენდური დაძაბების კოჭებისაგან და გაერთიანებული 20 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილით. სანაპირო ბურჯებზე მალის ნაშენის კოჭების ფილები შეუღლების კუთხის შესაბამისად ირიბად იჭრება ვერტიკალური ჭრილზე. წინასწარი დაძაბვისათვის გამოიყენება 0,6” 270 K მცირედ რელაქსირებადი ASTM A416-8 მარკის წინასწარ დაძაბული ბაგროვანი არმატურის 22 ბაგირი თითოეულის კვეთის ფართობით $A_p=1.394$ სმ² და დაჭიმვის ძალით 194.66 კნ. ძირითადი კონსტრუქციული და მონოლითური ფილისა და კოჭის შემაერთებელი დაანკერების არმატურის სახით გამოყენებულია სხვადასხვა დიამეტრის A500 კლასის ღეროვანი არმატურა. კოჭების ბეტონის კლასი სიმტკიცეზე კუმშვის მიხედვით გათვალისწინებულია B40, ხოლო ფილისა - B30.

გზაგამტარების შუალედი ბურჯები სამდგარიანი ჩარჩოვანი კონსტრუქციისაა. დგარები წარმოადგენს წრიული კვეთის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციას. დგარები ზევიდან გაერთიანებულია 13.0 მ სიგრძისა და 1.2x1.4 მ კვეთის მქონე რიგელით, რომელიც ბოლოში იკლებს სიმაღლეში 0,6 მ-მდე. დგარები და რიგელი არმირებულია სხვადასხვა დიამეტრის A500 კლასის არმატურით. ბეტონის კლასი სიმტკიცეზე კუმშვის მიხედვით გათვალისწინებულია B25.

დგარები ჩამაგრებულია ხიმინჯოვანი საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა ფორმის როსტვერკში ზომებით 9.80x2.0x1.5 მ, რომელიც აერთიანებს 1.5 მ დიამეტრის სამ ნაბურღნატენ ხიმინჯს, სიგრძით 20.0 მ. კმ 0+059.00 და კმ 3+516.30-ზე მდებარე გზაგამტარების ხიმინჯები ჩაშვებულია მაგარ და ნახევრადმაგარ თიხნარებში ხვინჯისა და ღორღის ჩანართებით, ხოლო კმ 6+890.21-ზე მდებარე გზაგამტარისა - ძირითადად თიხნარ-ქვიშნარიან გრუნტში კაჭრების ჩანართებით.

სანაპირო ბურჯები წარმოადგენს სამი ცალი 20 მ სიგრძის და 1.5 მ დიამეტრის ნაბურღნატენი ხიმინჯისაგან შედგენილ კონსტრუქციას, რომელიც ზემოდან გაერთიანებულია საკარადე კედლის, ფრთებისა და ფერმისქვეშა ფილის სახით შესრულებული ერთიანი როსტვერკით, სიგრძით 12.7 მ, სიმაღლით 1.2 მ და სისქით 1.95 მ. ფრთების სიგრძე

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

შეადგენს 3.3 მ, ხოლო სისქე იცვლება 0.3-0.5 მ ფარგლებში. კონსტრუქციის არმატურა გათვალისწინებულია A500 კლასის, ხოლო ბეტონი - კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით B40 კლასის.

მალის ნაშენების კოჭების დაყრდნობისათვის გამოიყენება ელასტომერები (რეზინა-ფოლადის საყრდენი ნაწილები).

ყრილიდან მალის ნაშენის კონსტრუქციაზე ტრანსპორტის მდოვრე გადასვლის უზრუნველსაყოფად გზაგამტარის სანაპირო ბურჯებზე ფრთებს შორის განთავსებულია რკინაბეტონის ტიპიური გადასასვლელი ფილები.

სანაპირო ბურჯისა და მალის ნაშენის კონსტრუქციას შორის გათვალისწინებულია სადეფორმაციო ნაკერის გადახურვის კონსტრუქცია.

გზაგამტარის სავალი ნაწილი, სიგანით 8.0 მ, დაპროექტებულია ორზოლიანი მოძრაობისთვის. სავალი ნაწილის გაყოლებაზე ორივე მხრიდან მოწყობილია 1.0 მ სიგანის ტროტუარები, შემოზღუდული ლითონის სტანდარტული მოაჯირებით და რკინაბეტონის თვალამრიდებით.

სავალი ნაწილის საფარის კონსტრუქცია წარმოადგენს რკინაბეტონის ფილაზე დაგებულ 7 სმ სისქის ასფალტობეტონის ფენას.

გზაგამტარის სავალი ნაწილიდან ატმოსფერული ნალექების წყლის მოსაცილებლად გათვალისწინებულია მისი მოწყობა ორმხრივი გრძივი და განივი ქანობით.

ხიდი-გზაგამტარის ოთხივე კუთხესთან მისასვლელ მიწაყრილებზე ეწყობა მონოლითური ბეტონის ჩასასვლელი კიბეები.

ხიდი მდინარე ფრონეზე

მდ. ფრონეზე არსებული ხიდური გადასასვლელის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი ხიდის აგება მოძრაობის თითოეული მიმართულებისათვის განცალკევებული მალის ნაშენებითა და ბურჯებით. ხიდის დაპროექტებისას გამოყენებულია ნორმები SST გზები: 2009 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალით გათვალისწინებული СНиП 2.05.03-84 “Мосты и трубы. Нормы проектирования”, აგრეთვე ტოპოგეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური საველე კვლევამიების მასალები.

საპროექტო ხიდური გადასასვლელი განთავსებულია მდ. ფრონეს ფართო ტერასირებულ ჭალაში. მდინარის მარჯვენა ნაპირი რამდენადმე მაღალია მარცხენა ნაპირთან შედარებით. საპროექტო გზის ტრასა გადის

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

არსებული ხიდის მისასვლელი მიწაყრილის ფარგლებში, რაც გავლენას ახდენს ახალი ნაგებობის დაპროექტების პირობებზე.

ხიდური გადასასვლელის ფარგლებში მდინარის კალაპოტი აგებულია სუსტად გამოფიტული, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით, რომელზეც განფენილია ძლიერ გამოფიტული, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით, ეს უკანასკნელი კი არსებული ხიდის მარჯვენა მისასვლელი ყრილის ფარგლებში გადაფარულია მოყვითალო-ყავისფერი, პლასტიკური ქვიშნარით 20-25%-მდე ხრეშისა და კენჭების შემცველობით, ხოლო მარცხენა მისასვლელი ყრილის ფარგლებში - 2.0 მ-მდე სიმძლავრის მაგარი და ნახევრადმაგარი ყავისფერი თიხნარებით 10-15%-მდე ხვინჭისა და ხრეშის ჩანართებით. მისასვლელი ყრილების ფარგლებს გარეთ ძლიერ გამოფიტული თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა გადაფარულია 1.5-2.5 მ სიმძლავრის მაგარი და ნახევრადმაგარი ყავისფერი თიხნარებით 10-15%-მდე ხვინჭისა და ხრეშის ჩანართებით.

ხიდური გადასასვლელის გასწორში მდინარის ხარჯი ჰიდროლოგიური გაანგარიშებების მიხედვით შეადგენს 100 წლიანი განმეორადობისას 196 მ³/წმ და 10 წლიანი განმეორადობისას 96 მ³/წმ, ხოლო მდინარის მაღალი წყლის საშუალო საანგარიშო დონის ნიშნულია 646.80 მ (კრონშტადტის ფუტშტოკის ნულიდან). საერთო წარეცხვის ძირის დონედ, ისევე როგორც ადგილობრივი წარეცხვის ძაბრის ძირის დონედ, მიღებულია ძლიერ გამოფიტული თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობის ზედაპირის დონიდან 1.0 მ ჩაღრმავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხიდის სქემის დადგენისას ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო საპროექტო გზის სავალი ნაწილის ნიშნული და სანაპირო ბურჯების განლაგება ხიდის სიგრძის მინიმიზაციის გათვალისწინებით. აგრეთვე ის გარემოება, რომ ხიდური გადასასვლელის გრძივი ღერძი დაახლოებით 50° კუთხეს ქმნის მდინარის ნაკადის ღერძთან. აღნიშნულიდან გამომდინარე დაინიშნა ხიდის სიგრძე (183.50 მ) და ხიდის სქემა. ხიდის სქემის შერჩევას გათვალისწინებული იყო, რომ ობიექტი მდებარეობს კონფლიქტის ზონის უშუალო სიახლოვეს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი უმოკლეს ვადებში აღდგენა, რის გამოც მიღებულია ხიდის ჭრილკოჭოვანი სისტემა.

ორივე ხიდი განლაგებულია სწორზე, 1.48% გრძივ ქანობზე, დახრით მარჯვენა ნაპირისკენ. ხიდის სქემა სხვადასხვა მიმართულებისთვის განსხვავებულია: თბილისი - რიკოთის მიმართულებისთვის მიღებულია სქემა 13.5+6x27.0, ხოლო საპირისპირო მიმართულებისთვის მიღებულია სქემა 27.0+13.5+5x27.0. ხიდის სავალი ნაწილის გაბარიტია 1.5 მ, რაც მიღებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. ტროტუარების სიგანე

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მიღებულია 1.0 მ ტოლი. ხიდის მალის ნაშენის მთლიანი სიგანე შეადგენს 13.0 მ.

ხიდის მალის ნაშენები ასაწყობ-მონოლითური კონსტრუქციისაა, შედგენილი 27.0 მეტრიანი წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის სტენდური დამზადების კოჭებისაგან და გაერთიანებული 20 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილით. წინასწარი დაძაბვისათვის გამოიყენება 0.6” 270 K მცირედ რელაქსირებადი ASTM A416-8 მარკის წინასწარ დაძაბული ბაგროვანი არმატურის 22 ბაგირი თითოეულის კვეთის ფართობით $A_p=1.394 \text{ სმ}^2$ და დაჭიმვის ძალით 194.66 კნ. ძირითადი კონსტრუქციული და მონოლითური ფილისა და კოჭის შემაერთებელი დაანკერების არმატურის სახით გამოყენებულია სხვადასხვა დიამეტრის A500 კლასის ღეროვანი არმატურა. კოჭების ბეტონის კლასი სიმტკიცეზე კუმშვის მიხედვით გათვალისწინებულია B40, ხოლო ფილისა - B30.

საპროექტო ხიდებს აქვს ორ-ორი სანაპირო ბურჯი და ექვს-ექვსი შუალედი ბურჯი.

თბილისი - რიკოთის გვირაბის მიმართულების ხიდის პირველი და მეორეშუალედი ბურჯები დაფუძნებულია ძლიერ გამოფიტულ, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით გრუნტზე, ხოლო დანარჩენი ბურჯები - სუსტად გამოფიტულ, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით გრუნტზე.

ბურჯების საძირკველი მონოლითური ბეტონისაა, კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით B25 კლასისა. საძირკვლის კონსტრუქცია ორსაფეხუროვანია, მდინარის დინების მიმართულებიდან ნახევარწრიული დაბოლოებებით. ბურჯების საძირკვლის პირველი (ქვედა) საფეხურის სიგანეა (ხიდის გასწვრივ) 6.0 მ, ხოლო სიგრძე (ხიდის განივად) - 12.0 მ. მეორე საფეხურის ზომებია 3.8x10.0 მ. სიმაღლეში პირველი საფეხური მიღებულია 4.0 მ, ხოლო მეორე საფეხური - 3.0 მ.

ბურჯების ტანი შედგენილია ორ-ორი ოვალური ფორმის მონოლითური რკინაბეტონის დგარით განივკვეთის ზომებით 1.8x2.5 მ და სხვადასხვა სიმაღლით ხიდის გრძივი პროფილის შესაბამისად. დგარები ზემოთა მხრიდან გაერთიანებულია განივკვეთში მართკუთხა კვეთის რიგელით, შუა ნაწილში კვეთის ზომებით 2.2x1.4 მ, ხოლო ბოლოებში - 0.6 მ. რიგელის სიგრძეა 14.20 მ.

სანაპირო ბურჯები წარმოადგენს სამ-სამი 20 მ სიგრძის და 1.5 მ დიამეტრის ნაბურღნატენი ხიმინჯისაგან შედგენილ კონსტრუქციას, რომელიც ზემოდან გაერთიანებულია საკარადე კედლის, ფრთებისა და ფერმისქვეშა ფილის სახით შესრულებული ერთიანი როსტვერკით, სიგრძით 12.7 მ, სიმაღლით 1.2 მ და სისქით 1.95 მ. ფრთების სიგრძე შეადგენს 3.3 მ, ხოლო სისქე იცვლება 0.3-0.5 მ ფარგლებში.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ბურჯების კონსტრუქციების არმატურა გათვალისწინებულია A500 კლასის, ხოლო ბეტონი - კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით B25 კლასის. ბურჯებზე განლაგებულია მალის ნაშენების რეზინა-ფოლადის საყრდენი ნაწილები (ელასტომერები).

ბურჯების მშენებლობა რეკომენდებულია განხორციელდეს მდინარის წყალმცირობის პერიოდში. ხიდების სავალი ნაწილის კონსტრუქცია წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითურ ფილაზე დაგებულ 7 სმ სისქის ასფალტობეტონის შრეს.

ხიდის სავალი ნაწილი და ცალმხრივი ტროტუარები, ასევე სავალი ნაწილი და გამყოფი ზოლი ერთმანეთისაგან გაყოფილია მალის ნაშენის მონოლითურ ფილასთან ერთობლივად ჩასხმული რკინაბეტონის კონსტრუქციით. მოაჯირები ნაგლინი ფოლადის ინდივიდუალური დაპროექტების კონსტრუქციაა.

სავალი ნაწილიდან წყლის მოცილება ხდება მალის ნაშენის გრძივი და განივი ქანობის ხარჯზე.

მალის ნაშენებს შორის და მალის ნაშენებსა და სანაპირო ბურჯებს შორის გათვალისწინებულია სადეფორმაციო ნაკერის კონსტრუქციის მოწყობა.

ხიდის მისასვლელი ყრილები ფორმირდება ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტისაგან და ყრილის ფერდები დაცულია თბილისის მხარეს რენომატრასებით და მოპირდაპირე მხარეს - მობელტკით.

საქონლის გადასასვლელი

ნახირსარეკების დაპროექტებისას გამოყენებულია ნორმები სსტ გზები:2009 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით საქართველოში მოქმედი ნორმატული დოკუმენტების ჩამონათვალით გათვალისწინებული СНиП 2.05.03-84 “Мосты и трупы. Нормы проектирования”, აგრეთვე ტოპოგეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური საველე კვლევამუშაოს მასალები. ნახირსარეკების მდებარეობა შეთანხმებულია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან.

სხვადასხვა პიკეტზე განლაგებული ნახირსარეკების კონსტრუქცია ერთმანეთის ანალოგიურია. ნახირსარეკი წარმოადგენს ორი სექციისაგან შედგენილი მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა კვეთის კონსტრუქციას. მილი დაფუძნებულია 1.5 მ სისქის ქვიშა-ხრეშოვან საგებზე, რომელზეც მოწყობილია 30 სმ სისქის მონოლითური ბეტონის ფილა თავში და ბოლოში წაცურების საწინააღმდეგო კბილით. სამირკვლის ფილაზე უშუალოდ თავსდება მილის ორსექციანი რკინაბეტონის კონსტრუქცია.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მილის მონოლითური რკინაბეტონის სექცია ჩაკეტილი მართკუთხა კვეთისაა ხვრეტით 4.0x2.5 მ. მილის შუაში ეწყობა სექციების შეერთების განივი ნაკერი. მილის გვერდითი კედლების სისქეა 30 სმ, ხოლო ზედა და ქვედა კედლებისა - 40 სმ. მილის არმირებისათვის გამოყენებულია AIII კლასის სხვადასხვა დიამეტრის არმატურის ღეროები. მილის რკინაბეტონის კონსტრუქციაზე ზემოდან კეთდება 1.0 სმ სისქის ქვიშა-ცემენტის გამათანაბრებელი ფენა. კედლები იფარება ასაკრავი ჰიდროიზოლაციის ფენით, რომელიც გვერდებიდან დაცულია ნახევარაგურის წყობის კედლით, ხოლო ზევიდან - წვრილმარცვლოვანი არმირებული ბეტონის დამცავი ფენით, სისქით 6 სმ, რომელიც არმირებულია 15x15 სმ უჯრედიანი ფოლადის ბადით 6 მმ დიამეტრის AI კლასის არმატურისაგან. მილის ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით მიღებულია B25. ნახირსარეკის კონსტრუქციის ზემოთ ეწყობა გზის საფარის ფუძე.

ნახირსარეკის თავსა და ბოლოში ეწყობა სათავისები. სათავისი შედგება გვერდითა საფერდე კედლებისაგან და, საჭიროების შემთხვევაში, პორტალური კედლისაგან. ცვლადი სიმაღლის საფერდე კედლები შვეულ და თარაზულ კვეთში ტრაპეციული ფორმისაა. ისინი ქმნიან მილის ღერძთან 20° კუთხეს. კედლები არმირებულია ფოლადის ბრტყელი სივრცული კარკასებით AIII კლასის Ø12 მმ ფოლადის არმატურისაგან. კედლების ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით მიღებულია B25.

საფერდე კედლებს შორის ძირზე 30 სმ სისქის ქვიშა-ხრეშოვან ფუძეზე ეწყობა მონოლითური ბეტონის ფილა სისქით 20 სმ.

მილის განაპირა კვეთებში კედლის თავზე დაბეტონდება მონოლითური არმირებული ბეტონის კარნიზი გზის ფუძის გრუნტის შესაკავებლად.

საქონლის გადასასვლელების მშენებლობა დაგეგმილია კმ 0+741.700, კმ 2+472.500, კმ 8+154.500 და კმ 9+824.000 მონაკვეთებზე.

ნახაზი 4.7 გადასასვლელის მშენებლობა, მარტივი მართკუთხა კიუვეტი/მილხიდი

ქვემოთ მოცემულია მილხიდების ჩამონათვალი და მათი ადგილმდებარეობა.

ცხრილი 4.1 მილხიდების ადგილმდებარეობა

1	0+741.7	კიუვეტი	4 x 2.5
2	1+572.53	მილხიდი	8 x 4.5
3	2+472.5	კიუვეტი	4 x 2.5
4	5+775.77	მილხიდი	8 x 4.5
5	8+154.5	კიუვეტი	4 x 2.5
6	9+824.0	კიუვეტი	4 x 2.5

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

წყალგამტარი მილები

საპროექტო ტრასის მიმდებარე ტერიტორიიდან ზედაპირული წყლების მოცილებისა და დატბორვისაგან გზის დაცვის მიზნით, აგრეთვე სარწყავი სისტემის გასატარებლად ტრასაზე ეწყობა წყალგამტარი მილები. მილების დაპროექტება შესრულდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოში მოქმედი ნორმატული დოკუმენტების ჩამონათვალის გათვალისწინებული СНиП 2.05.03-84 “Мосты и трубы. Нормы проектирования” მიხედვით, აგრეთვე შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოყენებით.

წყალგამტარი მილების კონსტრუქცია ერთმანეთის ანალოგიურია. წყალგამტარი მილები მონოლითური რკინაბეტონის ორი-სამი სექციისაგან შედგენილ მართკუთხა კვეთის კონსტრუქციას წარმოადგენს. მილი დაფუძნებულია სხვადასხვა სისქის (0.4÷1.2 მ) სისქის ქვიშა-ხრეშოვან საგებზე, რომელზეც მოწყობილია 30 სმ სისქის მონოლითური ბეტონის ფილა თავში და ბოლოში წაცურების საწინააღმდეგო კბილით. სამირკვლის ფილაზე უშუალოდ თავსდება მილის ორსექციანი რკინაბეტონის კონსტრუქცია.

მილის მონოლითური რკინაბეტონის სექცია ჩაკეტილი მართკუთხა კვეთისაა ხვრეტით 1.25x1.50 მ. მილის შუაში ეწყობა სექციების შეერთების განივი ნაკერი. მილის როგორც გვერდითი, ასევე ზედა და ქვედა კედლების სისქეა 20სმ, ვუტებში - 40სმ-მდე. მილის არმირებისათვის გამოყენებულია АIII კლასის Ø12 არმატურის მუშა ღეროები, ხოლო კონსტრუქციული არმატურის სახით АI კლასის გლუვი არმატურის ღეროები დიამეტრით 8 მმ. მილის რკინაბეტონის კონსტრუქციაზე ზემოდან კეთდება 1.0 სმ სისქის ქვიშა-ცემენტის გამათანაბრებელი ფენა. კედლები იფარება ასაკრავი ჰიდროიზოლაციის ფენით, რომელიც გვერდებიდან დაცულია ნახევარაგურის წყობის კედლით, ხოლო ზევიდან - წვრილმარცვლოვანი არმირებული ბეტონის 6 სმ სისქის დამცავი ფენით, რომელიც არმირებულია 15x15 სმ უჯრედიანი ფოლადის ზადით 6 მმ დიამეტრის АI კლასის არმატურისაგან. მილის ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით გათვალისწინებულია В25. მილის ჩაღრმავების მიხედვით რიგ შემთხვევებში მილის ზემოთ ეწყობა მიწაყრილი, ხოლო სხვა შემთხვევაში არანაკლებ 0.5 მ სისქის გზის საფარის ფუძე.

მილის თავსა და ბოლოში ეწყობა სათავისები. სათავისი შედგება გვერდითა საფერდე კედლებისაგან და, საჭიროების შემთხვევაში, პორტალური კედლისაგან. ცვლადი სიმაღლის საფერდე კედლები შვეულ და თარაზულ კვეთში ტრაპეციული ფორმისაა. კედლები არმირებულია ფოლადის სივრცული კარკასებით АIII კლასის Ø12 მმ ფოლადის არმატურისაგან. კედლების ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით გათვალისწინებულია В25.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საფერდე კედლებს შორის ძირზე ეწყობა მონოლითური ბეტონის ფილა სისქით 20 სმ.

მილის განაპირა კვეთებში კედლის თავზე დაბეტონდება მონოლითური არმირებული ბეტონის პარაპეტი ყრილის გრუნტის შესაკავებლად.

ანალოგიური კონსტრუქცია აქვს წყალგამტარ მილებს იმ განსხვავებით, რომ შესასვლელი სათავისი მოწყობილია ჭის სახით. ჭა წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის გეგმაში და შვეულ კვეთებში მართკუთხა ფორმის კონსტრუქციას, რომელსაც სამი მხრიდან კედლის ზედა მხარეს მოწყობილი აქვს ტრაპეციული ფორმის წყალმიმღები ჩანაჭრები ტრაპეციის ფუძეებით 2.0 და 0.6 მ და სიმაღლით 0.6 მ. ჭის ძირზე მოწყობილია ცვლადი სისქის რკინაბეტონის ფსკერი სისქით 0.2 მ-დან 0.4 მ-მდე. ჭის კონსტრუქციისთვის გათვალისწინებულია კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით B25 კლასის ბეტონი, ხოლო არმატურისთვის - AIII კლასის ფოლადის ღეროები.

ხიდი-გზაგამტარების მისასვლელ გზებზე (სლიპ როუდ) უბეებიდან წყლის მოსაცილებლად და სარწყავი სისტემის არხების გასატარებლად მოწყობილი მილები წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციას

მილი გზაგამტარები

საპროექტო ტრასაზე ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფისათვის და ადგილობრივი (სოფლის) ტრანსპორტის მოძრაობის საჭიროებისათვის ეწყობა მილი-გზაგამტარები.

მილი-გზაგამტარის დაპროექტებისას გამოყენებულია ნორმები სსტ გზები: 2009 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალით გათვალისწინებული СНиП 2.05.03-84 “Мосты и трубы. Нормы проектирования”, აგრეთვე ტოპოგეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური საველე კვლევადიების მასალები. მილი-გზაგამტარების მდებარეობა შეთანხმებულია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან.

მილი-გზაგამტარების კონსტრუქცია ერთმანეთის ანალოგიურია. მილი-გზაგამტარი ასაწყობ-მონოლითური რკინაბეტონის მართკუთხა კვეთის კონსტრუქციას წარმოადგენს. მილი დაფუძნებულია 1.5 მ სისქის ქვიშა-ხრემოვან საგებზე, რომელზეც მოწყობილია 30 სმ სისქის მონოლითური ბეტონის ფილა თავში და ბოლოში წაცურების საწინააღმდეგო კბილით. საძირკვლის ფილაზე უშუალოდ თავსდება მილის ორსექციანი რკინაბეტონის კონსტრუქცია.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მილის მონოლითური რკინაბეტონის სექცია ჩაკეტილი მართკუთხა კვეთისაა ხვრეტით 8.0x4.5 მ. მილის შუაში ეწყობა სექციების შეერთების განივი ნაკერი. მილის როგორც გვერდითი, ასევე ზედა და ქვედა კედლების სისქეა 70 სმ. მილის არმირებისათვის გამოყენებულია AIII კლასის სხვადასხვა დიამეტრის არმატურის ღეროები. მილის რკინაბეტონის კონსტრუქციაზე ზემოდან კეთდება 1.0 სმ სისქის ქვიშა-ცემენტის გამათანაბრებელი ფენა. კედლები იფარება ასაკრავი ჰიდროიზოლაციის ფენით, რომელიც გვერდებიდან დაცულია ნახევარაგურის წყობის კედლით, ხოლო ზევიდან - წვრილმარცვლოვანი არმირებული ბეტონის დამცავი ფენით, სისქით 6 სმ, რომელიც არმირებულია 15x15 სმ უჯრედიანი ფოლადის ბადით 6 მმ დიამეტრის AI კლასის არმატურისაგან. მილის ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით მიღებულია B25. მილის ზემოთ ეწყობა გზის საფარის ფუძე.

მილის თავსა და ბოლოში ეწყობა სათავისები. სათავისი შედგება გვერდითა საფერდე კედლებისაგან და, საჭიროების შემთხვევაში, პორტალური კედლისაგან. ცვლადი სიმაღლის საფერდე კედლები შვეულ და თარაზულ კვეთში ტრაპეციული ფორმისაა. ისინი ქმნიან მილის ღერძთან 20° კუთხეს. კედლები არმირებულია ფოლადის სივრცული კარკასებით AIII კლასის Ø12 მმ ფოლადის არმატურისაგან. კედლების ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით გათვალისწინებულია B25.

მილი-გზაგამტარი ძირზე დაფარულია 4,0 სმ სისქის ასფალტბეტონის ფენით.

საფერდე კედლებს შორის ძირზე 30 სმ სისქის ქვიშა-ხრეშოვან ფუძეზე ეწყობა მონოლითური ბეტონის ფილა სისქით 20 სმ.

მილის განაპირა კვეთებში კედლის თავზე დაბეტონდება მონოლითური არმირებული ბეტონის კარნიზი გზის ფუძის გრუნტის შესაკავებლად

კიუვეტები

განსახილველ მონაკვეთზე მოეწყობა დაახლოებით 30 რკინაბეტონის კიუვეტი. კონსტრუქცია ზემოდან დაიფარება 2-3სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ბეტონის ფენით, გარე ზედაპირს გაუკეთდება წყალგაუმტარი იზოლაცია.

ცხრილი 4.2 კიუვეტების მდებარეობა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მიხედვით (ზომა 1.25x1.5)

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

№	მდებარეობა	№	მდებარეობა	№	მდებარეობა	№	მდებარეობა	№	მდებარეობა
1	0+190.72	7	0+668.44	13	1+831.90	19	4+667.45	26	8+111.16
2	0+434.76	8	0+732.37	14	2+456.34	20	5+068.67	27	8+401.26
3	0+668.44	9	0+859.48	15	2+685.41	21	5+088.14	28	8+582.60
4	0+732.37	10	1+194.00	16	3+522.24	22	5+765.44	29	9+478.34
5	0+190.72	11	1+438.40	17	4+084.35	23	6+880.37	30	10+174.12
6	0+434.76	12	1+590.72	18	4+281.30	25	7+676.32		

4.2.2 გზის საპროექტო პარამეტრები

სატრანსპორტო კვანძის პარამეტრები

გზების კლასიფიკაციის მიხედვით გამოყენებულია შემდეგი საპროექტო სიჩქარეები

- ბრტყელი და მცირედ დასერილი რელიეფი 120 კმ/სთ
- ბორცვიანი რელიეფი 100 კმ/სთ

საქართველოს სტანდარტების შესაბამისად, გზის საპროექტო მონაკვეთის გეომეტრიულ პარამეტრები, 120კმ/სთ საპროექტო სიჩქარისთვის, წარმოადგენს:

- ზოლების რაოდენობა: 4;
- ზოლის სიგანე: 3.75მ;
- სავალი ნაწილის სიგანე: 2 x 7.50მ;
- გვერდულების სიგანე: 3მ (მოკირწყლული) და 0.75მ ბერმი (მოუკირწყლავი);
- გამყოფი ზოლის სიგანე: 5 მ (ბარიერების და მოკირწყლული გვერდულის ჩათვლით);
- გზის საერთო სიგანე: 27.50მ

საქართველოს სტანდარტების შესაბამისად, გზის საპროექტო მონაკვეთის გეომეტრიულ პარამეტრები, 100კმ/სთ საპროექტო სიჩქარისთვის, წარმოადგენს:

- ზოლების რაოდენობა: 4;
- ზოლის სიგანე: 3.50მ;
- სავალი ნაწილის სიგანე: 2 x 7.00მ;
- გვერდულების სიგანე: 2.75მ (მოკირწყლული) და 0.75მ ბერმი (მოუკირწყლავი);
- გამყოფი ზოლის სიგანე: 5 მ (ბარიერებისა და მოკირწყლული გვერდულის ჩათვლით);
- გზის საერთო სიგანე: 26.00მ

ყველა საპროექტო სიჩქარისთვის გზის სავალი ნაწილის მინიმალური განივი ქანობი 2.5%-ია, მოუკირწყლავი გვერდულის ქანობი 4%.

4.2.3. საპროექტო სიჩქარე

გზის კლასიფიკაციის მიხედვით გამოიყენება შემდეგი ჩამოთვლილი საპროექტო სიჩქარეები:

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ბრტყელი და მცირედ დასერილი რელიეფი 120 კმ/სთ
მთიანი რელიეფი 100 კმ/სთ

4.2.4. ჰორიზონტალური და ვერტიკალური განლაგების პარამეტრები

რეკომენდებული მინიმალური რადიუსი განისაზღვრება მრუდის გავლისას წარმოქმნილი ძალების გათვალისწინებით.

საპროექტო გადაწყვეტის თანახმად, რომელიც მიღებულია გზის მონაკვეთის ხასიათის გათვალისწინებით, ძირითადი საპროექტო პარამეტრები შემდეგია:

საპროექტო ელემენტი	საპროექტო სიჩქარე	
	100 კმ/სთ	120კმ/სთ
მინ. ჰორიზონტალური მრუდის რადიუსი	450 მ	700 მ
მაქ. ქანობი	5 %	4 %
მინ. ამოზნექილი მრუდის რადიუსი	10,000 მ	15,000 მ
მინ. ჩაზნექილი მრუდის რადიუსი	3,000 (1,500) მ	5,000 (2,500) მ
შენიშვნა: მნიშვნელობები (სიდიდეები) ფრჩხილებში დასაშვებია მთიან რელიეფში		

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰორიზონტალური განთავსება ძირითადად გაკვეთა არსებულ გზას, მაგრამ შესაძლებელია ადგილობრივი ახალი ტრასირება იმ ადგილას, სადაც ამჟამინდელმა ტრასამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოძრაობის უსაფრთხოებას.

4.2.5. მხედველობის მანძილი

დამუხრუჭების (გაჩერების) მხედველობის მანძილი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ნებისმიერი ობიექტის ხილვადობისთვის სანტრასპორტო სავალი ნაწილის ზედაპირიდან 0,20 მ სიმაღლეზე. მძღოლის თვალების სიმაღლე სავალი ნაწილის დონიდან მიღებულია 1.2 მ. საჭირო მანძილები მძღოლსა და ობიექტს შორის, დამოკიდებულია საპროექტო სიჩქარეზე, მოცემულია ცხრილში.

საპროექტო სიჩქარე (კმ/სთ)	100	110	120
გაჩერების მხედველობის მანძილი (მეტრი)	200	225	250

გადაწყვეტილების მისაღები მხედველობის მანძილი დამოკიდებულია მანძილზე, რომელიც მძღოლს საშუალებას აძლევს სრულად აღიქვას გზის მთელი მიმართულება, მოემზადოს და განახორციელოს მართვისათვის საჭირო მანევრები (სიჩქარის გაზრდა, სიჩქარის შემცირება, ზოლის შეცვლა და ა.შ.).

გადაწყვეტილების მისაღები მხედველობის მანძილის პარამეტრები მოცემულია ცხრილში.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საპროექტო სიჩქარე (კმ/სთ)	100	110	120
გაჩერების მხედველობის მანძილი (მეტრი)	300	325	350

4.2.6. ვირაჟის სიდიდე ჰორიზონტალური მრუდებისათვის

ვირაჟის მინიმალური სიდიდე ჰორიზონტალურ მრუდებზე განივი ქანობით 2.5% დამოკიდებულია საპროექტო სიჩქარეზე. მნიშვნელობები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

საპროექტო სიჩქარე(კმ/სთ)	100	110	120
ჰორიზონტალური მრუდის რადიუსი (მეტრი)	2300	2700	3300

4.2.7. მრუდების გაფართოება

თუ მრუდის რადიუსი ნაკლებია 1,000 მ-ზე, საჭიროა მრუდის გაფართოება. გაფართოება ყოველთვის იქნება განვითარებული მრუდის შიგნით. რეკომენდებული გაფართოების სიდიდე ნაჩვენებია ცხრილში:

რადიუსი(მ)	>850	650	575	425	325	225	140	95	80	70	60	50	40
გაფართოების სიდიდე W(მ)	0,4	0.5	0.6	0.7	0.8	0.9	1.2	1.4	1.5	1.6	1.7	1.8	2.0

4.2.8. საგზაო ნიშნები და ნიშნების მოწყობის სამუშაოები

ინდივიდუალური პროექტირების საგზაო ნიშნები და დგარების კონსტრუქციები დამუშავებულია სნ და წ 2.03.01-84, 2.05.02-85, II-23-81, III-18-75, გოსტ 10 8.7, 8713-79, 5264-806, 23457-86 და TEM-ის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის სახეობათა და ზომების შერჩევა წარმოებდა საანგარიშო სიჩქარის გათვალისწინებით: ავტომაგისტრალზე 120კმ/სთ, კვანძებზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებთან შესაერთებლად 60კმ/სთ. შესაბამისად ავტომაგისტრალზე მონიშვნის ხაზებისა და საგზაო ნიშნების ზომები ჭარბობს მათ ანალოგებს ადგილობრივ გზებისათვის განკუთვნილ კვანძებზე.

უსაფრთხოების ბარიერები (ზღუდარები) ნორმატივების მიხედვით მოეწყობა გეგმაში სწორ მონაკვეთებზე და დიდი რადიუსის მქონე ყველა ყრილზე რომელთა მუშა ნიშნული ტოლია ან აჭარბებს 3.0 მ-ს. მრუდებზე რომელთა რადიუსი ნაკლებია 600 მ-ზე ბარიერები მოეწყობა ყველა ყრილზე რომელთა მუშა ნიშნული ტოლია ან აჭარბებს 2.0მ-ს.

საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმატივების მიხედვით, რომლებიც შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან საორიენტაციო ბოჭკონტებს ვაყენებთ გზის მთელ სიგრძეზე გეგმაში სწორ მონაკვეთებზე და მრუდებზე რომელთა

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

რადიუსი აჭარბებს 600 მ-ს. მრუდებზე, რომელთა რადიუსი ნაკლებია 600-ზე ინტერვალები l_0 , l_1 , l_2 , l_3 , l_4 აიღება რადიუსის კონკრეტული სიდიდის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

R	l_0	l_1	l_2	l_3	l_4
80	5	15	20	30	40
120	10	25	35	45	50

საორიენტაციო ბოჭკინტები დამატებით განლაგებულია წყალგადამშვები მილების ზემოთ ორივე მხარეს, 5 ცალი თითო მხარეს შემდეგი სქემით : ღერძზე 1, ორივე მხარეს 5 მ-ის ინტერვალში 2, 10 მ-ის ინტერვალში 2.

წყალგადამშვები მილების განლაგების უწყისი ავტობანზე		
№	მილის მდებარეობა კვ+	მუშა ნიშნული, მ.
1	1+90.0	1.9
2	4+35.0	2.1
3	6+69.0	2.9
4	7+31	2.1
5	8+60	2.3
6	11+94	3.6
7	14+38	3.4
8	15+91	3.7
9	18+32.0	2.9
10	24+56.0	3.6
11	26+85.0	1.7
12	35+22.0	1.7
13	40+85.0	3.5
14	42+81.0	1
15	46+67.0	2.5
16	50+69.0	3
17	50+88.0	6
18	57+65.0	2.4
19	68+80.0	1
20	76+76.0	4.1
21	81+11.0	2.4
22	84+00.0	2.8
23	85+83.0	2.5
24	94+78.0	2.1
25	101+74.0	

სულ კვანძებზე არის 9 მილი, ე.ი. დამატებით კვანძებზე $2 \times 5 \times 9 = 90$ ცალი ბოჭკინტი. საერთო ჯამში კვანძებზე განლაგდება 398 ბოჭკინტი. საორიენტაციო ბოჭკინტებს არ ვიყენებთ ბარიერებით დაცულ მონაკვეთზე. აქედან გამომდინარე მილებზე დამატებითი ბოჭკინტები არ მოეწყობა ავტობანზე N 2, 7, 11, 17, 18 პოზიციაზე მყოფ მილებზე, ხოლო პოზიციებზე 8,9,10 ეწყობა მხოლოდ ერთი მხრიდან. შესაბამისად

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ავტობანზე დამატებითი ბოჭკინტების რაოდენობა მილების მოწყობის გამო შეადგინა $17 \times 2 \times 5 + 3 \times 5 = 185$ ცალი.

წყალგადამშვები მილების განლაგების უწყისი კვანძებზე			
№	კვანძი, მისასვლელი	ჰკ+	HH, მ.
1	1.2	1+70.0	1.25
2	1.3	2+17.50	1.5
3	1.4	0+47.0	0.12
4	1.5	0+46.0	1.27
5	2.2	2+74.0	2.05
6	2.3	1+20.0	1.02
7	2.3	1+41.0	0.57
8	2.4	0+47.0	1.9
9	2.5	0+47.0	1.41

სულ კვანძებზე არის 9 მილი, ე.ი. დამატებით კვანძებზე $2 \times 5 \times 9 = 90$ ცალი ბოჭკინტი. საერთო ჯამში კვანძებზე განლაგდება 398 ბოჭკინტი.

გარდა ზემოთაღნიშნული რაოდენობისა ხიდებზე და გზაგამტარებზე ბარიერების დაწყებამდე 10 მ მანძილზე დამატებით ვიყენებთ 3 ბოჭკინტს ე.ი. $4 \times 12 = 48$ ცალს. ავტობანის ჩვენს მიერ დაპროექტებული მონაკვეთის საერთო სიგრძე შეადგენს 10700 მ-ს სადაც ყოველი 50 მ-ში გათვალისწინებულია თითო ბოჭკინტი გარდა იმ მონაკვეთებისა სადაც ეწყობა ბარიერები. ბარიერების სიგრძე ორივე მხარეს შეადგენს 3105 მ-ს. შესაბამისად ავტობანზე დასაყენებელი საორიენტაციო ბოჭკინტების რაოდენობა იქნება $(2 \times 10700 - 3105) : 50 = 18295 : 50 = 366$ ცალი.

გათვალისწინებულია აგრეთვე შაბლონებისათვის გამოყენებული ლითონის კონსტრუქციების უკან დაბრუნება ჯართის სახით.

4.2.9 გზის სამოსი

გამოიყენება ორი განსხვავებული სტრუქტურის გზის საფარი:

- ბეტონის საფარი მაგისტრალისთვის;
- ასფალტის საფარი ყველა დამაკავშირებელი და მეორეხარისხოვანი გზებისათვის.

მაგისტრალის ბეტონის საფარის სტრუქტურა I კატეგორიის კონსტრუქციისთვის შემდეგია:

ბეტონის ფენა	28სმ;
ღორღის ფენა	30სმ;
მარცვლოვანი ფრაქციის საფუძველი	27სმ;
გზის სამოსის სრული სისქე	85სმ.

მაგისტრალზე გასასვლელი და მეორეხარისხოვანი გზების ასფალტის საფარი, მშენებლობის კატეგორია III-თვის შემდეგია:

გზის საფარის ცვეთადი ფენა	4სმ;
ასფალტის შემაკავშირებელი ფენა	4სმ;

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ასფალტის მზიდი ფენა	14სმ;
მარცვლოვანი ფრაქციის საფუძველი	58სმ.
გზის სამოსის სრული სისქე	80სმ.

ბეტონის საფარი

მაგისტრალის საპროექტო გზის მონაკვეთამდე ბეტონის საფარი უკვე მოწყობილია. მოწყობილი გზის საფარი შეესაბამება გზის საფარის გერმანიის სტანდარტს RStO 01. ბეტონის საფარის კარგი საექსპლუატაციო მახასიათებლების გამო, RD-ის მიერ მოთხოვნილია საპროექტო მონაკვეთზე მყარი საფარის RStO 01 გერმანული სტანდარტის შესაბამისად მოწყობა. არაარმირებული ბეტონის საფარის მოწყობა მოსახერხებელია ნორმალური მოძრაობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსალოდნელია გრუნტის ჯდენა.

წარმოდგენილი ბეტონის საფარის სტრუქტურა შემუშავდა "AASHTO, საფარის სტრუქტურის შემუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტის" და "RStO 01 საფარის სტრუქტურის განსაზღვრის გერმანული სახელმძღვანელო დოკუმენტის" შესაბამისად. სატრანსპორტო ნაკადით გამოწვეული დატვირთვა და სხვა საპროექტო პარამეტრები განისაზღვრა 20 წლიანი ციკლისთვის. პროექტის ამ ეტაპზე, გზის სამოსის სტრუქტურის და ფენის სისქეები განსაზღვრის მიზანია გზის მთელ სიგრძეზე უნიფიცირებული სტრუქტურის შექმნა რომელიც მისაღები იქნება ცვალებადი სატრანსპორტო დატვირთვისთვის.

ძველი ასფალტის საფარის გადამუშავება და ხელმეორედ გამოყენება ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს, და შეამცირებს ახალი მასალის საჭიროებას. არსებული გზის მთელი მონაკვეთისათვის გამოყენებული უნდა იყოს ცივი გადამუშავების მეთოდი.

4.3 პროექტის ალტერნატივები

ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების ანგარიშში საწყის ეტაპზე განხილული იყო 5 ალტერნატივა (ნახაზი 4.8) რომლებისთვისაც ჩატარდა საწყისი ტექნიკური (კომპანია Kocks) და ბგზშ-ს (NKUK) :

- არადეთის ახალი მონაკვეთი. (რუისის-აგარას მონაკვეთი)
- არსებული გზის გაფართოება (რუისის-აგარას მონაკვეთი)
- აგარის შემოვლითი გზა - ჩრდილოეთის ალტერნატივა
- გომი-აგარას შემოვლითი გზა -სამხრეთი ალტერნატივა 1 (აგარის უბანი).
- გომი-აგარას შემოვლითი გზა -სამხრეთი ალტერნატივა 2 (აგარის უბანი).

არადეთის გზის მონაკვეთის ალტერნატივები - არადეთის მახლობლად გამავალი გზის მონაკვეთის სამხრეთით გადმონაცვლება კმ 101-კმ 108 ინტერვალში. ამ ალტერნატივის შესაბამისად გზოს მონაკვეთის წანაცვლება ხდება დაახლოებით 600მ-ით სამხრეთის მიმართულებით

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

რათა შემცირდეს ხმაურის და ჰაერის დაბინძურების შედეგად მოსახლეობის შეწუხება. შემოთავაზებული ვარანტი ამცირებს გზის სიგრძეს დაახლოებით 430მ-ით. ამავე დროს, ამ შემთხვევაში საჭიროა მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწის , მათ შორის სასოფლო-სამეურნეოს, შესყიდვა. მარშრუტმა შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან უბნებზე და, ამასთანავე, ნაკლებ მისაღებია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გზის გაფართოების ალტერნატივასთან შედარებით.

ნახაზი 4.8. ტექნიკურ და გარემოსდაცვით/სოციალურ ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული ალტერნატივები

აღნიშნული ალტერნატივის დადებითი მხარე, უფრო 'გლუვი' მოსახვევი და ნაკლები სიგრძე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოძრაობის უსაფრთხოებას, დაინტერესებული მხარეების/მოსახლეობის აზრით მისაღები არ არის. ალტერნატივა არ არის რეკომენდებული შემდგომი განხილვისთვის მიწის შესყიდვის საჭიროების და არქეოლოგიურ ობიექტზე უარყოფითი ზემოქმედების შესაძლებლობის გამო.

აგარის შემოვლითი გზა - ჩრდილოეთი ალტერნატივა. მონაკვეთი იწყება კმ 104-დან. გზა შორიდან უვლის აგარას ჩრდილოეთის მხრიდან და მიდის დასავლეთით სოფლებს მოხისსა და აგარას შორის ხაშურის შემოვლითი გზის მონაკვეთთან შეერთებამდე გომის ჩრდილოეთით. სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გამო და მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით პროექტი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის შესაბამისად ეს ალტერნატივა ამოღებულ იქნა განხილვიდან.

გომი-აგარას შემოვლითი გზა - სამხრეთის ალტერნატივა -1 (აგარის უბანი). ალტერნატივა შემუშავებულ იქნა აგარის და გომის ჩრდილოეთით მდენარე სავარგულების გვერდის ასავლელად. სამხრეთი ალტერნატივა იწყება სოფ.არადეთთან და უვლის აგარას. (ალტერნატივის სახით გზა შეიძლება დაიწყოს კმ 106-დან.) კმ 11.5 -ზე გზა უერთდება არსებულს. შემოთავაზებული მარშრუტი არ საჭიროებს ფიზიკურ განსახლებას, მაგრამ კვეთს კერძო მფლობელობაში მყოფ მიწის ნაკვეთებს.

გომი-აგარას შემოვლითი გზა - სამხრეთის ალტერნატივა -2 (აგარის უბანი). აკავშირებს აგარის შემოვლით გზას გომის შემოვლით გზის მონაკვეთთან. ეს ალტერნატივა 0.5 კმ-ით მოკლეა, მიწის შესყიდვის საჭიროება - მინიმალური, რადგან გზის ნაწილი გვერდს უვლის კერძო საკუთრებას და გადის მდინარის მახლობლად. ალტერნატივა გადის მდინარესთან უშუალო სიახლოვეს და საჭიროებს გზის დატბორვისგან დაცვის ღონისძიებების შემუშავებას. ეს ალტერნატივა ნაკლებ

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ხელსაყრელია და ამიტომ არ არის რეკომენდებული შემდგომი განხილვისთვის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად რუისი არადეთის გზის მონაკვეთის 2 ზოლიანიდან 4 ზოლიანამდე გაფართოება და აგარის სამხრეთი მიმართულებით შემოვლითი გზის ალტერნატივები პასუხობს წინასწარი შეფასების კრიტერიუმებს და შერჩეულ იქნა შემდგომი განხილვისთვის (ნახაზი 4.2)

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით გზმ-ში განხილულის შემდეგი ალტერნატივები:

- *ნულოვანი ალტერნატივა* - არაქმედება;
- *არსებული გზის გაფართოება ორხაზიან სტანდარტამდე მარშრუტის შეცვლის გარეშე - ალტერნატივა 1;*
- *გომი აგარას შემოვლითი გზა - სამხრეთის ალტერნატივა 1 (აგარის უბანი) - ალტერნატივა 2*

აღნიშნულის მხედველობაში მიღებით და შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში არსებული გზის გაფართოება და აგარის შემოვლითი გზის სამხრეთის მარშრუტი პრიორიტეტულ ალტერნატივად ჩაითვალა

4.4 გადაზიდვების მოცულობა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაცემებით 2008 წელს საპროექტო გზის მონაკვეთზე სატრანსპორტო გადაზიდვების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 5.800 და 9.100 მანქანას დღეში. დასავლეთისკენ მიმავალი ტრანსპორტის ნაკადი ხაშურში ორად იყოფა E-60 და ხაშური-ბორჯომის გზაჯვარედინზე. ძირითადი სატრანსპორტო ნაკადი გრძელდება E-60 მაგისტრალზე რიკოთის გვირაბის მიმართულებით, ხოლო ტრანსპორტის დაახლოებით 1/3 აგრძელებს გზას ბორჯომისკენ.

Kocks Consult-ის მიერ პროექტის მიზანშეწონილობის კვლევის პერიოდში ჩატარებული იქნა ტრანსპორტის დეტალური კვლევა. სატრანსპორტო ნაკადის მონაცემები განისაზღვრა ყოველდღიური და სეზონური მონაცემების საფუძველზე და დაუკავშირდა ქვეყანაში პროგნოზირებულ ეკონომიკურ განვითარებას.

გზმ-ს ანგარიშში მოცემულია ტრანსპორტის საშუალო წლიური და დღიური ნაკადი და მისი შემადგენლობა საკვლევ დერეფანში Kocks Consult მიერ ჩატარებული ტრანსპორტის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

4.6 გზის მშენებლობის ფაზა

4.6.1 მობილიზაცია

სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე ტენდერის საფუძველზე განსაზღვრულმა კონტრაქტორმა უნდა განსაზღვროს სამშენებლო ბანაკის, მანქანა-დანადგარების განთავსების მოედნების ადგილმდებარეობა და შეთანხმოს/მიიღოს ნებართვა მის გამოყენებაზე სახელმწიფოსგან ან მიწის მფლობელისგან.

წინასამშენებლო ღონისძიებები მოიცავს:

- ბანაკის და სამშენებლო მოედნის გეგმის, სამუშაოთა წარმოების გეგმის მომზადებას და დამკვეთის დამტკიცებას;
- მიწის დროებით სარგებლობაში/იჯარით აღებას (გზის გაყოლებაზე, კომერციული, ობიექტები, ბაღები და სხვა)
- ასფალტ/ბეტონის ქარხნის ოპერირების ნებართვის მიღება (თუ მათი გამოყენება საჭირო გახდება);
- სამშენებლო ნარჩენების და მასალისთვის დროებითი განთავსების ადგილის შერჩევას;
- შემავსებელი მასალის მოწოდებაზე ქვეკონტრაქტის დადება ან მოპოვებაზე ლიცენზიის აღება;
- ნარჩენების მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და დამტკიცება დამკვეთის მიერ;
- ტრანსპორტის მენეჯმენტის გეგმის მომზადება და დამტკიცება დამკვეთის მიერ.

ბანაკის სავარაუდო ფართობი 3-5 ჰა ფარგლებში უნდა იყოს. დროებითი სამშენებლო ბანაკების სასურველია მოეწყოს გზის მიმდებარედ მაგისტრალის აღმოსავლეთ და დასავლეთ პორტალებთან. სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის შერჩევა უნდა მოხდეს მიწის მფლობელობის/მიწათსარგებლობისა და გარემოსდაცვით ასპექტების გათვალისწინებით. ტერიტორია დაცილებული უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან არანაკლებ 100მ მანძილით. შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის განხილვა. ადგილმდებარეობის ალტერნატივები, მათი უარყოფითი და დადებითი მხარეებით მოცემულია ქვემოთ.

ალტერნატივა 1. დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი

ალტერნატივა 1- უპირატესობა	ალტერნატივა 1- ურყოფითი მხარე
მეჩხერი მცენარეული საფარი; ტერიტორია არა არის განვითარებული, რაც სახნავ-სათესი მიწებისა ან მოსავლის დანაკარგს გამორიცხავს, მცირეა ზემოქმედება მცენარეულ საფარზე ტერიტორია მდებარეობს მდინარესთან ახლოს, შესაძლებელია წყლის გამოყენება ტექნიკური საჭიროებისთვის	მოედანი მდებარეობს არქეოლოგიური თვალსაზრისით პოტენციურად მგრძნობიარე ადგილზე ტერიტორიის რელიეფი - დახრილი მდინარისკენ ზედაპირულ წყლის ობიექტთან ახლო მდებარეობა - თუ სამუშაოების სათანადოდ არ დაიგეგმა, არსებობს ზედაპირული წყლის დაბინძურების რისკი.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ალტერნატივა 2-ში - სახნავ-სათესი მიწის დროებით სარგებლობაში აღება.

ალტერნატივა 2- უპირატესობა	ალტერნატივა 2- ურყოფითი მხარე
ბანაკისთვის საკმარისი ფართობი; ვაკე ადგილი; მდინარიდან მოცილებული, ე.ი. დაბინძურების ნაკლები რისკი	სახნავ-სათესი მიწის დროებით სარგებლობა ბანაკისა და მისასვლელი გზებისთვის; ნათესების/მოსავლის და მასთან დაკავშირებული შემოსავლის დაკარგვა; პოტენციური ზემოქმედება მიწის საფარზე; კომპენსაციის აუცილებლობა; ტექნიკური წყლის ცისტერნებით შემოტანა- გაზრდილი ტრანსპორტის ნაკადი და მასთან დაკავშირებული ზემოქმედება

ალტერნატივა 3-ში განიხილება მხოლოდ საქმიანი ეზოების მოწყობა. მუშახელის სამშენებლო ადგილებზე ყოველდღიური გადაყვანა.

ალტერნატივა 3- უპირატესობა	ალტერნატივა 3- ურყოფითი მხარე
მოითხოვს პატარა ფართობს, ე.ი. მცირე ზემოქმედება გარემოზე; მოითხოვს ნაკლებ წყალმომარაგებას - ადგილზე არ არის სამზარეულოს, საშხაპეების მოწყობის აუცილებლობა; დასახლებულ პუნქტში პერსონალის დაბინავების შემთხვევაში - მოსახლეობის მიერ დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალება	დამოკიდებულია საქმიანი ეზოების მოსაწყობი მოედნის ადგილმდებარეობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ბანაკის და სამუშაო მოედნის მოსაწყობად მიწის სამუშაოების დიდი მოცულობა და მუდმივი შენობა-ნაგებობების მოწყობა საჭირო არ არის ალტერნატივა 3 ან კომბინირებული ალტერნატივა 2+3 ნაკლებ საზიანოა გარემოსთვის თუ კონტრაქტორის მიერ დაცულია იქნება ყველა გარემოსდაცვითი მოთხოვნა.

თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დადებითი და უარყოფითი მხარეები ყურადღებით უნდა შეფასდეს.

რეკომენდაციები ადგილის შესარჩევად და მენეჯმენტისთვის. სამშენებლო ბანაკებისა და დროებითი მისასვლელი გზების მოწყობამდე კონტრაქტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს მიწათსარგებლობასა და არასახნავ-სათესი მიწების მცენარეულობაზე. მოედანი/გზა უნდა შეირჩეს მცენარეულ საფარზე მინიმალური ზემოქმედების გათვალისწინებით. შეძლებისდაგვარად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხეებისა და ბუჩქებისგან თავისუფალ ნაკვეთებს.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

პროექტის მიზნებისთვის გამოყენებამდე ტერიტორია მცენარეული საფარისგან უნდა გაიწმინდოს.

ხის მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში მასალა უნდა აღირიცხოს. შესაძლებელია მისი გამოყენება მშენებლობისთვის ან გადაეცეს მოსახლეობას. პროცედურა გულისხმობს - RD-ს მიერ ხე-მასალის გადაცემა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა, დოკუმენტიც გაფორმება, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს უფლება ეძლევა განკარგოს მასალა. რის შემდეგაც მასალა შეიძლება დაურიგდეს შეჭირვებულ მოსახლეობას. ქარსაცავი ზოლის დაზიანების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი აღდგენა სამუშაოების დასრულების შემდეგ. რეკულტივაციისთვის გამოყენებული უნდა იყოს მოჭრილის ანალოგიური სახეობის მცენარეები.

სამუშაოს დაწყებამდე ნაყოფიერი მიწის ფენა უნდა მოიხსნას და დროებით დასაწყობდეს ბანაკის წინასწარ შერჩეულ ტერიტორიაზე/გასხვისების ზოლის ფარგლებში. მიწის ზედა ფენის მოცულობა, მოედნის ფართობის (3-5ჰა) და ნაყოფიერი ფენის სისქის (დაახლოებით 0.25მ) გათვალისწინებით, დაახლოებით 750-1.250მ³ იქნება. ნაყარი დაცული უნდა იყოს ზედაპირული ჩამონადენის და ქარისგან შემდგომში ხელახლა გამოყენებამდე. სამუშაოს დასრულების, დროებითი ნაგებობების-ტექნიკის და ნარჩენების გატანის შემდეგ ნაყოფიერი ფენა უნდა დაბრუნდეს, ტერიტორია აღდგეს საწყისთან მიახლოებულ მდგომარეობამდე.

კანალიზაციისთვის რეკომენდირებულია ბიო-ტუალეტის მოწყობა. ჩამონადენი წყლის მართვის და ჩაშვების ვარიანტები უნდა განისაზღვროს შერჩეული სამშენებლო მოედნების მოწყობისას, რელიეფისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით და შეთანხმდეს გარემოსდაცვის სამინისტროსთან. თუ მოსალოდნელია საწვავის/ზეთის დაღვრით ნიადაგის დაზინძურება, დრენაჟის სისტემა უნდა მოიცავდეს ნავთობპროდუქტების დამჭერს. ყველა სხვა სახის დაზინძურებული წყლის (საშხაპეებიდან, სამზარეულოდან და სხვა) უნდა მოგროვდეს და გაიწმინდოს ჩაშვებამდე (ჩამდინარე წყლის მენეჯმენტის შესახებ ინფორმაცია იხილეთ თავში 4.6.1.1 და 6.2.).

სამშენებლო მოედანზე საწვავის/ზეთის საცავისთვის განთავსების შემთხვევაში უნდა გატარდეს სპეციალური უსაფრთხოების ზომები. სასაწყობე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს საიზოლაციო საფარი ნიადაგში გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით. საწვავის/ზეთის ავზის გარშემო მთელ პერიმეტრზე უნდა მოეწყოს დამცავი ბერმა, რომელსაც საშუალება ექნება შეაკავოს საცავში არსებული საწვავის სრული მოცულობა ავარიული დაღვრის შემთხვევაში. საწვავის 'გაცემის' წერტილი უნდა აღიჭურვოს ჩამონაწვეთის შემკრებით. საწვავის ავზებისა, ტექნიკის

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

საწვავით გამართვის და ტექნომსახურების უზნების მოწყობა მდინარის ნაპირიდან 50მ-ზე ნაკლებ მანძილზე დაუშვებელია.

სამშენებლო ბანაკებში დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები დროებით უნდა განთავსდეს სახურავიან კონტეინერებში ცხოველების მიზიდვისა ან ქართი გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით. საჭიროა დასუფთავების სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება. ნარჩენების რეგულარული გატანა მოხდება შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე აღნიშნული ხელშეკრულების და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების შესაბამისად. სხვა სახის ნარჩენების დროებითი განთავსება სეპარაციის შემდეგ უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. ჯართი (არსებობის შემთხვევაში) ჩაბარდება უახლოეს მიმდებ პუნქტში. ინერტული მასალის ნარჩენები გამოყენებული იქნება პროექტის საჭიროებისთვის ან, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებით - სხვაგან, პროექტის განხორციელების რეგიონში. გამოსაყენებლად უვარგისი ნარჩენები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, შეიძლება გატანილ იქნას უახლოეს ნაგავსაყრელზე. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 6.3.)

მისასვლელი გზების გაყვანისას თავიდან უნდა იქნას აცილებული მცენარეული საფარის და ნიადაგის გაუმართლებელი ზედმეტი დაზიანება. მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული არსებული გზები. დადგენის შემდეგ, აუცილებელია დადგენილი მარშრუტის მკაცრად დაცვა. არ დაიშვება გზიდან გადასვლა.

უზნების (ბანაკი, საქმიანი ეზო, სამშენებლო მოედანი, მისასვლელი გზები) გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით მართვაზე და შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და კონტრაქტორს შორის დადებული ხელშეკრულებით.

4.6.1.1. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლის მართვა

ტენდერისთვის მომზადებული ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად, მშენებელი კონტრაქტორი უზრუნველყოფს წყლის, განათების და სამუშაოთა წარმოებისთვის საჭირო ელექტროენერჯის წყაროს და იხდის შესაბამის გადასახადებს. ასევე უზრუნველყოფს სასმელი წყლის მიწოდებას - დროებითი რეზერვუარების, მილგაყვანილობის მოწყობის ჩათვლით, რომელის სამუშაოს დასრულების შემდეგ გატანილი იქნება ტერიტორიიდან.

კონტრაქტორი მოამზადებს და წარუდგინოს შესაბამის უწყებას სამუშაოთა წარმოების გეგმას, ძირითადი კვანძების - მაგ. საწვავის და მასალების საწყობის, ბეტონის შემრევის, მანქანების სარეცხის და სხვ. განლაგების ჩვენებით.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

წყალმომარაგება. წყალი გამოიყენება სასმელად და ტექნიკური დანიშნულებით. სასმელი და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის წყლის წყარო დამოკიდებული იქნება სამშენებლო მოედნების მოწყობის ადგილზე.

ამ ეტაპზე ჯერ უცნობია დასაქმებულთა ზუსტი რაოდენობა და მუშათა ბანაკებში დასაბინავებელი პერსონალის რიცხვი. არსებული გამოცდილებით დასაქმებულთა რაოდენობა სავარაუდოდ 200 ადამიანს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს უცხოელი კონტრაქტორი შეასრულებს შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პერსონალი დაახლოებით 70% ადგილობრივი იქნება. აქედან ადგილობრივი მუშახელისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფა საჭირო არ იქნება. თუმცა შეფასება 200 ადამიანის ვარაუდით გაკეთდა.

ვინაიდან ტერიტორია დასახლებულ ზონაშია, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება ბანაკთან უახლოესი დასახლების წყალმომარაგების წყარო და ჩამოსხმული წყალი. შესაძლებელია წყაროს, ბუტილირებული ან ცისტერნებით შემოტანილი წყლის გამოყენება. თუ ამის საჭიროება იარსებებს, ტერიტორიაზე სასმელი წყლის მარაგისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული საკვებთან კონტაქტში გამოსაყენებლად დაშვებული მასალის რეზერვუარები, ხოლო ტექნიკური წყლისათვის - ლითონის რეზერვუარები.

თუ დავუშვებთ, რომ ბანაკში 200 ადამიანი განთავსდება, ხოლო ერთ მომუშავეზე დღის განმავლობაში გათვალისწინებული წყლის ხარჯს ავიღებთ 25 ლ ოდენობით. წელიწადში 250 სამუშაო დღის გათვალისწინებით სასმელი დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა იქნება:

$$200 \times 25 \times 250 = 1250 \text{ მ}^3/\text{წ}, 5 \text{ მ}^3/\text{დღლ}$$

გარდა აღნიშნულისა სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალი შეიძლება იყოს გამოყენებული სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე გათვალისწინებული საშხაპეების ფუნქციონირებისათვის. სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით საშხაპეს ერთ წერტილზე საჭირო წყლის დღიური რაოდენობა შეადგენს 500 ლიტრს. სამი საშხაპის შემთხვევაში, წლის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება.

$$3 \times 500 \times 250 = 375 \text{ მ}^3/\text{წ}, 1.5 \text{ მ}^3/\text{დღლ}$$

სულ მშენებლობის ფაზაზე გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა იქნება 495 მ³/წელ, 1.95 მ³/დღლ.

ტექნიკური საჭიროებისთვის შესაძლებელია ზედაპირული წყლების გამოყენება. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში სამი მდინარე მოედინება - ფრონე, ფცა და მტკვარი. მდინარეებს ახასიათებთ

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

წყალუხვობა გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ზაფხულში წყლის დონე მდგრადია, ზამთარში - საკმაოდ ცვალებადი. მდინარეები იკვებება თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალი გამოიყენება სარწყავად. რამდენადაც მდინარეში წყლის ხარჯი დამოკიდებულია ატმოსფერულ ნალექის რაოდენობაზე, ზოგიერთ/გვალვიან წლებში შესაძლებელია ფცასა და ფრონეში ხარჯის მნიშვნელოვანი შემცირება, შესაბამისად საჭიროა წყლის ალტერნატიული წყაროს მოძიება.

თუ ვივარაუდებთ, რომ სამშენებლო ბანაკში მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის: ავტოტრანსპორტის და ტექნიკის სადგომები, ბეტონის კვანძები, მექანიკური საამქროები, ხის დამამუშავებელი საამქროები, სამშენებლო მასალების საწყობები და სხვა. უპირატესობა მიენიჭება კომერციული ავტოსამრეცხაოს გამოყენებას. თუმცა, თუ ტერიტორიაზე მოეწყობა ავტო სამრეცხაო და ვივარაუდებთ, რომ ყოველდღიურად შესაძლებელია გაირეცხოს 5 ერთეული სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალება. ერთი სატრანსპორტო საშუალების რეცხვისათვის საჭირო წყლის რაოდენობა კი შეადგენს 350 ლიტრს. 250 სამუშაო დღის გათვალისწინებით წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების რეცხვისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება

$$5 \times 350 \times 250 = 12.5 \text{ მ}^3/\text{წ}, 0.25 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

ბეტონის ქარხნის ოპერირებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე. ერთი მ³ სხვადასხვა მარკის ბეტონის ნარევის დამზადებისათვის საშუალოდ იხარჯება 0.3 მ³ წყალი, ხოლო ბეტონის ქარხნის წარმადობა სავარაუდოდ არ იქნება 50 მ³/საათზე ნაკლები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბეტონის ქარხანა იმუშავებს ერთ ცვლად წელიწადში 160 დღის განმავლობაში, წარმოებული ბეტონის ნარევის რაოდენობა იქნება $160 \times 8 \times 50 = 64,000 \text{ მ}^3/\text{წელ}$. შესაბამისად საჭირო წყლის რაოდენობა იქნება

$$64,000 \times 0.3 = 19,200 \text{ მ}^3/\text{წ}$$

აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო ბანაკის ტექნიკური წყალმომარაგებისათვის საჭირო ტექნიკური წყლის მიახლოებითი რაოდენობა იქნება 19212.5 მ³/წ

სამეურნეო ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლები

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების რაოდენობა განისაზღვრება გამოყენებული სასმელ-სამეურნეო წყლის რაოდენობით, რომელსაც აკლდება 5%-იანი დანაკარგი. აღნიშნულის გათვალისწინებით სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მოსალოდნელი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება 470 მ³/წელ, 1.9 მ³/დღ.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ვინაიდან სოფლებში კანალიზაციის სისტემა და გამწმენდი ნაგებობა არ არსებობს. ტერიტორიაზე დაიდგმება ბიოტუალეტები ან მოეწყობა შემკრები ორმო. შეგროვილი ჩამდინარე წყლების გატანა მოხდება მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულების შესაბამისად.

რადგან ბეტონის წარმოებაში გამოყენებული წყალი სრულად მოიხმარება ტექნოლოგიურ პროცესში. თუ გადაწყდება ავტოსამრეცხაოს ადგილზე მოწყობა, საწარმოო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება გამოყენებული წყლის 95%-ს (5%-ის სხვაობა მოსალოდნელია აორთქლების და სხვა დანაკარგების შედეგად) ტოლი, რაც 11.9მ³/წ (ანუ 0.05 მ³/დღ.) შეადგენს. ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს კომპაქტური ნავთობდამჭერის დამონტაჟება. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, უპირატესობა მიენიჭება მანქანების კომერციულ სამრეცხაოში რეცხვას.

ჩამდინარე წყლების გაწმენდა

სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მოსალოდნელი შემადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს 1991 წლის 21 მაისის 91/271/EEC მოთხოვნებს ურბანული (სამეურნეო-საყოფაცხოვრებო) ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ, კერძოდ:

- შეწონილი ნაწილაკები - 30 მგ/ლ;
- ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება (ჟბმ) - 25 მგ/ლ;
- საერთო აზოტი - 15 მგ/ლ;
- საერთო ფოსფორი - 2 მგ/ლ.

საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის ნავთობდამჭერმა (ნავთობპროდუქტებისა და შეწონილი ნაწილაკებისაგან გაწმენდისათვის) უნდა უზრუნველყოს ჩამდინარე წყალში ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების კონცენტრაცია <0.3 მგ/ლ, შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია - 30 მგ/ლ-ს.

წყლის ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში არ მოხდება.

4.6.1.2. ელექტრომომარაგება

ტენდერისთვის მომზადებული ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად, მშენებელი კონტრაქტორი უზრუნველყოფს ობიექტის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხს და იხდის შესახამის გადასახადს. ელექტრო მომარაგება განხორციელდება სახელმწიფო ელექტროქსელიდან.

4.6.2 გზის მოწყობის სამუშაოები

სამშენებლო პროცესი მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, როგორც:

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

- გასხვისების ზოლის გაწმენდა ინფრასტრუქტურისა და მცენარეულობისგან ექსკავატორების/ბულდოზერების მეშვეობით და მათი გატანა სატვირთო მანქანებით შეთანხმებულ ადგილზე;
- თხრილების მოწყობა უკუციცხვიანი ექსკავატორით სადრენაჟე სისტემის და კიუვეტებისთვის;
- კიუვეტების მოწყობა არმირებული ცემენტ-ბეტონისგან;
- ნიადაგის დატკეპნა მძიმე ტექნიკით. ინერტული მასალის შემოტანა სატვირთო მანქანებით, დატკეპნა 500-800მმ ვაკისის ფორმირებისთვის.
- მზა ბეტონის დასხმა სპეცმანქანებით 280 მმ ბეტონის საფარის მოსაწყობად;
- გზის ზედა ფენის ხელით დამუშავება; შეერთების ადგილების დრეკადი ცემენტაცია; გზის მარკირება; ბარიერებისა და საგზაო ნიშნების მოწყობა;
- არსებული მაგისტრალის შეკეთება საჭიროებისამებრ - ძირითადად მცირე მოცულობის სამუშაოები, უკუციცხვიანი ექსკავატორის, ბეტონირების და სხვ. საშუალებით;
- ლანდშაფტის ჰარმონიზაცია და ხეების დარგვა.

პროექტი გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება;
- ტერიტორიის მომზადება - გასუფთავება (ხეების, ბუჩქნარის, ნაგვისგან);
- პროფილირება და განივი დრენაჟის მიღების/კიუვეტების მოწყობა. ვაკისის მოწყობის უბნებზე - ფენების პროფილირება და დატკეპნა. გრუნტის მოჭრის უბნებზე - მიწის მოხსნა საჭირო ნიშნულამდე და დატკეპნა;
- მიწის ვაკისზე ქვიშა-ხრეშის, ნამსხვრევი ქვის ან სხვა მდგრადი მასალის ფენის მოწყობა;
- ზედაპირული ფენის მოწყობა. მასალა შეიძლება იყოს ქვიშა, ასფალტი, ღორღის და ასფალტის ნარევი, ბეტონი ან მსგავსი მასალა;
- არსებული ხიდების შეცვლა, შეკეთება და განახლება;
- ასაქცევი, შემოვლითი და ახალი დამაკავშირებელი მოკლე გზის მონაკვეთების მშენებლობა;
- შერჩეული ადგილების მოსასვენებელი ადგილებით მოწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მარკირების და საგზაო ნიშნებით უზრუნველყოფა.

სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მიღებული სტანდარტების, ნორმების, რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. სამუშაოები განხორციელდება ტიპიური ტექნოლოგიური სქემის და საინჟინრო პროექტირების სპეციფიკაციის შესაბამისად საუკეთესო პრაქტიკის (BAT) და ტექნიკურ სპეციფიკაციაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად (სატენდერო დოკუმენტაცია, ნაწილი VI, ტომი III of the Bidding documents).

აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი - დიდი სატივე შემოვლითი გზის მონაკვეთის (114კმ - 126კმ) მოდერნიზების სამუშაოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მშენებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 24 თვეს.

4.6.3 პროექტის ტერიტორიის გარეთ მიმდინარე სამუშაოები

„გარე“ სამუშაოები მოიცავს სამშენებლო მასალის მოპოვებას არსებული ლიცენზირებული კარიერიდან.

კონტრაქტორმა უნდა შეიძინოს შესაბამისი სამშენებლო მასალა უფლებამოსილი, ლიცენზირებული მომწოდებლისგან.

პროექტირების ეტაპზე განისაზღვრა ლიცენზირებული კარიერები და ჩატარდა მასალის წინასწარი ტესტირება. შედეგები გვაჩვენებენ, რომ ბუნებრივად არსებული გრანულირებული მასალა პროექტის ტერიტორიაზე უმეტეს შემთხვევებში შეესაბამება შემცხებების, გზის საფარისა და ფუძის მასალისათვის საჭირო მოთხოვნებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში საჭიროებს გაცრას.

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

ცხრილი 4.3: ქვემო ქართლის რეგიონში არსებული კარიერების ნუსხა

რეგიონი	მანძილი დასახლებამდე, კმ	ლიცენზია	მფლობელი	მასალა	წლიური გამოსავალი	
ხაშური	ხაშური	10	00168	გომი 98	ქვიშა-ხრეში	38500
ქარელი	ახალსოფელი	1.5	00239	უშანგის ბიჭები	ქვიშა-ხრეში	90000
ხაშური	ხაშური	3	00326	კამა	ქვიშა-ხრეში	180000
ხაშური	ხაშური	3	00326	კამა	ქვიშა-ხრეში	180000
ხაშური	ხაშური	3	00326	კამა	ქვიშა-ხრეში	180000
ხაშური	აგარები	0.5	00368	გურამ კილაბერიძე. P.e	ქვიშა-ხრეში	300000
ხაშური	ხაშური	5 - 10	00369	გურამ კილაბერიძე. P.e	ქვიშა-ხრეში	400000
ქარელი	მოხისი	3.5	00386	გზები+	ქვიშა-ხრეში	150000
ხაშური	სადგ. გომი	3	00398	აკვარიუმი	ქვიშა-ხრეში	220000
ქარელი	ქარელი	8 - 10	00450	როსტომ მიხანაშვილი. P.e	ქვიშა-ხრეში	200000
გორი	გორი	8 - 9	00459	ვალერი+	ქვიშა-ხრეში	50000
ქარელი	ქარელი	8 - 10	00502	ბალასტი X	ქვიშა-ხრეში	400000
ქარელი	ურბნისი	1	00518	დელტეკარი	ქვიშა-ხრეში	200000
ქარელი	სადგ. ქარელი	4	00527	ბროლი	ქვიშა-ხრეში	115000
ქარელი	სადგ. აგარა	0.5 - 1	00550	ბაზალტი ინდუსტრია	ქვიშა-ხრეში	142000
ქარელი	აგარა	0.6	00553	ბაზალტი ინდუსტრია	ქვიშა-ხრეში	142000
ქარელი	სადგ. აგარა	1.5	00570	გივი გაკაშვილი. P.e	ქვიშა-ხრეში	70000
ქარელი	ქარელი	8	00616	პენტ ჰოლდინგ	ქვიშა-ხრეში	40000
გორი	გორი	1 - 1.5	00649	შ.პ.ს. სერვისიერი	ქვიშა-ხრეში	800000
ხაშური	ხაშური	1.5	00693	ი.ს. სერგო ბატეშვილი.	ქვიშა-ხრეში	143550
ხაშური	ხაშური	5	00775	დავით ი.ს. ხარაზიშვილი.	ქვიშა-ხრეში	30000
ხაშური	სადგ. გომი	2	00874	ი.ს. დავით ბელიძე.	ქვიშა-ხრეში	50000
ხაშური	ხაშური	4	00889	შ.პ.ს. თეონა	ქვიშა-ხრეში	177900
ხაშური	ხაშური	4	00889	შ.პ.ს. თეონა	ქვიშა-ხრეში	177900
ხაშური	ხაშური	12	00938	გომის ალკოჰოლისა და არყის საწარმო	ქვიშა-ხრეში	25000
ხაშური	ხცისი	1	01009	ი.ს. სოლომონ ახალკაცი.	ქვიშა-ხრეში	263700
ხაშური	ხაშური	2	01079	შ.პ.ს. თეონა	ქვიშა-ხრეში	9300

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

გორი	ხიდისთავი	0.5 - 1	01080	შ.პ.ს. ჰორიზონტი	ქვიშა-ხრეში	255600
ხაშური	ხაშური	5 - 6	01120	შ.პ.ს. აკვარიუმი	ქვიშა-ხრეში	84600
ხაშური	ხაშური	2.5	01181	ი.ს. გივი მჭედლიძე.	ქვიშა-ხრეში	73800
ხაშური	ხაშური	2.5	01181	ი.ს. გივი მჭედლიძე.	ქვიშა-ხრეში	73800
ხაშური	ხაშური	2.5	01181	ი.ს. გივი მჭედლიძე.	ქვიშა-ხრეში	73800
გორი	გორი	3 - 4	100003	ი.ს. რევაზ გოგიაშვილი.	ქვიშა-ხრეში	617100
გორი	გორი	3 - 4	100003	ი.ს. რევაზ გოგიაშვილი.	ქვიშა-ხრეში	617100
ხაშური	ხცისი	2	100133	ი.ს. თამაზ შათირიშვილი.	ქვიშა-ხრეში	93900
გორი	სადგ. უფლისციხე	1	100179	შ.პ.ს. მშენებელი	ქვიშა-ხრეში	66300
ხაშური	ხაშური	4	100187	ი.ს. დავით კიპაროძე.	ქვიშა-ხრეში	137000
ხაშური	ხაშური	4	100187	ი.ს. დავით კიპაროძე.	ქვიშა-ხრეში	137000
გორი	გორი	1	100277	შ.პ.ს. ნუოვო გლობალი	ქვიშა-ხრეში	186600
გორი	გორი	3 - 4	100318	შ.პ.ს. აღმაშენებელი	ქვიშა-ხრეში	59400
ხაშური	ცხრამუხა	1	100397	შ.პ.ს. დათუნა 2006	ქვიშა-ხრეში	180000
გორი	სკრა	1	100400	ი.ს. მალხაზ ტრამაკიძე.	ქვიშა-ხრეში	60000
გორი	ხიდისთავი	1,5	100430	ი.ს. კახაბერ სოლუღაშვილი.	ქვიშა-ხრეში	55000
ქარელი	ქარელი	2,5	100441	შ.პ.ს. როკო აგოსტინო ე ფილი	ქვიშა-ხრეში	173100
ხაშური	კრისხევი	1,8	100465	შ.პ.ს.თეონა	ქვიშა-ხრეში	160000
ხაშური	ხცისი	1	100550	შ.პ.ს.პროგრესი	ქვიშა-ხრეში	86400
ხაშური	ხცისი	1,7	100551	შ.პ.ს. პროგრესი	ქვიშა-ხრეში	151800
ხაშური	ხაშური	4 - 5	100816	შ.პ.ს. ჯიესპი+	ქვიშა-ხრეში	0
ხაშური	ხაშური	4 - 5	100816	შ.პ.ს. ჯიესპი+	ქვიშა-ხრეში	0
ხაშური	ცხრამუხა	1.1 - 1.2	100901	შ.პ.ს. გზა X 2007.	ქვიშა-ხრეში	26100
ხაშური	ქვიშხეთი	2 – 2.5	100965	შ.პ.ს. მშენებლობის განვითარება კომპანია	ქვიშა-ხრეში	131000
ხაშური	ხაშური	10	00290	შ.პ.ს.ორგანიზაცია – ბეთანია	Quartz Sand	50000
ხაშური	ხაშური	10	01188	შ.პ.ს. სამშენებლო ქვიშა	Quartz Sand	310200
გორი	სვენეთი	1.5	100146	ი.ს. გივი აბალაკი მერმეზე	ქვიშა-ხრეში	520000
გორი	სვენეთი	1.5	100146	ი.ს. გივი აბალაკი მერმეზე	ქვიშა-ხრეში	520000
გორი	ახალსოფელი	1.5	100458	შ.პ.ს. აშტრომ ინტერნაციონალი	Crushed Stone	172000
გორი	სვენეთი	1,2	100526	შ.პ.ს. აშტრომ კონტრაქტინგ ჯორჯია	ქვიშა-ხრეში	123200

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

გორი	გორი	5 - 6	100565	აშტრომ ინტერნაციონალის წარმომადგენლობა	ქვიშა-ხრეში	336000
ხაშური	ოძისი	1,5 - 2	100771	საქ. საშენი	კვარცის ქვიშა	274500
ხაშური	კემპერი	0	559	შ.პ.ს. ალკაზარი	კვარცის ქვიშა	700000
ხაშური	კემპერი	0	559	შ.პ.ს. ალკაზარი	კვარცის ქვიშა	700000
ხაშური	სადგ. ხაშური	5 - 6	01028	ი.ს. ლევან გელაშვილი.	ქვიშა	9000
ხაშური	ხაშური	5 - 5,5	100847	ი.ს. გურამ კვიციანიძე.	კვარცის ქვიშა	77000

ცხრილი 4.4: მონაცემები გზისპირა კარიერებზე

№	კარიერის მფლობელი	ლიცენზია #	მდებარეობა	დაზვერილი რესურსი. მ ³	წლიური წარმადობა. მ ³	მდებარეობა არსებული გზის მიმართ	ზიდვის მანძილი საპროექტო მონაკვეთამდე, კმ	პროდუქცია
1	შპს ბაზალტინდუს ტრია	00550	ქარელის რ-ნი, მდ. მტკვრის კალაპოტი, 1 კმ ქარელის სადგურიდან	10,687	142	საპროექტო ტრასის მე-5 კმ-ზე გადასახვევი სოფ. ბეზნისისაკენ	3.5	ხრეშისა და ქვიშის ნარევი, დამსხვრეული ქვა, ქვიშა
		00553	ქარელის რ-ნი, მტკვრის კალაპოტი, 0.6 კმ დაბა აგარამდე	8,750	142	სოფ მოხისთან არსებული გზიდან გადასახვევი სამხრეთით	2	ხრეშისა და ქვიშის ნარევი,
2	შპს როკო აგოსტინო ეფილი	100441	ქარელის რ-ნი, მტკვრის კალაპოტი, 2.5 კმ ქარელიდან	12,250	173	არსებული გზიდან გადასახვევი სოფ. დოღლაურასკენ მდ. ფრონეს ხიდის შემდეგ	2	ხრეშისა და ქვიშის ნარევი, დამსხვრეული ქვა, ქვიშა
3	შპს გზები +	00386	ქარელის რ-ნი, მტკვრის კალაპოტი, 3.5 კმ სოფ. მოხისიდან	150	15	სოფ მოხისთან არსებული გზიდან გადასახვევი სამხრეთით	1.8	ხრეშისა და ქვიშის ნარევი,

შენიშვნა: 1) შპს „ბალასტ ინდუსტრი“ ორივე კარიერი სათანადოდაა გამართული. მათ აქვთ ქვისსამტკრევი, სარეცხი მანქანები, ექსკავატორები და ნაგვის მოსაგროვებელი აღჭურვილობა. შპს გზები + კარიერზე დროებით შეჩერებულია მუშაობა, რადგან კარიერი დატბორილია; 2) მასალის გამოყენება: ქვა და ღორღი გამოიყენება ბეტონისთვის და ასფალტ-ბეტონისთვის; ბაზალტი გამოიყენება საფარისათვის; ღორღი კი გზის საფარისათვის.

კონტრაქტორს შეუძლია თვითონ მიოპოვოს მასალა, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა იქნება საბადოს გამოკვლევა, მასალის ხარისხის ანალიზი და ლიცენზიის მიღება შესაბამისი ორგანოებიდან.

თუ კონტრაქტორი გადაწყვეტს სამშენებლო მასალისთვის საკუთარი კარიერის გამოყენებას, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:

- მასალის მოპოვება უნდა მოხდეს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერიდან;
- საჭიროებისამებრ უნდა გატარდეს ეროზიისგან დაცვის ღონისძიებები;
- კარიერიდან მასალის მოპოვება და მისი შეწყვეტა უნდა მოხდეს კარიერის გამოყენების ლიცენზიის პირობების შესაბამისად და გარემოსდაცვითი სტანდარტების სათანადო გათვალისწინებით;
- მოპოვებითი საქმიანობის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს, კარიერისა და მისი მიმდებარე, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორია რეკულტივაცია: უნდა დაბრუნდეს ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენა, ტერიტორია აღდგეს საწყისთან მაქსიმალურად მიახლოებულ მდგომარეობამდე (მაგ. ადგილის განაშენიანება).

მასალის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან

მდინარის კალაპოტიდან მასალის მოპოვება შეთანხმებულ უნდა იქნას გარემოსდაცვით ორგანოებთან. შესაძლებელია არსებული ან ახალი კარიერების გამოყენება თუ ის მნიშვნელოვან ზიანს არ მოუტანს გარემოს. არსებული კარიერების გამოყენების უპირატესობა ახალ ტერიტორიებზე ზემოქმედების თავიდან აცილების შესაძლებლობაა. კონტრაქტორი პასუხისმგებელია სპეციფიკაციის შესაბამისი მასალის წყაროს/მომწოდებლის განსაზღვრაზე.

შენიშვნა: მდინარის კალაპოტიდან მასალის ამოღებამ ზეგავლენა არ უნდა იქონიოს მდინარის კალაპოტზე და რელიეფზე. ხრემის ამოღება დაუშვებელია წყალუხვობის პერიოდში. სამუშაო უბანი დაცული უნდა იყოს ხრემის ნაყარით (2 მ-მდე სიგანის).

5 მეთოდოლოგია

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ექვს ძირითად კომპონენტს მოიცავს, რომელებიც ყველა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესრულებული შეფასების პროცესში ერთნაირია და გულისხმობს:

1. პროექტის შესრულების ტერიტორიაზე შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოს კომპონენტების (ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალური) ფონური მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვებას კამერალური და საველე სამუშაოების მეშვეობის ინფორმაციის მოპოვების გზით.
2. ზემოქმედების იდენტიფიკაციას, მნიშვნელოვნების შეფასებას და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას (მსოფლიო ბანკის მოთხოვნების და საგზაო დეპარტამენტის პოლიტიკის მიხედვით ზემოქმედების თავიდან აცილებას პრიორიტეტი ენიჭება შერბილებასთან შედარებით)
3. ალტერნატივების ანალიზს - ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიის, დიზაინის და ოპერირების თვალსაზრისით, ნულოვანი ალტერნატივის ჩათვლით.
4. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას მსოფლიო ბანკის OP 4.01 დანართი C შესაბამისად.
5. კონსულტაციებს დაიტერესებულ მხარეებთან და ინფორმაციის გასაჯაროებას (საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად).
6. გზშ ანგარიშის მოზადებას.

შეფასების და ანგარიშს მომზადების პროცესში გამოყენებული იყო არსებული ლიტერატურული მონაცემები, პირველადი წყაროები, სახელმწიფო და კონსულტანტების ანგარიშები და ინფორმაცია. ჩატარდა ბოტანიკური და ფაუნის კვლევა. საველე სამუშაოები შესრულდა 2011 წლის 19-20 მაისს; 2011 წლის 5-6 აგვისტოს და 2012 9-10 სექტემბერს.

ბოტანიკური შეფასების მიზანი იყო პროექტის განხორციელების ზოლში მცენარეთა თანასაზოგადოებების განსაზღვრა, სენსიტიური/დაცული სახეობების გამოვლენა და, მათი

დაფიქსირების შემთხვევაში, რაოდენობრივი დახასიათება. შესაძლო პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების გათვალისწინებით შეფასებულ იქნა ღერბული ხაზიდან 100მ (ორივე მიმართულებით) ზოლი. ჩატარდა ტერიტორიის ვიზუალური დათვალისერება. შეფასდა მცენარეთა ძირითადი ტიპები, სახეობრივი შემადგენლობა, დომინანტი სახეობები, ბიომის სენსიტიურობა და მცენარეთა კომერციული ღირებულება. შესწავლილ იქნა ენდენური, იშვიათი და სხვა დაცული სახეობების არსებობა პროექტის ზემოქმედების ზონაში.

ფაუნის შესწავლის მიზანი იყო სახეობების შესახებ ლიტერატურაში არსებული მონაცემების გადამოწმება -დაზუსტება და მათი კვლევის ზონაში არსებობის დაფიქსირება. ცხოველთა ძირითადი სახეობების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული იყო მარტივი მეთოდი - ნაკვალევის, ექსკრემენტების და საცხოვრებლის დაფიქსირება.

ნიადაგის ფონური მდგომარეობის დასადგენად აღებულ იქნა სინჯები (2012 წ 10 სექტემბერი). იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია ძირითადად სასოფლო დანიშნულებისაა და ძირითადი დაბინძურების წყაროს გზა წარმოადგენს, აღებული იყო ოთხი გასაშუალოებული სინჯი. სინჯების აღება მოხდა გზის ორივე მხარეა, სავალი ნაწილიდან 1-200მ ინტერვალში, სინჯის აღების სიღრმე 0-10სმ. ერთი წერტილიდან აღებული სინჯის ოდენობა - 1 კგ. სინჯის აღებამდე ტერიტორია გაიწმინდა ქვების და მცენარეული საფარისგან. სინჯები მოთავსდა პოლიეთილენის პარკებში, გაუკეთდა მარკირება და გაიგზავნა ლაბორატორიაში საანალიზოდ. სინჯები გაშრა, გასაშუალოვდა და გაიცრა.

ანალიზის მეთოდები

Cu, Zn, Pb, Ni, Co, Co, Cd	ISO 11047, ISO 11466 - Aqua Regia extract Determination of Cu, Mn, Fe, Mn, Co, Pb, Cd, Ni, Zn, Cr, Ni. Al
As	ISO 2590 - General method for the determination of arsenic – Silver diethildithiocarbamate photometric method

ანალიზმა აჩვენა, რომ ლითონების კონცენტრაცია ნიმუშებში ევროკავშირში დადგენილ მაქსიმალურად დასაშვებ კონცენტრაციას არ აღემატება.

ნიადაგის ფიზიკო-მექანიკური თვისებები შესწავლილ იქნა შპს გეოტექსერვისის მიერ, შპს ტრანსპორტთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მდ.სურამულას და მტკვრის წყლის სინჯების აღებულ იქნა 2012 წლის 10 სექტემბერს. სინჯების ასაღებად გამოყენებული იყო 1.5 ლიტრი ტევადობის პეტის ბოთლები. ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადის

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

განსასაზღვრად სინჯები აღებულ იქნა 1ლ შუშის ბითლებში. სინჯებს გაუკეთდა შესაბამისი ეტიკეტი და იმავე დღეს გადაეცა ლაბორატორიას საანალიზოდ. ანალიზები ჩატარდა ISO და EPA სტანდარტების შესაბამისად.

წყლის სინჯების ანალიზის მეთოდები

პარამეტრი	მეთოდი	პარამეტრი	მეთოდი
pH	ISO 10523	Mn	ISO 6333
ელგამტარობა	ISO7888:1985	Zn	ISO 8288
BOD		Cl	ISO 9297
COD	ISO 6060	NO ₂	ISO 7890
NH ₄	ISO5664:1984	NO ₃	ISO 6777
K	ISO 9964	Pb	ISO 8288
Fe	ISO 6332	TPH	EPA 418
Cu	ISO 8288		

სინჯების ანალიზი ჩატარდა სამეცნიერო-კვლევითი ფორმა გამას ლაბორატორიაში.

გრძელვადიანი დაბინძურების დონეების დასათვლელად გამოყენებულ იქნა CAL-Roads View-ს მოდელის პროგრამული უზრუნველყოფა. CAL-Roads View წარმოადგენს ჰაერის დისპერსიის კომპლექსურ მოდელირების პროგრამას მაგისტრალთან ახლოს ჰაერის ხარისხზე დამაბინძურებლების ზემოქმედების პროგნოზირებისათვის. აგარა-დიდი სატივეს მონაკვეთისთვის მოდელირება გაკეთდა სამი ალტერნატივისთვის (ნულოვანი, სამხრეთის და ჩრდილოეთის).

დაბინძურების დისპერსიული მოდელირების საწყისი მონაცემები

		„ნულოვანი“ ალტერნატივა	პროექტის ალტ-ვა 1	პროექტის ალტ-ვა 2
საპროგნოზო წელი		2025	2025	2025
სატრანსპორტო ნაკადის შემადგენლობა	მსუბუქი მანქანა/დღეში	22446	22446	22446
	სატვირთო/დღეში	2040	2040	2040
	ნაკადში მძიმე ტრანსპორტის %	8.3	8.3	8.3
	საერთო რაოდენობა დღეში	24486	24486	24486
სიჩქარის შეზღუდვა, კმ/სთ	მსუბუქი მანქანა (დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე)	120**	120**	120**
	სატვირთო მანქანა (დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე)	100**	100**	100**

“მძიმე ტვირთშიდი ავტომანქანა

“გზის რეკონსტრუქციის შედეგად განხორციელდება ყველა დასახლებული პუნქტის გვერდის აქცევა, შედეგად სიჩქარეების შეზღუდვა არ არის მართებული

დაბინძურების მოდელირება ჩატარდა უარესი სცენარის გათვალისწინებით, რომელშიც ძირითადად განიხილება ქარის მიმართულება, ქარის სიჩქარე და ატმოსფეროს მდგრადობა. ქარის მაღალი სიჩქარეები და ატმოსფეროს არამდგრადი პირობები განაპირობებენ დაბინძურების სწრაფ დისპერსიას და მცირე კონცენტრაციებს. ამიტომ მოდელირება ჩატარდა მდგრადი ატმოსფეროსა და უარესი ატმოსფერული პირობების გათვალისწინებით, შეფასება განხორციელდა გორის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების საფუძველზე (ქარის უმცირესი სიჩქარე 2.9მ/წმ; ზამთარში დაფიქსირებული ტემპერატურა -1°C). დამაბინძურებლების მაქსიმალური შესაძლო კონცენტრაციის მოდელირებისთვის გამოყენებული იყო ქარის ყველაზე არასასურველი კუთხე.

გამოთვლილ იქნა ნახშირბადის მონოქსიდის (CO), აზოტის დიოქსიდის (NO_2), 10 მიკრომეტრამდე ზომის მყარი ნაწილაკების მაქსიმალური 30 წუთიანი ერთჯერადი კონცენტრაციები. დამაბინძურებლების დისპერსიის რუკა წარმოდგენილია დანართში 1.

სოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ჰაერზე ზემოქმედების შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ორივე - მსოფლიო ბანკის და მსესხებელი ქვეყნის რეგულაციებსა და სტანდარტებს. იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის განსხვავებაა - გამოყენებულ უნდა იქნას უფრო მკაცრი ნორმა. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია საქართველოს ნორმატივების შესაბამისად (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს 38/ნ ბრძანების (2003) შესაბამისად “გარემოს ხარისხობრივი სტანდარტები დამტკიცების შესახებ: დასახლებული პუნქტების ატმოსფერული დამაბინძურებლების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები”) და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები (გარემოსდაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების რეკომენდაციებში (EHS) ”ემისიები ატმოსფერულ ჰაერში და ჰაერის ხარისხი”, შექმნილი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რეკომენდაციების საფუძველზე) მოცემულია ცხრილი. 30 წუთიანი ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაციები საქართველოს სტანდარტების შესაბამისად მიჩნეულ იქნა ყველაზე მკაცრად და მაშასადამე გამოყენებულ იქნა შეფასების პროცესში.

ითვლება, რომ თუ ყველაზე უარეს მეტეოროლოგიურ პირობებისთვის მოდელირების ჩატარებისას 30 წუთიანი ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაციები არ აჭარბებს ქვემოთ მოცემულ მნიშვნელობებს, ამ

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

ზღვრის გადაჭარბება უფრო ხანგრძლივ პერიოდში ასევე მოსალოდნელი არ არის.

მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციები (MAC) საქართველოს სტანდარტებისა და WHO-ს სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად

		EHS სახელმძღვანელო დოკუმენტები *	საქართველოს სტანდარტები
CO	1 საათი	30 მგ/მ ³ (25 ppm)	-
	8 საათი დღიური მაქსიმუმი	10 მგ/მ ³ (10 ppm)	-
	30 წთ ერთჯერადი მაქსიმუმი	-	5 მგ/მ ³
	24 საათი	-	3 მგ/მ ³
NO₂	1 საათი	200 μ გ/მ ³ (0.11 ppm)	-
	წლიური	40 μ გ/მ ³ (0.026 ppm)	-
	30 წთ ერთჯერადი მაქსიმუმი	-	200 μ გ/მ ³
	24 საათი	-	40 μ გ/მ ³
PM₁₀	24 საათი	50 μ გ/მ ³	300 μ გ/მ ³
	წლიური	20 μ გ/მ ³	-
	30 წთ ერთჯერადი მაქსიმუმი	-	500 μ გ/მ ³

* EHS სახელმძღვანელო დოკუმენტები ეფუძნება WHO-ს ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო დოკუმენტებს ევროპისათვის

მაგისტრალის რუისი-აგარის შემოვლითი გზის მონაკვეთი გადის სასოფლო ტიპის ლანდშაფტზე, ორი დასახლებით და რამდენიმე ცალკე მდგომი შენობით. მათგან ყველაზე დიდი დასახლების მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 000. ამიტომ დამაბინძურებლების ფონური კონცენტრაციები ნულის ტოლად არის მიჩნეული და არ არის გათვალისწინებული დისპერსიის მოდელირებაში (წყარო: "დასახლებული პუნქტებისა და ქალაქების ფონური კონცენტრაციები, სადაც ჰაერის ხარისხის დაკვირვებები არ წარმოებს").

ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შეფასების მიზნით ხმაურის დისპერსიის გრძელვადიანი მოდელირება ჩატარდა სამივე განსახილველი ალტერნატივისთვის. მისი მიზანი იყო ხმაურის გაზრდილი დონის რაოდენობრივი შეფასება და EWH-60 გასწვრივ მაცხოვრებლებზე შესაძლო უარყოფითო ზემოქმედების განსაზღვრა. ხმაურის დონეების გამოთვლა განხორციელდა *CadnaA* (ხმაურის შემცირების კომპიუტერული პროგრამა) პროგრამის გამოყენებით, რომელიც იძლევა სხვადასხვა სცენარების განხილვის შესაძლებლობას, ხმაურის სხვადასხვა წყაროს (მობილური წყაროები - საავტომობილო და სარკინიგზო გზები, თვითმფრინავები; სტაციონალური წყაროები - ინდუსტრიული საწარმოები და სხვა) შერჩევისა და მართვის

შემთხვევაში, გზის, ხიდების და სხვა კონსტრუქციების კომპლექსური სტრუქტურის შეფასებით. *CadnaA*-ში გამოყენებული ალგორითმები ითვალისწინებენ ტოპოგრაფიას, მაგისტრალის გამტარუნარიანობას, ტრანსპორტის სიჩქარეებს, სატრანსპორტო ნაკადში სატვირთო მანქანების პროცენტულობას, გზატკეცილის პროფილს და დახრილობას, შენობების სართულების რაოდენობას და, გარდა ამისა, საშუალებას იძლევიან დაგეგმარდეს ხმაურმჩამხმობი ბარიერები. *CadnaA* ითვლის დღის, საღამოს და ღამის ხმაურის დონეებს ტრანსპორტის ნაკადის ინტენსივობის, სიჩქარის და სატრანსპორტო ნაკადში სატვირთო და მსუბუქი მანქანების პროცენტულობის გათვალისწინებით. მასში ასევე გათვალისწინებულია ადგილის ტოპოგრაფია და სხვა წინალობები (მაგ. ტყის მასივები). *CadnaA* იყენებს ციფრულ რუკებს და შედეგად ქმნის ხმაურის რუკებს, სადაც ხმაურის დონეებს სხვადასხვა ფერები შეესაბამება - ერთი ფერი შეესაბამება 5 dBA დონის ხმაურს და წარმოდგენილია 1dBA ინტერვალის მქონე იზოხაზებით.

აგარა-დიდი სატივეს გზის მონაკვეთისთვის შეფასდა ორი სცენარი პროექტის ალტერნატივების შესაბამისად:

- *ხმაურის დონის გათვლები სატრანსპორტო ნაკადის საპროგნოზო (2025 წელი) მონაცემებისათვის საფუძველზე პროექტის განუხორციელებლობის („ნულოვანი“ ალტერნატივა) შემთხვევაში;*
- *ხმაურის დონის გათვლები სატრანსპორტო ნაკადის იგივე საპროგნოზო (2025 წელი) მონაცემებისათვის, პროექტის ალტერნატივა 1-თვის (გზის გაფართოება).*
- *ხმაურის დონის გათვლები სატრანსპორტო ნაკადის იგივე საპროგნოზო (2025 წელი) მონაცემებისათვის, პროექტის ალტერნატივა 2-თვის (გზის გაფართოება და აგარის შემოვლითი გზა)*

10	მანქანებით/ტექნიკით გამოწვეული ხმაური - ლოკალური	მცირე	დასახლებების მახლობლად
11	ბრაკონიერობა	არ არსებობს ან ძალიან მცირეა	მდინარეები, ტრასის გაყოლებაზე
12	წყლის დაგუბება კარიერებში, მასალის ამოღების უბნებზე, რაც კოლოების და სხვა დაავადების გადამტანებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის	მცირე	კარიერები, მასალის მოპოვების უბნები
13	მიწის სამუშაოების დროს დაბინძურებული ბიოლოგიური მასალით (მაგ. დაავადებული საქონლის სამარხი ან სხვ.) რეკონტამინაცია	არ არსებობს ან მცირეა	ახალი გზის მონაკვეთები
14	ტრანსპორტით, სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ემისიების/მტვრის ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე	საშუალო	დასახლებების მახლობლად
15	ზემოქმედება არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ტერიტორიებზე	მცირედან საშუალომდე	არადეთი-სალოლაშენის მიმდებარე ტერიტორია
16	სახიფათო პირობები მოძრაობისთვის სადაც მშენებლობა არსებულ გზებს ეხება.	მცირე	მთელი ტრასა. დასახლებების მახლობლად
17	ზემოქმედება არსებულ ინფრასტრუქტურაზე	საშუალო	უმეტესად დასახლებებთან
18	ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული ავარიების რისკი	მცირე	მთელი ტრასა; ყველაზე სენსიტიური უბნები დასახლებების მახლობლად.
19	ეკონომიკური განსახლება - გასხვისების ზოლში მოქცეული ადამიანებისთვის	საშუალო	კომპენსაცია

ზემოქმედება გარემოზე - ექსპლუატაცია

#	პოტენციური ზემოქმედება	სიმძიმე	ადგილი
20	ზემოქმედება ლანდშაფტზე	საშუალო	მთელი ტრასა
21	ზემოქმედება მისასვლელ გზებზე, კარიერებზე, სანაყაროებზე	მცირე	შეკეთების დროს
22	გზისპირა ნაგავი	მცირე	ტრასის გაყოლებაზე, ნაგავსაყრელები
23	ჭრების და ყრილების ადგილების	საშუალო	გასხვისების ზოლის

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

	ეროზია, ბუნებრივი დრენაჟის გზების დროებითი მოსიღვა. გზის ვაკისის ეროზია დახურული ან ღია წყალსარინებიდან კონცენტრირებული ნაკადის გავლენით.		ფარგლებში. ტრასის უმეტესი ნაწილი
24	ნიადაგის/ქვედა ფენების დრენაჟის ხასიათის შეცვლა	-	არსებული კიუვეტების და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია
25	ეროზიის, მიწის სამუშაოების, ნაგვის ცუდი მენეჯმენტით გამოწვეული ზედაპირული წყლის სიმღვრივის მომატება და დაბინძურება, მოსიღვის გაზრდილი დონე	მცირე	ტრასის გასწვრივ მდინარეებთან
26	გზის გასწვრივ ნიადაგის და წყლის დაბინძურება საწვავით, ზეთით, საღებავით	მცირე	ტრასის უმეტესი ნაწილი
27	ჰაერის დაბინძურება ტექნიკიდან - სარემონტო სამუშაოების დროს	მცირე	ტრასის უმეტესი ნაწილი
28	ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება	მცირე	ტრასის უმეტესი ნაწილი, დასახლებების მახლობლად
29	ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ხმაური	მაღალი	ტრასის უმეტესი ნაწილი, დასახლებების მახლობლად
30	გზისპირა ნაგავი	საშუალო	ტრასის უმეტესი ნაწილი
31	პარაზიტების, სარველების და სხვ. გადატანის დერეფნის შექმნა	საშუალო	ტრასის უმეტესი ნაწილი
32	მტვრით და გამონახობლქვით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკები	მცირე	დასახლებების მახლობლად
33	სახლიდან მიწის ნაკვეთამდე და ა.შ . მისასვლელი გზების ბლოკირება, გადაადგილების გაზრდილი დრო.	მცირე	დასახლებების მახლობლად
34	არამოტორიზებულ ტრანსპორტზე ზემოქმედება მაგისტრალის დერეფანში შემცირებული ან გართულებულ გადაადგილების უფლების გამო	-	-
#	ავარიული სიტუაციები	სიმძიმე	
35	ავარიების რისკი დაკავშირებული ტრანსპორტთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაღვრა, დაშავება ან სიკვდილი	საშუალო	დასახლებების მახლობლად. გზის მთელ მონაკვეთზე

ზემოქმედების მატრიცა - მშენებლობის ეტაპი

ქმედება	ზემოქმედება	ზემოქმედების ხასიათი							
		პირდაპირი	ირიბი	დადებითი	უარყოფითი	შექცევადი	შესწავადი	დროებითი	ნარჩენი
ტერიტორიის გაწმენდა და პროვილირება	ზემოქმედება ლანდშაფტზე, ფლორა/ფაუნაზე, ჰაბიტატებზე	+			+		+		+
	ეროზია	+			+		+		
	ემისიები	+			+	+		+	
	ხმაური, ვიბრაცია	+			+	+		+	
	ნიადაგის დაბინძურება		+		+	+		+	
	ნარჩენების წარმოქმნა		+		+	+		+	
	გრუნტის და ზედაპირული წყლების დაბინძურება		+		+	+		+	
მშენებლობა, მოკირწყვლა	ემისიები	+			+	+		+	
	ხმაური, ვიბრაცია	+			+	+		+	
	ნიადაგის დაბინძურება		+		+	+		+	
	ნარჩენების წარმოქმნა		+		+	+		+	
	გრუნტის და ზედაპირული წყლების დაბინძურება		+		+	+		+	
მასალის კარიერის ექსპლუატაცია	ზემოქმედება ლანდშაფტზე, ფლორა/ფაუნაზე, ჰაბიტატებზე	+			+		+		+
	ეროზია	+			+		+		+
	ემისიები	+			+	+		+	
	ხმაური, ვიბრაცია	+			+	+		+	
	ნიადაგის დაბინძურება		+		+	+		+	
	ნარჩენების წარმოქმნა		+		+	+		+	
	გრუნტის და ზედაპირული წყლების დაბინძურება	+			+	+		+	
კარიერიდან მასალის ტრანსპორტირება	ემისიები	+			+	+		+	
	ხმაური, ვიბრაცია	+			+	+		+	
	ნიადაგის დაბინძურება		+		+	+		+	
	ნარჩენების წარმოქმნა		+		+	+		+	
	გრუნტის და ზედაპირული წყლების დაბინძურება		+		+	+		+	
გზისპირა კონსტრუქციების ნაწილის აღება, გზის საფარის მოხსნა	ემისიები	+			+	+		+	
	ხმაური, ვიბრაცია	+			+	+		+	
	ნიადაგის დაბინძურება		+		+	+		+	
	ნარჩენების წარმოქმნა		+		+	+		+	
	გრუნტის და ზედაპირული წყლების დაბინძურება		+		+	+		+	
მყარი ნარჩენების განთავსება	ზემოქმედება ლანდშაფტზე, ჰაბიტატებზე	+			+	+		+	
	ემისიები	+			+	+		+	
	ხმაური, ვიბრაცია	+			+	+		+	
	ნიადაგის დაბინძურება		+		+	+		+	
	ნარჩენების წარმოქმნა		+		+	+		+	
	გრუნტის და ზედაპირული წყლების დაბინძურება		+		+	+		+	

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

9.4 გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და მონიტორინგი

A. პროექტირების ეტაპი

გარემოსდაცვითი პრობლემა	გატარებული ან განსახორციელებელი ღონისძიება	შემსრულებელი	პასუხისმგებელი-ზედამხედველი
მტვერი/ჰაერის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> მასალის, ნარჩენების განთავსების, ბეტონის შემრევის განთავსების ადგილი უნდა განისაზღვროს გარემოსდაცვითი საკითხების (ადამიანებზე და ცხოველთა სამყაროზე ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად) გათვალისწინებით. 	EPTISA/კონტრაქტორი	RD
ხმაური	<ul style="list-style-type: none"> დახმარე და მასალის გადაზიდვის გზების შერჩევა მჭიდროდ დასახლებული უბნებისგან შორს ხმაურის გაზრდილი ღონის თავიდან აცილების მიზნით. 	EPTISA/კონტრაქტორი	RD
ზედაპირული წყლის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> დრენაჟის სისტემის საჭიროების განსაზღვრა. მდინარის მახლობლად მუშაობისას ზედაპირული წყლის დაცვის ღონისძიებების განსაზღვრა 	EPTISA	RD
თევზი ხელოვნურ ტბორში	<ul style="list-style-type: none"> თევზის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფად და წყლის მოძრაობისთვის პროექტით გათვალისწინებულია გზის ვაკისში გასასვლელის დატოვება. 	EPTISA	RD
მიწის/მოსავლის დაკარგვა შემოსავლის წყაროს/ბიზნესის დაკარგვა	<ul style="list-style-type: none"> მიწის შესყიდვის გეგმის შემუშავება და შესრულება კომპენსაცია 	EPTISA	RD

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

B. მშენებლობის გაზა

ქმედება	ადგილმდებარეობა	გარემოსდაცვითი პრობლემა	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი	მიახლოებითი ღირებულება (ლარი)	მონიტორინგი			
						მონიტორინგის ღონისძიება	სიხშირე	მიახლოებითი ღირებულება (ლარი)	პასუხისმგებელი
ტერიტორიის გაწმენდა	გასხვების ზოლი, დამხმარე ინფრასტრუქტურა	ბალახის და მცენარეული საფარის მოცილება, ხეების მოჭრა	<ul style="list-style-type: none"> • გადასარგავი ან მოსაჭრელი ხეების იდენტიფიკაცია. ხიდების მშენებლობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მდინარის ჭალის და ფერდობების მცენარეების დაცვას. • აუცილებლობის გარეშე ხის მოჭრის ან დაზიანების დაუშვებლობა. მცენარეული საფარის შესაძლებლობისდაგვარად მაქსიმალური შენარჩუნება. • ყოველი მოჭრილი ხე კომპენსირებული უნდა იყოს 3 იგივე სახეობის მცენარის დარგვით. • სამუშაოს დასრულების შემდეგ ტერიტორიის რეკულტივაცია. 	კონტრაქტორი	ღირებულება განისაზღვრება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მოჭრილი ხის ტიპის მიხედვით. სულ მოიჭრება 349 ხე, მათგან 235 წიწვოვანი,	ინსპექტირება	პერმანენტული მონიტორინგი მშენებლობის დროს. საფარის აღდგენის შემდეგ	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
ტერიტორიის გარეთ მოძრაობა	მისასვლელი გზები	ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ნიადაგზე	<ul style="list-style-type: none"> • გზის საზღვრების მკაცრი დაცვა მცენარეული საფარის 'ზედმეტი' დაზიანების და ნიადაგის დატკეპნის თავიდან ასაცილებლად 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	ინსპექტირება	დროდადრო	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

<p>კონტრაქტორის ბანაკის და ტექნიკის განთავსების მოედნების მოწყობა და ოპერირება</p>	<p>ბანაკები, ტექნიკის განთავსების მოედნები</p>	<p>ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და მიწის რესურსების არაადექვატური გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> პროექტისთვის განკუთვნილი ტერიტორიის საზღვრების დაცვა. სამუშაოს დასრულების შემდეგ დროებითი სარგებლობის ტერიტორიების საწყისთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა. ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით, დროებითი გზები შეიძლება დარჩეს ადგილობრივი თემების სარგებლობაში. 	<p>კონტრაქტორი</p>	<p>მცენარეული საფარის აღდგენის ღირებულება დამოკიდებულია ბანაკის და დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილზე. ერთი ხის დარგვის და მოვლის ღირებულება განისაზღვრა 7\$</p>	<p>ინსპექტირება მშენებლობის პროცესში</p>	<p>კვირაში ერთხელ მშენებლობის დროს, მცენარეული საფარის აღდგენის გეგმის შესრულების და /ან ევექტურობის მონიტორინგი</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>
<p>ბანაკის მოწყობა და ოპერირება</p>	<p>ბანაკები და აღჭურვილობის განთავსების მოედნები</p>	<p>წყლის და ნიადაგის დაბინძურება დაღვრის შედეგად</p>	<ul style="list-style-type: none"> ჩამდინარე წყლების კონტროლი. ჩამდინარე წყალი უნდა შეგროვდეს სეპტიკურ ორმოში. ორმო პერიოდულად დაიცლება ადგილობრივ მუნიციპალიტატთან დადებული შეთანხმებით უახლოეს გამწმენდზე გატანით). საწვავის/ზეთის ავზი დაცული უნდა იყოს წყალგაუმტარი მეორადი შემოღობვით (მაგ თიხის მერმით) და ჰქონდეს გაუმტარი საფარი. საცავი არ უნდა განთავსდეს წყლის ობიექტიდან 100მ-ზე ნაკლები მანძილზე. დაღვრილი ნივთიერება უნდა 'შეკავდეს' და გაიწმინდოს აბსორბენტის გამოყენებით. ადგილზე საწვავით გამართვა არასასურველი. თუ აუცილებელი - ეს უნდა მოხდეს სპეციალურად მოწყობილ უბანზე (დაბინძურებისგან დაცვის გეგმის შესაბამისად) ტერიტორია მოშორებით უნდა იყოს არხების და მდინარეებისგან. უნდა ტარდებოდეს მანქანების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი გაჟონვის დადგენის და დაზიანების დრიულად შესაკეთებლად. დაზიანებული მანქანები ტერიტორიაზე არ დაიშვება. უნდა არსებობდეს აბსორბენტი, ნაწვეთის შემკრები და სხვა მასალები და საშუალებები. 	<p>კონტრაქტორი</p>	<p>ღირებულება განისაზღვრება ტენდერის გზის განსაზღვრული კონტრაქტორის მიერ</p>	<p>ინსპექტირება მშენებლობის დროს დაღვრების რეაგირების და გეგმასთან შესაბამისობის მონიტორინგი</p>	<p>პერმანენტული მონიტორინგი მშენებლობის დროს</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

			<p>მცირე დაღვრის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს აბსორბენტი.</p> <ul style="list-style-type: none"> • მასალა და ნარჩენები ისე უნდა დასაწყობდეს, რომ არ მოხდეს მათი ქარით ან ზედაპირული ჩამონადენით გადატანა მდინარეში. ზედაპირული ჩამონადენის ასარინად უნდა მოეწყოს სადრენაჟე არხები. • ნარჩენების განთავსების უბანი დაცული უნდა იყოს ზედაპირული ჩამონადენისგან. • თუ არსებობს ნავთობპროდუქტების დაღვრის რისკი უნდა მოეწყოს ნავთობდამჭერი. • ზედაპირული ჩამონადენის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გზის საფარის მოწყობა მხოლოდ მშრალ ამინდში უნდა წარმოებდეს • პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მასალის/საწვავის სათანადო მენეჯმენტის საკითხებზე 						
მიწის და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები	ტრასა	<p>ნიადაგის სტაბილურობის და ხარისხის დეგრადაცია, ნიადაგის სტრუქტურის გაუარესება, პროდუქტიულობის შემცირება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნაყოფიერი ფენის მოხსნა სამუშაოების დაწყებამდე • მოხსნილი ნიადაგის განთავსება გასხვისების ზოლის ფარგლებში, ხელახლა გამოყენებამდე/ დაბრუნებამდე. • მისასვლელი გზების და უბნების საზღვრების მკაცრი დაცვა ნიადაგის დაბინძურების და დატკეპნისგან დასაცავად. • მცენარეული საფარის მაქს. შენარჩუნება ეროზიის თავიდან აცილების მიზნით. • საწვავის/ზეთის დაღვრის თავიდან აცილება • პერსონალის ინსტრუქტაჟი • ჰიდროსიდინგი 	კონტრაქტორი	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს ჰიდროსიდინგის ღირებულება განსაზღვრულია პროექტის ბიუჯეტში</p>	<p>ინსპექტირება. პერიოდული შემოწმება მდგომარეობის შესამოწმებლად</p>	<p>კვირაში ერთხელ მშენებლობის პროცესში. მონიტორინგი მშენებლობის დასრულების შემდეგ</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>
<p>ბანაკის მოწყობა და ოპერირება და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაო</p>	<p>ბანაკი, სამუშაო მოედანი</p>	<p>მუშახელის უსაფრთხოება, ოპერატორები და მძღოლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პერსონალისთვის პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება. • უსაფრთხოების საკითხებზე ტრეინინგის ჩატარება. • ახალი პერსონალის ინსტრუქტაჟი • ცვლის დაწყებამდე უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი. • პირადი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა. • ტექნიკური პერსონალის (მაგ. მძღოლები), 	კონტრაქტორი	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>შემთხვევების რეგისტრაცია. ტრეინინგის ჩანაწერები</p>	<p>ინსპექტირება</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

			<p>უსაფრთხოების საკითხებში გათვით-ცნობიერების შემოწმება</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვა უსაფრთხოების გეგმის მომზადება. 						
ხიდის და კიუვეტის მშენებლობა	ხიდის და კიუვეტის მოწყობის უზრუნველყოფა	წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება, მდინარის კალაპოტში სამუშაოს წარმოების დროს ზემოქმედება წყლის ჰაბიტატებზე. ზემოქმედება ნაპირებზე ეროზიის პროცესების აქტივირების შედეგად	<ul style="list-style-type: none"> • ხიდის საყრდენების და სხვა სამუშაოების დროს მიწის სამუშაოების მოცულობა მინიმალურ, პროექტით განსაზღვრულს არ უნდა აღემატებოდეს ეროზიის თავიდან ასაცილებლად. • მისასვლელი გზების მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ეროზიის საკითხები. • მდინარის ნაპირების და მიმდებარე უბნების შემოწმება პრობლემების დროულად გამოსავლენად და რეაგირებისთვის. მდინარის კალაპოტში • მდინარის კალაპოტში ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობის ოპტიმალურ მინიმუმამდე დაყვანა. • მდინარის კალაპოტთან თხრილებიდან ამოღებული მასალის განთავსების თავიდან აცილება. • მდინარის მახლობლად მანქანების ტექ-მომსახურების, ადგილზე საწვავით გამართვის აკრძალვა. • ნარჩენების სათანადო მართვა • ფერდობების სტაბილიზაცია • მდინარის კალაპოტში/კალაპოტთან სამუშაო დაგეგმვა წყლის ფაუნისთვის სენსიტიური პერიოდის გათვალისწინებით. სამუშაოები არ უნდა ემთხვეოდეს ქვირითობის პერიოდს (ძირითადად შემოდგომა). • მდინარეში დაუმუშავებელი ჩამდინარე წყლის ჩაშვების აკრძალვა. • მდინარის კალაპოტში სამუშაოს წარმოებისას თევზისთვის თავისუფლად გადაადგილებისთვის 'გასასვლელის' მოწყობა. • პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების წარმოების სათანადო მისაღები პრაქტიკის შესახებ 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	ინსპექტირების და ინსტრუქტაჟის ჩანაწერები	მშენებლობის დროს ყოველდღიურად	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
ტექნიკის ტექნომსახურება და საწვავით გამართვა, საწვავის ავზის	საწყობები, საწვავით	დაბინძურებული წყლის, ზეთების და სხვა დაღვრის გამო წყლის/ნიადაგის	<ul style="list-style-type: none"> • კონტროლის დაწესება მდინარის კალაპოტში/კალაპოტთან ახლოს მანქანების საწვავით გამართვის აკრძალვის მოთხოვნის შესრულებაზე დაღვრის შედეგად წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს. სარეცხი უბნის	ინსპექტირება მშენებლობის დროს. მანქანების	მშენებლობის დროს ყოველდღიურად	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

განთავსების უბნები		ხარისხის გაუარესება	<ul style="list-style-type: none"> • მანქანების და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის (ჰიდრაულიკური სითხე, საწვავის ავზი და სხვა.) ყოველდღიური კონტროლი. • მანქანის კომერციულ სამრეცხაოში რეცხვისთვის უპირატესობის მინიჭება. თუ აუცილებელია რეცხვა საკუთარ ტერიტორიაზე ბერმებით დაცული სპეციალური ტერიტორია უნდა მოეწყოს. ტერიტორია ოდნავ დამრეცი უნდა იყოს წყლის შეგროვების და აორთქლების გაადვილებისთვის. • მანქანების ადგილზე ტექნომსახურება შეზღუდული უნდა იყოს, პრიორიტეტი ტერიტორიის გარეთ მდებარე სახელოსნოებს უნდა მიენიჭოს. თუ აუცილებელია ადგილზე მომსახურება, ტერიტორია სათანადოდ უნდა იყოს შერჩეული/მოწყობილი - გააჩნდეს მეორადი შემოღობვა. ტერიტორია მოცილებული უნდა იყოს დრენაჟის წყლის ობიექტებიდან. • ტექნომსახურება და საწვავით გამართვა უნდა ხდებოდეს მდინარის კალაპოტიდან მინიმუმ 100მ დაშორებით. • პერსონალის ინფორმირება მოთხოვნების და სამუშაოს წარმოების მიღებული პრაქტიკის შესახებ 		მოწყობის ხარჯი (საჭიროების შემთხვევაში) დადგინდება კონტრაქტორის მიერ.	ტექნიკური მდგომარეობის ყოველდღიური კონტროლის ჩანაწერები ინსტრუქტაჟის ჩანაწერები		ვს	
მიწის და სხვა სამშენებლო სამუშაოები	მშენებლობის უბანი	ლანდშაფტის დარღვევა.	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს დაწყებამდე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ლანდშაფტის ჰარმონიზაციის გეგმა 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს.	გეგმის შესრულების მონიტორინგი - ანგარიში	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
მიწის და სხვა სამშენებლო სამუშაოები	სამშენებლო მოედანი	არქეოლოგიური ობიექტის მოულოდნელი აღმოჩენა	<ul style="list-style-type: none"> • არქეოლოგიის მიერ ზედამხედველობა • არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევით აღმოჩენის შემთხვევაში კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დამპირავებელ, რომელიც ატყობინებს ამ ფაქტს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოები წყდება სამინისტროს მიერ მუშაობის გაგრძელებაზე ნებართვის მიღების შემდეგ. • პერსონალის ინფორმირება პროცედურის შესახებ. 	კონტრაქტორი	არქეოლოგიური კვლევის ღირებულება	პროცედურის აღწერა. კონტროლის ჩანაწერები	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

მიწის და სხვა სამშენებლო სამუშაოები	გასხვების ზოლი და მიმდებარე ტერიტორია	აღჭურვილობის არასათანადო ტექნიკური გამართულობის გამო ჰაერის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> • სამშენებლო ტექნიკის გამართული მდგომარეობის უზრუნველყოფა. დაზიანებული/ გაუმართავი მანქანების სამშენებლო უბანზე შესვლის აკრძალვა. • ტერიტორიის გარეთ მოძრაობისას სიჩქარის ზღვრის დაწესება. 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს.	მუდმივი კონტროლი	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
ბეტონის მომზადება	ბეტონის ქარხნის უბანი	მტვერი/ჰაერის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> • შემრევი ბლოკი ჰერმეტიკული უნდა იყოს; ვიბრაციული აღჭურვილობა - აღჭურვილი იყოს მტვრის დამჭერი მოწყობილობებით. • სასურველია ბეტონის ქარხნის მოსახლეობისგან დაშორების მანძილი ქარის მიმართულებით 300მ -ზე ნაკლები არ იყოს. 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს.	მუდმივი კონტროლი	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
მიწის სამუშაოები, ფხვიერი მასალის (ცემენტი, ქვიშა, სხვ.) ტრანსპორტირება-შენახვა, მანქანების მოძრაობა მოუკირწყლავ გზებზე.	საწყობები, გზები	მტვერი/ჰაერის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო დღეებში მშრალ და ქარიან ამინდში მოუკირწყლავი უბნების მორწყვა (შესაძლებელია 4 საათში ერთხელ). • მანქანის ბორბლების სარეცხი ბლოკის მოწყობა ტერიტორიიდან გასვლამდე საბურავების გასარეცხად. • ფხვიერი მასალის გადატანისას მასალის გადახურვა; • ნაყარი მასალის გადახურვა. 	კონტრაქტორი	მანქანის საბურავების სარეცხის მოწყობა განისაზღვრება კონტრაქტორის მიერ, სხვა დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს.	მუდმივი კონტროლი	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
მიწის და სხვა სამუშაოები	დასახლებული პუნქტები	ზემოქმედება ადამიანებზე და ბუნებრივ რეცეპტორებზე მომატებული ხმაურის დონის გამო.	<ul style="list-style-type: none"> • დასახლებული პუნქტებიდან 500მ დაშორებულ უბნებზე სამუშაო საათები უნდა შემოსაზღვროს 7 - 21 საათამდე • ტერიტორიის გარეთ მოძრაობის სიჩქარის ზღვრის დაწესება. • ხმაურის მოძრაობა და უძრავი წყაროების რეგულარული ტექნიკური კონტროლი. 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს.	მუდმივი კონტროლი	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
გზების და ხიდების მშენებლობა, გზისპირა კონსტრუქციები	ნარჩენების განთავსები	არასახიფათო ინერტული ნარჩენების წარმოქმნა დემონტაჟის დროს	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და შესრულება • ინერტული მასალის განსათავსებლად სამუშაო უბნის/ბანაკის ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს სპეციალური უბანი. ნარჩენების განთავსების 	კონტრაქტორი	სხვა ხარჯები გარდა ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანის	ნარჩენების მენეჯმენტის გეგმასთან	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

<p>ის დაშლა</p>			<p>ადგილი არ უნდა უშლიდეს ხელს თავისუფალ გადაადგილებას და განთავსდეს წყლის ობიექტიდან არანაკლებ 100მ დაშორებით. უნდა ხდებოდეს ნარჩენების სეპარაცია მათი ეფექტური მართვის და ხელახლა გამოყენებისთვის.</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოსაყენებლად ვარგისი ნარჩენები გამოიყენება პროექტის მიზნებისთვის, ან ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით - რეგიონის საჭიროებისთვის. გამოსაყენებლად უვარგისი- გატანილ იქნება ნაგავსაყრელზე მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით. • პერსონალის ინსტრუქტაჟი 		<p>მომსახურებისთვის გასაწევისა (კონტრაქტის საფუძველზე) ნავარაუდები არ არის.</p>	<p>შესაბამისობის მონიტორინგის ანგარიშები</p>		<p>ვს</p>	
<p>ტექნიკის მუშაობა, ტექნომსახურება, საწვავის ავზის განთავსების უბანი, სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები</p>	<p>სამუშაო მოედანი</p>	<p>ავარიული დაღვრების, ტექნომსახურების, სხვ შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (ზეთები, გამხსნელები, გამოყენებული ფილტრები და სხვ.)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და შესრულება • საქართველოში არ არსებობს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელები. ნარჩენები განთავსდება ჩვეულებრივ ნაგავსაყრელზე ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შესაბამისად. თუმცა ნარჩენების დროებითი დასაწყობების ადგილი სათანადოდ უნდა იყოს მოწყობილი. მაგ. გააჩნდეს მეორადი შემოდობვა. • დროებითი განთავსების ადგილი უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან • ნახმარი ზეთის გატანა უნდა მოხდეს უახლოეს გადამამუშავებელ საწარმოში ხელშეკრულების შესაბამისად. • ნარჩენების, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების, მართვაში მონაწილე პერსონალის ინსტრუქტაჟი ნარჩენების მართვის და უსაფრთხოებაში. • ნახმარი საბურავები შეიძლება იქნას გატანილი ჰაიდელბერ ცემენტის საწარმოში, რომელიც გამოიყენებს მათ საწვავად. ამისთვის საჭირო იქნება საწარმოს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება და პირობების განსაზღვრა. 	<p>კონტრაქტორი</p>	<p>სხვა ხარჯები გარდა ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანის მომსახურებისთვის გასაწევისა (კონტრაქტის საფუძველზე) ნავარაუდები არ არის.</p>	<p>ნარჩენების მენეჯმენტის გეგმასთან შესაბამისობის მონიტორინგის ანგარიშები</p>	<p>მშენებლობის დროს</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

სამშენებლო უბნების და ბანაკების მოწყობა და ფუნქციონირება	ბანაკი	არასახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (საკვების ნარჩენები, შესაფუთი მასალა, პლასტმასის ბოთლები, სხვ.)	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და შესრულება • ნარჩენები უნდა მოთავსდეს სახურავიან კონტეინერებში გაფანტვის, სუნის გავრცელების და ცხოველების მოზიდვის გამოსარიცხად და წვიმის/თოვლისგან დაცვის მიზნით. კონტეინერები უნდა განთავსდეს წინასწარ განსაზღვრულ უბნებზე წყლის ობიექტებისგან და სამომრავო გზებისგან მოცილებით. • პერსონალის ინსტრუქტაჟი ნარჩენების სწორად მენეჯმენტის საკითხებში. 	კონტრაქტორი	სხვა ხარჯები გარდა ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანის მომსახურების თვის გასაწევისა (კონტრაქტის საფუძველზე) ნავარაუდები არ არის.	ნარჩენების მენეჯმენტის გეგმასთან შესაბამისობის მონიტორინგის ანგარიშები	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
სხვადასხვა სამშენებლო სამუშაო	გასხვების ზოლის გაყოფაზე	ზემოქმედება ფაუნაზე (უბედური შემთხვევები, ჰაბიტატების დაკარგვა ან იზოლაცია, და ა.შ.)	<ul style="list-style-type: none"> • თხრილები და ორმოები დაცული (მაგ. შემოღობილი) უნდა იყოს ცხოველების ჩავარდნისგან დასაცავად. ფერადი ლენტის (დიდი ცხოველებისთვის); ლითონის ან პლასტმასის ლბეები/ფარები (მცირე ზომის ცხოველებისთვის) შეიძლება იყოს გამოყენებული. მიუხედავად ამისა, თხრილში/ორმოში შემთხვევით მოხვედრილი ცხოველის ჩამწყვდევა რომ არ მოხდეს სამუშაო ცვლის დამთავრების შემდეგ ორმოში/თხრილში უნდა ჩაიდოს ფიცრის ნაჭერი ან ტოტები. შეესაბამდე ყველა თხრილი/ორმო უნდა შემოწმდეს • მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი პერიოდი (გაზაფხულ-ზაფხულში); • მდინარის კალაპოტში/მის უშუალო სიახლოვეს სამუშაოები არ უნდა წარმოებდეს თევზის ქვირითობის პერიოდში. (ჩვეულებრივ შემოდგომა) • ახალი გზის მონაკვეთის მშენებლობის უბანზე შესაძლებელია მონიტორინგის დაწესება. • პერსონალის ინსტრუქტაჟი 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს..	ანგარიშების/ჩანაწერების მონიტორინგი	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით
მიწის და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები	ტრასის გასწვრივ	ეროზია და სხვა	<ul style="list-style-type: none"> • ვაკისის ოპტიმალური სიმაღლის შერჩევა, ფერდების სტაბილიზაცია ჰიდროსიდინგით; • ღრმა თხრილების კედლების ჩამოშლის საშიშროების არსებობის შემთხვევაში ხის ეკრანების გამოყენება; • დროებითი ბერმების, ფერდობის დრენაჟის, 	კონტრაქტორი	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს.	ვიზუალური მონიტორინგი	მშენებლობის დროს	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

		<p>კონტურული თხრილების, ნატანის ჩამჭერის და ა.შ. მოწყობა.</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰიდროსიდიინგი • პერსონალის ინსტრუქტაჟი 						
--	--	---	--	--	--	--	--	--

C. ოპერირების ფაზა

ქმედება	ადგილმდებარეობა	გარემოსდაცვითი პრობლემა	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი	მიახლოებითი ღირებულება (ლარი)	მონიტორინგი			
						მონიტორინგის ღონისძიება	სიხშირე	მიახლოებითი ღირებულება (ლარი)	პასუხისმგებელი
საწვავის/ზეთის ავარიული დაღვრა და/ან გზისპირა ნაგვის ქარით ან ზედაპირული ჩამონადენით გადატანა	ზედაპირული წყალი	წყლის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> • უფრო ხშირი და უკეთესი დასუფთავება; • კიუვეტები რეგულარულად უნდა შემოწმდეს და შეკეთდეს საჭიროებისამებრ. • სატვირთო მოძრაობის კონტროლი დაღვრის მინიმუმზაციისთვის; 	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს – იფარება მომსახურების ბიუჯეტით	ვიზუალური;	12 თვე სამუშაოს დაწყებამდე (კვარტალურად)	დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს	კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

<p>გზის/ხიდის საფარის აღდგენა</p>	<p>გზა/ხიდი</p>	<p>წყლის დაბინძურება მძიმე მეტალებით, ნახშირწყალბადებით და ნატანით</p>	<ul style="list-style-type: none"> რეაბილიტაცია/საფარის აღდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრალ ამინდში ჩამონადენის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. გაცვეთილი საფარის და ორმოების შეკეთებისას გზის საფარი მასალის გაფანტვის შესამცირებლად სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს - ეს შეიძლება მოიცავდეს საფარის დაგებისას წყალსაწრეტების თავების და ლიუკების დახურვას, ეროზიის და სედიმენტების კონტროლს შეკეთების ადგილებიდან ჩამონადენის შესამცირებლად, საფარი მასალის გაჟონვის და საფარსაგები მანქანიდან ჩამონადენის შესაზღუდად წვეთმემკრების, აბსორბენტი მასალის და სხვა დაბინძურების თავიდან ასაცილებელი მასალების გამოყენებას. გზიდან ზედაპირული ჩამონადენის რაოდენობის შესამცირებლად ორმოების და გვერდულების შესავსებად საფარის განახლებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ფოროვანი ასფალტი. 	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>ინსტრუმენტული გაზომვები. ინსპექტირება. ჩანაწერების წარმოება.</p>	<p>შეკეთების დროს</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>
<p>ტრანსპორტის ემისია</p>	<p>გასვლების ზოლი, დასახლებები</p>	<p>ჰაერის დაბინძურება ტრანსპორტისმიერი გამონაბოლქვით</p>	<ul style="list-style-type: none"> დასახლებული უბნებთან მცენარეული საფარის შენარჩუნება; 	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>		<p>მცენარეული საფარის ვიზუალური დათვალიერება</p>	<p>ინსტრუმენტული გაზომვა, კვარტალურად</p>	<p>მცირე</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>
<p>ხმაური</p>	<p>დასახლებული ტერიტორია</p>	<p>ადამიანებზე და ბუნებრივ რეცეპტორებზე ზემოქმედება ხმაურის მომატებული დონის გამო.</p>	<ul style="list-style-type: none"> 95კმ-114კმ მონაკვეთზე (განსაკუთრებით დასახლებულ პუნქტებთან - რუისი, არადეთი, აგარა) მოსახლეობის ხმაურისგან დასაცავად გამოყენებული უნდა იყოს შემარბილებელი ღონისძიებების - მოძრაობის სიჩქარის შემცირება გზის იმ მონაკვეთებზე, სადაც ხმაურის დონე გადაჭარბებულია (იხილეთ გზმ-ს ანგარიში). 	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>ინსტრუმენტული გაზომვები - დღის და ღამის საათებში (გზიდან 750მ ფარგლებში)</p>	<p>ექსპლუატაციის დაწყების შემდეგ 1 წლის განმავლობაში (კვარტალურად). ინსტრუმენტული გაზომვები დღის და ღამის საათებში - კვარტალურად</p>	<p>მცირე</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Ruisi and Agara West (km 95 to km 114)

<p>ნაგვით დაბინძურება</p>	<p>ახალი გზის გაყოლებაზე</p>	<p>შესაძლო ნეგატიური ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე, წყლის დაბინძურება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების განთავსების გზების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება; • მოსახლეობის ინფორმირება ჯარიმების შესახებ; • ბანერების გამოყენება შეიძლება იყოს გზისპირა ნაგვის თავიდან აცილების პროგრამის ნაწილი. ინფორმირების პროგრამა - ინფორმირება ჯარიმების შესახებ, სხვ. • ბანერები შეიძლება განთავსდეს ყოველ 10კმ-ზე. თითო უბანზე - 2 ან 4 ცალი. ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექსტით. • დასუფთავება 	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს - განსაზღვრულია შესაბამის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების პირობებში</p>	<p>ვიზუალური</p>	<p>მთელი წლის განმავლობაში.</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>
<p>მწვანე ბუფერული ზოლის მდგომარეობა</p>	<p>ახალი გზის გაყოლებაზე</p>	<p>ზემოქმედება მცენარეულ საფარზე ცხოველების დაღუპვა საგზაო ავარიების გამო</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული მცენარეების მოცილება და ახლით შეცვლა. • მცენარეების მდგომარეობა • შემთხვევების აღრიცხვა • თუ განისაზღვრა რაიმე 'ცხელი წერტილი' (ცხოველებთან შეჯახების თვალსაზრისით) უნდა შემუშავდეს შემარბილებელი ღონისძიებები (მაგ, ადგილობრივი შემოღობვა, გამაფრთხილებელი ნიშნები, სიჩქარის შეზღუდვა, სხვა.) 	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს – ივარება მომსახურების ბიუჯეტით</p>	<p>ვიზუალური დაკვირვება. ჩანაწერები შემთხვევების შესახებ</p>	<p>მთელი წლის განმავლობაში. ყოველთვიური დათვალიერება (მანქანით გავლა)</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>
<p>სატრანსპორტო ნაკადი</p>	<p>მთელი ტრასა</p>	<p>შემთხვევები ზამთრის ტიპური რისკების გამო (თოვლი, ყინული, ნისლი)</p>	<p>გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება ინფორმირება</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>	<p>მცირე ხარჯი</p>	<p>შემთხვევების ჩანაწერი</p>	<p>ზამთრის პერიოდი</p>	<p>დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს</p>	<p>კონტრაქტორი, RD-ს ზედამხედველობით</p>

9.5 მონიტორინგი, შესრულება

მონიტორინგის მიზანია გაკონტროლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში განსაზღვრული ზემოქმედებები; შეფასდეს შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების ქმედითობა, განისაზღვროს გაუთვალისწინებელი ზემოქმედებები და მათი მინიმიზაციის, თავიდან აცილება ან შერბილების გზები.

მონიტორინგი უნდა ზედამხედველის მიერ ხორციელდებოდეს მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე და მოიცავდეს ყველა სენსიტიურ რეცეპტორებს. მონიტორინგის შედეგები - გადაეცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტს. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემისთვის უნდა დაზუსტდეს და გატარდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიება, დადგინდეს სათანადო რემედიაციის და მდგომარეობის გამოსწორების გზები.

მონიტორინგი უნდა მოიცავდეს ვიზუალურ დაკვირვებას და, საჭიროებისამებრ, ინსტრუმენტულ გაზომვებს. საველე ექსპრეს-მონიტორინგისთვის გამოყენებული უნდა იყოს საველე ტესტირება. აღჭურვილობა სათანადოდ დაკალიბრებული უნდა იყოს. დაკალიბრების ჩანაწერები და მონიტორინგის შედეგები, საველე ანგარიშები, სერტიფიკატები, ნებართვები და დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს და დაცულ იქნას საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

დოკუმენტაციის ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს:

- სამუშაო პროგრამას და განრიგს;
- გარემოსდაცვითი ნებართვების და ლიცენზიების ასლებს;
- აღჭურვილობის ჩამონათვალს;
- შემარბილებელი ღონისძიებების ჩამონათვალს;
- სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების გზებს და შემოტანის პროგრამას;
- ინსპექტირების ანგარიშებს - ხმაურის, წყლის ხარისხის მონიტორინგის შედეგებს;
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული მიმოწერის ასლებს;
- დრენაჟის გეგმას;
- ნატანის და ზეთის/საწვავის დამჭერების ტექნომსახურების ჩანაწერებს და გაწმენდის გრაფიკს;
- საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გატანის დოკუმენტაციას;
- ანგარიშებს ჩამდინარე წყლების რაოდენობის და ხარისხის შესახებ;
- მყარი ნარჩენების მართვის/გატანის ჩანაწერებს;
- ინფორმაციას ნარჩენების საბოლოო განთავსების ტერიტორიის შესახებ და ნარჩენების გატანის ინსტრუქციებს;
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგებს;

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

- მასალის ჩამონათვალს და მოხმარების ჩანაწერებს;
- არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევითი დაფიქსირების შესახებ ჩანაწერებს (არსებობის შემთხვევაში);
- საჩივრების ჟურნალს;
- ავარიების და შემთხვევების (გარემოსდაცვითი ნორმების გადაჭარბება, ტრავმების და ა.შ) აღრიცხვის ჟურნალს;
- რემედიაციის ღონისძიებების ჩატარების ანგარიშებს;
- აღჭურვილობის კონტროლის და ტექნომსახურების ჟურნალს;
- მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების ჩანაწერებს;
- ტრენინგის დოკუმენტაციას/ჩანაწერებს.

მონიტორინგის გეგმა და სიხშირე შეიძლება გადაისინჯოს დაკვირვების მონაცემების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი მონიტორინგის დაწესება.

9.6 ანგარიშების წარმოება

კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს გმგ შესრულების და გარემოსდაცვითი ეფექტურობის ამსახველი ყოველთვიური ანგარიშები ზედამხედველისთვის/საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის წარსადგენად. ტექნიკური ზედამხედველი აფასებს წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტეს და სისრულეს, აფასებს კონტრაქტორის მიერ გატარებული შემარბილებელი ღონისძიებების ადექვატურობას, შესაბამისობას გმგ-თან, აწვდის ინფორმაციას მწვავე საკითხებზე და სთავაზობს მაკორექტირებელ ქმედებებს.

ანგარიშები გადაეცემა საავტომობილო გზების გარემოსდაცვის სპეციალისტს. ექვს თვეში ერთხელ გარემოსდაცვითი სპეციალისტი აწვდის ანგარიშს მსოფლიო ბანკს გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დარღვევების და შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებების შესახებ. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია აცნობოს მსოფლიო ბანკს ნებისმიერ გარემოსდაცვითი პრობლემის შესახებ რეგულარული ანგარიშების წარდგენის გრაფიკისგან დამოუკიდებლად.

9.7 კომპენსაცია გმგ-ს დარღვევის შემთხვევაში

მონიტორინგით დადგენილი ნებისმიერ დარღვევა უნდა გამოსწორდეს. შესაბამისობის დაცვის უზრუნველყოფაზე და კონტრაქტორის მიერ გმგ-ს მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეკისრება.

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

მცირე დარღვევების აღმოჩენისას კონტრაქტორს მიეცემა 48 საათი პრობლემის გამოსასწორებლად. კონტრაქტორის მიერ პრობლემის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოძებნის სხვა კონტრაქტორს პრობლემის გადასაწყვეტად. სამუშაოს ღირებულება მოაკლდება ძირითადი კონტრაქტორისთვის განკუთვნილ თანხას. ხანგრძლივი, შეუქცევადი დარღვევის შემთხვევაში კონტრაქტორს ეკისრება ჯარიმა კონტრაქტის ღირებულების 1% ოდენობით და აღდგენის ღონისძიებების ღირებულების გადახდა.

10. დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები და ინფორმაციის საჯაროობა

დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები და ინფორმაციის საჯაროობა განხორციელდება მსოფლიო ბანკის პოლიტიკის, საქართველოს კანონმდებლობისა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე. საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება ეფუძნება ეროვნულ საკანონმდებლო ნორმატივებს (იხილეთ თავი 2). სპეციალური მოთხოვნები გათვალისწინებულია სამ ნორმატიულ აქტში: გარემოზე ზემოქმედების შეფასების (2009წ.), ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა (2008წ.) და გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მიერ შემუშავებული (2008წ.) წესების შესახებ.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან ორი შეხვედრა. შეხვედრები გაიმართა:

- პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე გზმ-ს სკოლუპინგის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა პროექტის შესახებ ინფორმირების და შეფასების პროცესში ჩართვის მიზნით. შეხვედრები შედგა 22 აგვისტოს და 15 თებერვალს ქარელში და 9 დეკემბერს აგარაში;
- საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსიის დასრულების ეტაპზე, შეფასების შედეგების, შერბილების ღონისძიებების და საზოგადოების მონაწილეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. მსოფლიო ბანკის დავალებით პროექტის ზემოქმედების ზონაში მცხოვრები დასახლებების მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა შედგა ქარელში 2012 წლის 18 იანვარს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოსახლეობასთან შეხვედრა დაიგეგმა 18 ივნისთვის.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელი იყო ზემოაღნიშნული შეხვედრების მოწყობაზე, მონაწილეების მოწვევისა და საპრეზენტაციო აღჭურვილობის უზრუნველყოფაზე. მის წარმომადგენლების მონაწილეობა ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ დისკუსიებში.

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

კონსულტანტი (COWI Lietuva და გამა) პასუხისმგებელი იყო საზოგადოებასთან შეხვედრებისთვის პრეზენტაციების (ქართულ ენაზე), საინფორმაციო ფურცლების, შეხვედრის ოქმების მომზადებაზე, კონსულტაციების პროცესში მიღებული შენიშვნების და კომენტარების გზშ-ს ანგარიშში ასახვაზე ან, მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ამის მიზეზის დასაბუთებაზე.

წარმოდგენილი ანგარიში მომზადდა შემოსული შენიშვნების და კომენტარების მხედველობაში მიღებით. დოკუმენტს თან ერთვის შეხვედრების ოქმები და გარემოს დაცვის სამინისტროდან მიღებულ კომენტარებზე გაცემული პასუხები მოცემულია დანართში 3.

11. გამოყენებული ლიტერატურა

1. Ministry of Environment Protection and Natural Resources (2008): Regulation “On Calculation Method for Acceptable Limits and/or Temporarily Agreed Standards of Emissions of Harmful Substances into Air”; Order No. 705, 20/10/2008.
2. Ministry of Labour, Health Care and Social Affairs (2003): Acceptable limit concentrations of pollutants in atmospheric air of residential areas, hygiene standards; “On Approval of Qualitative Environmental Standards”; Order No 38/n 24/02/2003.
3. Aarhus Centre Georgia (2008): Guidelines on how to obtain the permit for Environmental Impact Assessment from the Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia, Updated 7 April, 2008. Tbilisi, Aarhus Centre, Georgia.
4. Kocks Consult GmbH and BT Designing and Consulting Company (2009a): Feasibility Study and Alternative Alignment Analysis for Upgrading the Section between Sveneti and Rikoti, km 80 – km 144 of the E 60 Highway. Inception Report, March 2009.
5. Kocks Consult GmbH and BT Designing and Consulting Company (2009b): Feasibility Study and Alternative Alignment Analysis for Upgrading the Section between Sveneti and Rikoti, km 80 – km 144 of the E 60 Highway, Interim Report, May 2009.
6. Kocks Consult GmbH and BT Designing and Consulting Company (2009c): Preliminary Results of Household Survey: Feasibility Study and Alternative Alignment Analysis for Upgrading the Section between Sveneti and Rikoti, km 80 – km 144 of the E 60 Highway. Unpublished Report.
7. World Bank (1999a): Public Consultation in the EA Process: A Strategic Approach, EA Update #26. Washington, DC: World Bank.
8. World Bank (1999): OP 4.01 - Environmental Assessment, updated in February 2011. Washington, DC: World Bank.
9. World Bank (2001, updated 2007): Involuntary Resettlement. Operational Policy 4.12. Washington DC: World Bank.
10. World Bank (2006, updated 2007): Physical Cultural Resources. Operational Policy 4.11. Washington DC: World Bank.
11. World Bank (1999): OP 4.04 - Natural Habitats, **revised in August 2004**. Washington, DC: World Bank.

12. World Bank (2002): BP 4.36 - Forests. Washington, DC: World Bank.
13. World Bank (1999): OP 4.11 - Physical Cultural Resources, updated in March 2007. Washington, DC: World Bank.
14. European Commission (1985). Environmental Assessment. Council Directive of 27 June 1985 on the assessment of the effects of certain public and private projects on the environment. 85/337/EEC (Reference: Official Journal NO. L 175 , 05/07/1985 P. 0040 - 0048).
15. Handbook on Roads and Environment. Permanent weblink: <http://go.worldbank.org/7989W6YLJ1>
16. International Finance Corporation (World Bank group). General EHS guidelines: Environmental Air Emissions and Ambient Air quality, April 30, 2007.
17. საქართველოს წითელი ნუსხა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება №303, 2006 წ. 2 მაისი.
18. ბუხნიკაშვილი ა. 2004. მასალები საქართველოს წვრილ ძუძუმწოვართა (Insectivora, Chiroptera, Lagomorpha, Rodentia) კადასტრისათვის. გამ. "უნივერსალი", თბილისი: 144 გვ.
19. გურიელიძე ზ. 1996. საშუალო და მსხვილი ძუძუმწოვრები. წიგნში: "საქართველოს ბიომრავალფეროვნების პროგრამის მასალები". თბილისი: 74-82.
20. კუტუბიძე მ. 1985. საქართველოს ფრინველების სარკვევი. თსუ გამომცემლობა, თბილისი: 645 გვ.
21. ჯანაშვილი ა. 1963. საქართველოს ცხოველთა სამყარო. ტ. III. ხერხემლიანები. თსუ გამომცემლობა, თბილისი: 460 გვ.
22. Верещагин Н.К. 1959. Млекопитающие Кавказа. История формирования фауны // Изд. АН СССР, М.-Л. : 703 с.
23. Гаджиев Ф.А. 1986. Животный мир. В кн.: Г. Габриелян (ред.), Физическая География Закавказья. Ереван, изд-во Ереванского гос. Ун-та.
24. Девдარიანი Г.С. 1986. Закавказская депрессия. В кн.: Г. Габриелян (ред.), Физическая География Закавказья. Ереван, изд-во Ереванского гос. Ун-та.
25. Мусеибов М.А., Назарян Х.Е., Габриелян Г.К., Джакели Х.Г. 1986. Физико-географическое зонирование. В кн.: Г. Габриелян (ред.), Физическая География Закавказья. Ереван, изд-во Ереванского гос. Ун-та.
26. Мухелишвили Т.А. 1970. Пресмыкающиеся Восточной Грузии. Мецნიერება, Тბილისი: 241.
27. Яблоков А. В., Остроумов С. А. 1985. Уровни охраны живой природы. М.: Наука: 176 с.
28. ნ.კეცხოველი, ა.ხარაძე, რ.გაგნიძე - „საქართველოს ფლორა“, I –XIV ტომი 1987-1996.
29. რ. გაგნიძე მცენარეთა ნომენკლატურული ნუსხა, 2005წ.

Environmental Impact Assessment of works for upgrading E-60 East -West Highway section between Agara and Didi Sative (km 114- km 126)

30. Методика проведения инвентаризации выбросов загрязняющих веществ в атмосферу для баз дорожной техники (расчетным методом). М, 1998.
31. Метод.пособие по расчету, нормированию и контролю выбросов загрязняющих веществ в атмосферный воздух. С.П_2005г.
32. Методикой расчета выделений (выбросов) загрязняющих веществ в атмосферу при сварочных работах (на основе удельных показателей). СПб, 1997» (с учетом дополнений НИИ Атмосфера 2005 г.).